პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და შის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 23 დეკემბერი, 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 297 (2340)

დღიური

- ამერიკის სენატმა გადასდო კელოგის პაქტის რატიფიკაცია.
- კონფლიქტი გერმანიის გემთსაშენ მრეწველობაში.
- იანვრისათვის დანიშნულია ინგლისის უმუშევართა შეკრება ლონდონში.
- იაპონიაში დაარსდა ახალი პარტია ნიხონტაი სიუტოს სახელწოდებით.
- ლატვიის ახალი მთავრობის რეაქციონური შემადგენლობა.
- იანვრის პირველ ნახევარში საბჭ. კავშირში ეწყობა „გერმანიასთან ტეხნიკური კავშირის კვირეული“.
- დიდი წყალდიდობა ლენინგრადში.

25 დეკემბერს რედაქცია და სტამბა მუშაობს

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა იანვრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის

უკვე რამოდენიმე თვეა, რაც ჩვენ შევუდექით საბჭოთა არჩევნებისთვის მზადებას. ახლა მოახლოვდა თვით არჩევნების კამპანიის ჩატარება. თუ რამდენად წარმატებით მიმდინარეობდა არჩევნებისათვის მზადება, ამას ჩვენ დაგვანახვებს თვით არჩევნების შედეგები. როგორც ჩანს, საქართველოს ზოგიერთ რაიონებში ნაწილობრივად ჩატარებული არჩევნები, რომელთა შედეგები სწორედ ამ დღეებში იყო გამოქვეყნებული გაზეთებში (იხ. გაზ. „კომუნისტი“, № 292), ვერ იძლევიან სავსებით სასურველ შედეგებს. აქედან ჩანს, რომ ამ მხრით ჩვენ მუშაობაში ალაგ-ალაგ კიდევ ბევრი ნაკლი და შეცდომაა, რომ ბევრი რამ თავის დროზე ვერ იქნა გათვალისწინებული. ამ გარემოებამ გამოიწვია ზოგიერთ რაიონებში (სამხრეთ ოსეთში, ახალციხის მაზრაში) არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობის დაკლება წარსულ არჩევნებთან შედარებით. რა თქმა უნდა, ეს არჩევნები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საქართველოსთვის დამახასიათებლად მივიჩნიოთ. მაგრამ მაინც ამ გარემოებას შეუძლებელია არ მიექცეს სერიოზული ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს. ჯერ კიდევ დრო გვაქვს, რომ გადავხედოთ არჩევნებისთვის წინასწარ გაწეულ მუშაობას, გავუკეთოთ მას ფხიზელი კრიტიკა და მივიღოთ შესაფერი ზომები შემჩნეულ ნაკლთა და შეცდომათა თავიდან ასაცილებლად. ჩვენ ვალდებული ვართ ასე მოვიქცეთ. ჯერ კიდევ არაა გვიან.

საბჭოების არჩევნების დროს ჩვენ **უნდა ავამოძრაოთ მთელი მშრომელი ხალხი**, ყოველი მუშა, ყოველი მშრომელი გლეხი, მოჯამაგირე, ხელოსანი, წვრილი მშრომელი ინტელიგენცია; უნდა დავაინტერესოთ და ავამოძრაოთ ყველანი,—დიდი და პატარა, ქალი და კაცი. ჩვენთვის აქ არ არსებობს სხვა რაიმე ნიშანი, **გარდა კლასობრივი მიდგომისა**, არც **სარწმუნოებრივი** და **არც ეროვნული. ყველა მშრომელნი უნდა იყვნენ ჩაბმული არჩევნებში.** ეს ადვილი საქმე როდია. ამრჩევლები თითონ უნდა დაინტერესდენ არჩევნებით, იმათ თითონ უნდა გამოიჩინონ შეგნება, პარტიამ და ხელისუფლებამ კი თავის მხრით უნდა ხელი შეუწყონ და დაეხმარონ მათ ამ საქმეში,—სიტყვით, მაგალითით, საქმით.

არც ერთი არჩევნების წინ ჩვენ არ გვიწარმოებია ასეთი დიდი მუშაობა, როგორც წელს. ამისთვის ჩვენ გვქონდა ხელსაყრელი პირობები. უკვე ორი წელიწადია, რაც საბჭოთა არჩევნები არ მომხდარა, და საბჭოთა არჩევნების მოსამზადებლად საკმაო დროც გაგვაჩნდა. ამავე დროს ჩვენ გვაქვს წინანდელ არჩევნების ჩატარების გამოცდილება. ყველაფერი ეს გვეუბნება იმას, რომ წლევანდელი არჩევნები ჩვენ უნდა მოვაწყოთ და ჩავატაროთ ბევრად უკეთესად. **უფრო მეტი სიძნელე** ჩვენ გვაქვს, რა თქმა უნდა, **სოფლად**, სადაც უმეტეს ნაწილად შეუკავშირებელი მოსახლეობაა; სადაც ეს მოსახლეობა გაფანტულია შედარებით დიდ ტერიტორიაზე, არ არის კრებისათვის შენობები, გაძნელებულია მიმოსვლა,—და ყველა ამას ემატება კიდევ ზამთრის სუსხიანი ამინდი. **ქალაქებში** კი არჩევნებს უშუალოდ **ხელმძღვანელობენ მუშები**, არის სათანადო შენობები, და მასთან ამრჩევლებს შორის წასვლა არ უხდებათ. ყველაფერი ეს ხელს უწყობს იმას, რომ ქალაქებში ამრჩეველებმა **სრული 100 პროცენტით მიიღონ მონაწილეობა** არჩევნებში. როგორც ვთქვით, სრულებით სხვა პირობებში იმყოფებიან სოფლის ამრჩევლები. სწორედ ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც მიქცეული აქვს პარტიისა და ხელისუფლების მხრით არჩევნების ჩატარებას სოფლად. რა თქმა უნდა, მარტო წერილობითი ინსტრუქციების და ცირკულიარების დაგზავნა ამ შემთხვევაში არ იკმარებს. ეს ჩვენ უკვე კარგად ვიცით გამოცდილებიდან, ამიტომ წლევანდელი არჩევნების ჩატარების დროს როგორც რესპუბლიკის, ისე მაზრის ცენტრებიდან იგზავნებიან **პასუხისმგებელი ამხანაგები ადგილობრივ**, ე. ი. **თემის და სოფლის ორგანიზაციების დასახმარებლად.** მაგრამ შესაძლებელია, ეს ცოცხალი დახმარებაც [illegible], დამახინჯდეს, თუ მივლინებულმა ამხანაგებმა თავისი მისია და მოვალეობა ვერ გაიგეს ისე, როგორც საჭიროა, მაგ., თუ გამოიჩინეს მედიდურობა, [illegible], გადააჭარბეს თავის უფლებებს და სხვ. და სხვ. მეორე მხრით, ადგილობრივი ორგანიზაციები მოწოდებული არიან გაუწიონ მათთან მივლინებულ ამხანაგებს ყოველგვარი საჭირო დახმარება, რათა ამ უკანასკნელებმა შესძლონ თავისი მოვალეობის სათანადოდ შესრულება.

უმთავრესი საკითხები არჩევნების დროს შემდეგია. პირველყოვლისა თვით არჩევნების **მნიშვნელობის ახსნა-განმარტება** და საარჩევნო კრებებზე **საბჭოების წარსული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება.** წარსული მუშაობის ანგარიშის ჩაბარებასთან დაკავშირებულია **მომავალი მუშაობის გეზი**, და ამ მუშაობის **პროგრამა-გეგმა.** უნდა იქნას ყოველივე ზომები მიღებული, რათა წარსული მუშაობის **შეფასება ნორმალურ პირობებში** მოხდეს, რისთვისაც საჭიროა **კრიტიკის და თვითკრიტიკის**, რაც შეიძლება **ფართოდ გამოყენება.** მაგრამ ამასთანავე უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საარჩევნო კამპანიის დროს საქმიან კრიტიკის მაგიერ ალბად ჩვენ შევხვდებით აგრეთვე, თვითკრიტიკის ლოზუნგის ქვეშ ამოფარებით, რა თქმა უნდა,—პირად კინკლაობას ან კიდევ ბოროტებით და ღვარძლით გაჟღენთილ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ „კრიტიკასა“. რა თქმა უნდა, ასეთ კრიტიკასაც უნდა გავსცეთ შესაფერი პასუხი კრებებზევე, რისთვისაც ჩვენ წინდაწინვე უნდა მოვემზადოთ. მე ვფიქრობ, რომ ყველა ასეთი ანტისაბჭოთა გამოსვლები ჩვენ უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. ამასთანავე ანგარიშის ჩაბარების დროს არაშემთხვევაში არ უნდა იქნას **დაფარული ან მიჩქმალული ჩვენი მუშაობის ნაკლულოვანება-დეფექტები და შეცდომები.** ეს უნდა შეიგნოს და შეითვისოს ყველა მომხსენებელმა სულ ერთია, ჩვენ რომ დავფაროთ, სხვა გამოაშკარავებს, და უარესი იქნება საქმისთვის, ტრაბახობა და ბაქიაობა აქ ყოვლად დაუშვებელია. ჩვენი შეცდომა-ნაკლულევანებები თითონ ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ,—ასეთია ჩვენი გეზი. ჩვენ უნდა გამოვასწოროთ-თქო, რომ ვამბობ, მე მხედველობაში მყავს ჩვენი პარტია და ხელისუფლება, და არა ცალკე პიროვნებები; ამათზე მე არ ვლაპარაკობ.

ახლა მომავალი **მუშაობის პროგრამის გამომუშავების შესახებ.** რაც ყველაზე მთავარია აქ,—ეს ის, რომ არავითარ უნიადაგო, განუხორციელებელ დაპირებას ამ პროგრამაში ადგილი არ უნდა დაურჩეს. ყოველივე საქმეს, ყოველივე წამოწყებას უნდა ექნეს **რეალური საფუძველი** ან მაზრა-ქალაქის, ან თემის, ან სოფლის საბჭოს ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ერთი მხრით და თვით მოსახლეობის თაოსნობის და თვითმოქმედების ნიადაგზე, მეორე მხრით, ე. ი. მაზრის, თემის და სოფლის ყველა ფინანსიურ და ნივთიერ შესაძლებლობათა გამოყენებით, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ არსებულ წყაროების, არამედ ახალწამოწყებათა გათვალისწინებითაც. ამ მხრით მთავარი ყურადღება უნდა მიეპყროს **წარმოებითი წყაროების გამონახვას,**— **სამომხმარებლო** და **სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის** გაზრდა-გაძლიერებას, **კოლექტიურ მეურნეობათა კომუნების, არტელების და სხვადასხვა სახის ამხანაგობების** განვითარებას; ამავე დროს არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს **საბჭოთა მეურნეობათა მშენებლობას**, იმათ გაძლიერებას და ზრდას. მაგრამ ეს არ კმარა. მაზრების და თემების საბჭოების ყრილობებზე უნდა დაისვას **საკითხი სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა ნაწარმოების ადგილობრივ დამუშავების შესახებ**, ე. ი. სხვადასხვაგვარი **საკონსერვო ქარხნების** მოწყობის შესახებ. ე. ი. შემოსავლის წყაროების **გადიდება-გაძლიერება — არა მარტო გადასახადების, არამედ კიდევ უფრო მეტად ახალ საწარმოო წამოწყებათა შექმნით და გაძლიერებით.** მე არ შევდივარ აქ ამ საკითხის უფრო დაწვრილებით განხილვაში. საკითხის დაყენებისათვის მე ვასახელებ მხოლოდ რამდენიმე სანიმუშო მაგალითს. დეე, თვით საბჭოებმა და საბჭოების ყრილობებმა დაუმატონ და განავითარონ ის ადგილობრივ პირობების მიხედვით. სწორედ ამაში გამოიხატება **საბჭოების შემოქმედება**, რაც იმავე დროს შეადგენს **სოციალისტურ შემოქმედებასაც.**

ამას უნდა დაუკავშიროთ აგრეთვე **სასოფლო მეურნეობის ტეხნიკის გაუმჯობესების** საკითხები,—უწინარეს ყოვლისა საკითხი **ხორბეულობის მოსავლიანობის აწევისა.** სრულიად მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ რომ საბჭოების **სამაზრო ყრილობებზე,** თუ ყოველგან არა, ზოგიერთ ადგილას მაინც, **მოეწყოს აგრონომების მოხსენებები** მოსავლიანობის გადიდების შესახებ. ამას ექნებოდა დიდი მნიშვნელობა. **ლენინი** ჯერ კიდევ 1920 წელს ამბობდა სრულიად რუსეთის საბჭოების მერვე ყრილობაზე, რომ ამიერიდან საბჭოების ყრილობებზე პოლიტიკურ მომხსენებლებთან ერთად უნდა გამოვიდნენ მოხსენებებით აგრეთვე **ინჟენერები და აგრონომებიო.** უნდა გამოვტყდეთ აქ და განვაცხადოთ, რომ ეს ანდერძი ჩვენ აქამდის ვერ განვახორციელეთ. ყველა ამ სამეურნეო საკითხებთან ერთად მომავალ არჩევნების დროს და საბჭოების ყრილობებზე უნდა იქნენ დაყენებული აგრეთვე **იდეოლოგიური ხასიათის** საკითხები, ე. ი. **საკითხები სწავლა-განათლების გაუმჯობესებაზე, სასკოლო მშენებლობაზე, წერაკითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაზე** და სხვა და სხვა. ამას უნდა დაუკავშირდეს ბრძოლა ხალხის სიბნელის და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **ძველი ყოფა-ცხოვრების საკითხებს**, როგორიცაა, მაგ., ქალის დაბეჩავება დაჩაგვრა საერთოდ, და კერძოდ **ჩადრის ტარება**, (აჭარისტანი, ახალციხის და ბორჩალოს მაზრები და სხვ.), მშობლების მიერ ქალის **მიყიდვა ქმარზე**, რაც კიდევ გავრცელებულია საქართველოს ზოგიერთ ჩამორჩენილ რაიონებში, **ბოსლობა** ფშავ-ხევსურეთში და სხვ. და სხვ. უკვე დროა ყველა ამ ძველი ყოფა-ცხოვრების მავნე, დამამცირებელ და სამარცხვინო ზნე-ჩვეულებებს გამოუცხადოთ გადამჭრელი ბრძოლა. საბჭოების მომავალმა ყრილობებმა უნდა წამოაყენონ ეს საკითხები, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები, რომლებიც უახლოეს ხანაში უნდა იქნან გადაჭრილი.

აი, მოკლედ როგორ ისახება ჩვენ წარმოდგენაში საბჭოების მომავალი არჩევნები და ყრილობები. ისინი მიიპყრობენ თავისკენ მშრომელთა უფართოეს მასების ყურადღებას. ისინი გადაიქცევიან **საყოველთაო ყურადღების ცენტრად.** იქ იქნებიან წამოყენებული და განხილული უაღრესად საყურადღებო საკითხები. დეე გამწარდენ სიბრაზისაგან მუშების და გლეხების მტრები (ბურჟუა-კაპიტალისტები, მემამულეები, ყველა ჯურის მყვლეფელები და იმათი დამქაშები— მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატისტები), რომ მათ არ გაუმართლდათ იმედები, რომ არ ჩაკვდენ და არ გარდაიქმნენ საბჭოები, არამედ ისინი გამტკიცდენ, გამაგრდენ და **ხალხის ფართო მასების ნამდვილ სულისკვეთების გამომხატველ ორგანოებად გადაიქცენ.**

დეე, საბჭოების მომავალ არჩევნებმა და ყრილობებმა კიდევ უფრო ნათელჰყონ ეს ფაქტი.

ფ. მახარაძე.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება დასრულდა შეთანხმებით

გერმანიის პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს მოლაპარაკების წარმატებით დასრულების გამო

ინგლის-ჩინეთის ხელშეკრულების გამოძახილი იაპონიაში

გერმანია-საბჭ. კავშირის მოლაპარაკება დასრულდა

მოსკოვი, 22 დეკემბერი. დამთავრდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის ეკონომიური მოლაპარაკება გერმანიის დელეგაციასთან. ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც მოლაპარაკების დროს მიღწეული შედეგების ჯამს წარმოადგენს. ამ ოქმით მოწესრიგებულია სხვადასხვა საკითხები, როგორც, მაგალითად: ერთი სახელმწიფოდან მეორეში შესვლა და იქიდან გასვლა, საბაჟო ფორმალობა, ზღვაოსნობა, სამრეწველო საკუთრების დაცვა, სავაჭრო საქმეების სამედიატორო წესით გარჩევა და ეკონომიური ურთიერთობის პრაქტიკა. რაც შეეხება 1925 წლ. 1 ოქტომბრის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ შეთანხმებას მომავალში ისეთი ხელშეკრულების დადების შესახებ, როგორიც არის კონვენციისა და საავტორო უფლების დაცვა, საბაჟო კონვენცია და სხვ. საკითხები, შემუშავებულ იქნა განსაზღვრული პროგრამა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული მოლაპარაკება გაიმართება მომავალი წლის განმავლობაში.

დოკუმენტებზე ხელის მოწერის შემდეგ დელეგაციების თავმჯდომარეებმა მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს.

ხელის მოწერის მომენტი გადაიღო „სოვკინო“-მ (ადს).

გერმანიის პრესა კმაყოფილია

ბერლინი, 22 დეკემბ. გერმანიის პრესა დიდის კმაყოფილებით აღნიშნავს გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური მოლაპარაკების სწრაფად დამთავრებას მოსკოვში.

„დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგი“ სწერს: **„დასრულება ეკონომიური მოლაპარაკების, რომელიც, როგორც ჩანს, ორივე მხარეს აკმაყოფილებს, წარმოადგენს ახალ დამამტკიცებელ საბუთს იმისას, რომ გერმანია და საბჭოთა კავშირი ერთსულოვნად ისახავენ მიზნათ კიდევ უფრო მჭიდრო გახადონ ეკონომიური თანამშრომლობა და მაქსიმალურად დაუახლოვონ ერთმანეთს ეკონომიური თვალსაზრისები. მოსკოვში მიღწეული შეთანხმება წარმოადგენს შემდგომ მნიშვნელოვან ნაბიჯს გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის საერთო პრობლემის გადაჭრის გზაზე“.**

კულტურული ურთიერთობა გერმანიასთან

მოსკოვი, 22 დეკემბერი. უკანასკნელ ხანებში დიდად გაცხოველდა კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის. საზოგადოება „კულტურა და ტეხნიკა“ აწყობს ტეხნიკურ კვირეულს, რომელმაც თვალსაჩინოდ უნდა შეუწყოს ხელი უცხოეთის მეცნიერებისა და ტეხნიკის გამოცდილების გამოყენების გაფართოებას საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის პროცესში. ტეხნიკური კვირეული მოეწყობა იანვრის პირველ ნახევარში. რამდენიმე უდიდესი გერმანელი მეცნიერი მოხსენებას წაიკითხავს გერმანიის ტეხნიკური აზროვნების მიღწევების შესახებ. კვირეულის დროს გერმანელი მეცნიერები გაეცნობიან ჩვენი ტეხნიკისა, მეცნიერებისა, აგრეთვე მეცნიერულ-ტეხნიკური დაწესებულებებისა და ინსტიტუტების მუშაობას.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 22 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„რამდენაც შევძელით კომპეტენტურ წრეებში გამოგვერკვია, რემნანტმა ამ რამოდენიმე თვის წინად თავისი თუ თავის თანამოაზრეთა ინიციატივით მართლაც აცნობა პარიზის სრულუფლებიან წარმომადგენლობას მრეწველთა, ფინანსთა და პოლიტიკოსთა ჯგუფის განზრახვა, რომ მათ სურთ გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირში და შეისწავლონ საკითხი საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ეკონომიური თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ, კერძოდ, იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება საბჭოთა კავშირის წარმოებაში ბრიტანეთის კაპიტალის დაბანდება.

რემნანტს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველმა უპასუხა, რომ საბჭოთა მთავრობა მიესალმება საბჭოთა კავშირში საქმიან პირთა ასეთ გამგზავრებას და, რომ ინგლისის დელეგაციას საშუალება მიეცემა მოსკოვში შეხვდეს ოფიციალურ პირებს და გაეცნოს დელეგაციისთვის საინტერესო საკითხებს“ (ადს).

იაპონია და ჩინეთი

ტოკიო, 21 დეკემბერი. იაპონიის გაზეთები აქვეყნებენ ცნობას ინგლის-ჩინეთის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ და აღნიშნავენ, რომ იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამჟამად შემდეგი პოზიცია უჭირავს:

ახალი ხელშეკრულება უდრის ხელშეკრულებათა გადათვალიერებას. შეიძლება სხვა სახელმწიფოებმა მიბაძონ ინგლისის მაგალითს, მაგრამ იაპონიას ეხლანდელ პირობებში შეუძლია მხოლოდ შეინარჩუნოს თავისი შეურიგებელი პოზიცია ჩინეთის მიმართ, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ის იზოლიაციის საფრთხის წინაშე იქნება.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ „ტოკიო ასახი“-მ მოათავსა მოწინავე ინგლის-ჩინეთის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ.

„ეხლა,—სწერს გაზეთი,—მხოლოდ იაპონია რჩება განზე. ხმა დადიოდა ინგლის-იაპონიის თანამშრომლობის შესახებ ჩინეთში, მაგრამ აი ინგლისი ხელს უწყობს ნანკინის მთავრობის სტაბილიზაციას, მაშინ, როცა იაპონია ამის წინააღმდეგ მოქმედებს. ასეთ პირობებში სასაცილოა ლაპარაკი ინგლის-იაპონიის თანამშრომლობის შესახებ“.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა სიმბუნ რენგოს თანამშრომელთან საუბარში აღნიშნეს, რომ თუ ინგლის-ჩინეთის შეთანხმების გამო ნანკინის მთავრობა უფრო შეურიგებელ პოზიციას დაადგება, ამაზე იაპონია თავისი პოზიციის გამწვავებით უპასუხებს (ადს).

ჩინეთის კომპარტია მომავალ ბრძოლებისათვის ემზადება

შანხაი, 22 დეკემბერი. ინგლისის ორგანოს „ნორთ ჩაინა დეილი ნიუს“-ში დაბეჭდილია სოკოლსკის წერილი სათაურით „ჩინეთის კომუნისტური პარტია“.

სოკოლსკის მოჰყავს სხვადასხვა ადგილები კომინტერნის უკანასკნელი კონგრესის ანგარიშებიდან და სწერს:

„ამჟამად ჩინეთის კომპარტია კვლავ წარმოადგენს აქტიურ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს გარკვევით ჩამოყალიბებული პროგრამა და ზედმიწევნით დამუშავებული ტაქტიკა. გომინდანი ამჟამად სრულიად უსიცოცხლო ორგანიზაციას წარმოადგენს. გომინდანის არც მემარჯვენე და არც მემარცხენე ფრთა სიცოცხლის უნარიანი არ არის და ხალხსაც არაფერი [illegible] გომინდანს. მხოლოდ კომუნისტები აწარმოებენ მუშაობას მშიერ და გაძვალტყავებულ გლეხობას შორის, რომელიც არაფერს არ დაჰკარგავს თავისი ლატაკური ცხოვრების გარდა“.

შემდეგ, როგორც სოკოლსკი აღნიშნავს, მხოლოდ კომუნისტებმა შეიგნეს, რომ სტუდენტები და ინტელიგენტები საიმედონი არ არიან და რომ საჭიროა მუშაობა გლეხობას შორის.

სოკოლსკი სწერს:

„ჩრდილოეთში—ციანსუში, შანდუნში, ხენანში, ჩჟილიში და გუანდუნში თითქმის მთელი გლეხობა შეიარაღებულია. გლეხები კარგად არიან ორგანიზაციულად დარაზმულნი მხოლოდ კომუნისტებს შეუძლიათ გამოიყენონ ხელსაყრელი მომენტი რათა ხელში ჩაიგდონ მასების ხელმძღვანელობა. რაც შეეხება გომინდანს, სწერს სოკოლსკი, ის დამფრთხალია და კმაყოფილდება მხოლოდ პროკლამაციებით, რომლებშიაც მოუწოდებს მოსახლეობას არ აჰყვეს გამანადგურებელ პროპაგანდას. კომუნისტები უფრო გონივრულად იქცევიან და უფრო რეალურ კურსს ადგიან. ისინი ფაქტებს მკრეფენ და იყენებენ მათ“.

შემდეგ სოკოლსკი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია რაიმე კავშირი გომინდანსა და კომუნისტებს შორის მიუხედავად იმისა, რომ ამას ლაპარაკობენ ზოგიერთი მემარცხენენი, რომლებიც ცდილობენ დააშინონ ცენტრალური მთავრობა. კომუნისტები კომინტერნის ხელმძღვანელობით ენერგიულად მუშაობენ და ამაგრებენ თავიანთ რიგებს“ (ადს).

მოითხოვენ ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან

პარიზი, 21 დეკემბერი. ბელგიის პალატის მიერ ბიუჯეტის განხილვის დროს სოციალისტმა პიერარმა მოითხოვა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენა.

„არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ 140 მილიონიან ხალხს,—განაცხადა პიერარმა.—საჭიროა დავუბრუნოთ ბელგიას მისი მრეწველობისათვის მნიშვნელოვანი ბაზარი“.

პიერარის საპასუხოდ საგარეო საქმეთა მინისტრმა გიმანსმა განაცხადა, რომ ის არ არის პრინციპიალურად წინააღმდეგი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენისა. „მაგრამ,— სთქვა მან,—იმისთვის, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა აღდგენილი იქნას, საჭიროა გვქონდეს დამამშვიდებელი გარანტია შინაგანი მშვიდობიანობისა ჩვენს ქვეყანაში“ (ადს).

მონღოლეთ-საბჭოთა ურთიერთობა

ულან-ბატორი, 21 დეკემბერი. დიდი ხურულდანის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ამორი. მოხსენებაში ამორმა აღნიშნა, რომ მონღოლეთს და საბჭოთა კავშირს საერთო პოლიტიკური მიზნები აქვთ. ამორმა განაცხადა, რომ მონღოლეთის მტრები — ჩინეთის რეაქციონერები — ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ „წითელი იმპერიალიზმის“ შესახებ იმ მიზნით, რომ ჩამოაგდონ შუღლი და მტრობა საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთს შორის და გადააქციონ ეს უკანასკნელი პლაცდარმად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში (ად).

ბოლივია-პარაგვაის კონფლიქტი

მისასალმებელი დეპეშები ბრიანს

პარიზი, 21 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„მრავალ მისასალმებელ დეპეშაში ბრიანს ულოცავენ იმ წარმატებას, რომელსაც მან მიაღწია ბოლივიას და პარაგვაის შორის არსებული კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის საქმეში.

შენიშვნა: როგორც ცნობილია, ბოლივიის და პარაგვაის მთავრობებმა არსებითად უარჰყვეს ბრიანის წინადადება შუამავლობის შესახებ. შეერთებული შტატების ზეგავლენამ და სხვა მიზეზებმა ბოლივია და პარაგვაი აიძულეს მიემართათ პანამერიკული კონფერენციის (ვაშინგტონში) არბიტრაჟისათვის. ევროპის ბურჟუაზიული პრესა ცდილობს ეს ფაქტი დახატოს როგორც უშუალო შედეგი „ერთა ლიგის ჩარევისა ბოლივია-პარაგვაის საქმეში“. (ადს).

უმუშევრობა ინგლისში

მზადება ინგლისის უმუშევართა შეკრებისათვის

ლონდონი, 21 დეკემბერი. წარმატებით მიმდინარეობს მზადება ინგლისის ყველა კუთხიდან უმუშევართა ლონდონში შეკრებისათვის. როგორც უკვე აღნიშნული იყო, შეკრება დანიშნულია იანვრისათვის. ლონდონში დაარსდა კომიტეტი შეკრების მონაწილეთა შესახვედრად. კომიტეტის თავმჯდომარე ტომ მანია.

კუკი „სანდეი უორკერ“-ში აღნიშნავს, რომ უმუშევრები ყველგან ენტუზიაზმით ხვდებიან მომავალ შეკრებას, რომელიც, კუკის სიტყვით, „კლასთა ბრძოლას სამხრეთ უელსიდან გადაიტანს ლონდონის გულში“. მუშათა მოძრაობის ცნობილ მოღვაწეთა ჯგუფმა გამოაქვეყნა მოწოდება ინგლისის მუშებისადმი. მოწოდებაში ნათქვამია:

„ვერავითარი ქველმოქმედება ვერ გამოასწორებს შექმნილ მდგომარეობას. კრიზისი ქვა-ნახშირის მრეწველობაში ეროვნული უბედურებაა. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მთავრობამ ყველა მეშახტეს მისცეს სამუშაო ან სავსებით უზრუნველჰყოს მეშახტეები“.

დასასრულ, მოწოდება მიმართავს ყველა მუშას და მუშათა ყველა ორგანიზაციას — აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება უმუშევართა მომავალ შეკრებას ლონდონში, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა დარგის მრეწველობის უმუშევრები. (ადს).

გერმანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმებაზე ხელისმოწერის გამო

გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური მოლაპარაკება, რომელიც დაიწყო მოსკოვში ა. წ. 27 ნოემბერს, გუშინ დასრულდა შეთანხმებაზე ხელის მოწერით. შეთანხმება წარმოადგენს ცალკე ოქმს, რომელსაც დართული აქვს მთელი რიგი დამატებითი დოკუმენტები.

მოლაპარაკება, რომელიც ეს არის ეხლა დამთავრდა შეთანხმებაზე ხელის მოწერით, როგორც ვიცით, წარმოადგენს ბერლინის მოლაპარაკების გაგრძელებას, ეს მოლაპარაკება კი სწარმოებდა ა. წ. თებერვლისა და მარტში და შეწყვეტილ იქნა გერმანიის მთავრობის ინიციატივით, შახტის საქმესთან დაკავშირებით. მიუხედავად მოლაპარაკების შეწყვეტისა, ორივე მხარეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული მისი განახლებისა და დამთავრების საჭიროება, ამიტომ ისინი მხნედ ემზადებოდნენ მისთვის. ერთის მხრით ამ მომზადებამ, ხოლო მეორეს მხრით, დასახული ამოცანის მთელი მნიშვნელობის გაგებამ ორივე მხარის მიერ, უეჭველია, ხელი შეუწყო შედარებით მცირე ხნის განმავლობაში მოლაპარაკების სწრაფად და ნაყოფიერად დამთავრებას.

დასავლეთ ევროპის პრესის თვალსაჩინო ნაწილი განსაკუთრებულის ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მოსკოვში წარმოებულ მოლაპარაკებას და მოუთმენლად მოელოდა მის შედეგებს. ეს პრესა, რომელიც საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური წრეების სულისკვეთებას გამოხატავს, მოსკოვის მოლაპარაკებისაგან მნიშვნელოვან „სენსაციებს“ მოელოდა. უპირველესად ყოვლისა, უდაოდ ითვლებოდა ვერსია, რომ საბჭოთა კავშირი, „მისი მძიმე მდგომარეობის გამო“, წამოაყენებს მოთხოვნას კრედიტების შესახებ. ასეთი საკითხის დასმა მასალას მისცემდა საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ ჯგუფებს სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიური კომბინაციებისათვის. მეორეს მხრივ, ზემოდ აღნიშნული პრესა მოელოდა, რომ მოლაპარაკების დროს გერმანია წამოაყენებდა ისეთ მოთხოვნას, რომელიც სერიოზულად დააზიანებდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საერთო სისტემას. ბევრს ჰქონდა იმედი, რომ ამის შემდეგ ადვილად მოითბობდა ხელს. ნამდვილად კი სწორი ცნობა გერმანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ, აგრეთვე შეთანხმებაზე ხელის მოწერის შესახებ ცივ წყალს გადაასხამს ყველა იმას, ვინც ბოროტი მოუთმენლობით მოელოდა მოლაპარაკების დამთავრებას.

იმედის პირველ გაცრუებას კრედიტის საკითხი გამოიწვევს. მოლაპარაკების დროს საბჭოთა კავშირს ეს საკითხი არ დაუსვამს, და ყველა ის, ვინც ამგვარი საკითხის დასმაში „საბჭოთა კავშირის უნუგეშო მდგომარეობის დამამტკიცებელ საბუთებს“ ხედავდა, უნდა დაუფიქრდეს თავის დასკვნებს. იმედის მეორე გაცრუებას გამოიწვევს საკითხი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სისტემის სიმკვიდრის შესახებ. მოლაპარაკებამ, აგრეთვე მოლაპარაკების შედეგებმა ერთხელ კიდევ სავსებით ცხადჰყვეს, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საფუძვლად კვლავ რჩება, ერთის მხრივ, საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, ხოლო მეორეს მხრივ—1925 წლის 12 ოქტომბრის სავაჭრო ხელშეკრულება. წინააღმდეგ მოცლილთა ჭორებისა, გუშინ დამთავრებული მოლაპარაკება მიეძღვნა 1925 წლის 12 ოქტომბრის ხელშეკრულების ახსნა-განმარტებას და სისწორით ჩამოყალიბებას და არავითარ შემთხვევაში მის შეცვლას, თავის-თავად ცხადია, რომ ამ მოლაპარაკების დროს არ შეიძლებოდა სიტყვის ჩამოგდებაც კი იმ ძირითადი დებულების გადასინჯვის შესახებ, რომელნიც ჩვენს მეურნეობას [illegible]. სწორედ ასევე არ შეიძლებოდა ლაპარაკი რაიმე მოთხოვნების შესახებ, რომელნიც ასე თუ ისე შელახავდნენ ჩვენი შინაგანი კანონმდებლობის საფუძვლებს. „იმედები“, რომლებსაც ამ მიმართულებით ისახავდნენ ზემოხსენებული ჯგუფები, არც ამ საკითხში გამართლდა.

მოლაპარაკებამ კვლავ განუმტკიცა ორივე მხარეს იმის რწმენა, თუ რამდენად საყურადღებო და მნიშვნელოვანია გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცება და გაფართოვება. ამ მიმართულებით თვალსაჩინო შედეგებია მიღწეული. ეს შედეგები, ჩვენის თვალსაზრისით, ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს.

პირველ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ყოველივე ის, რაც გააკეთა გერმანია-საბჭოთა კავშირის კონფერენციამ იმ მრავალი დაბრკოლების აღმოსაფხვრელად, რომელიც ხელს უშლიდა ეკონომიურ ურთიერთობათა დამშვიდებულ და შეუფერხებელ განვითარებას. მეორე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ყოველივე ის, რაც გააკეთა კონფერენციამ გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობისათვის დადებითი ელემენტების შესაქმნელად.

როგორც ვიცით, ჯერ კიდევ ბერლინის მოლაპარაკების დაწყებამდე ამა წლის თებერვალში გერმანიის ზოგიერთი საქმიანი ჯგუფები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ, სამასმილიონიანი კრედიტების მიუხედავად, გერმანია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის ბრუნვა ეცემოდა და, მაშასადამე, ამ კრედიტებმა სათანადო გავლენა ვერ მოახდინეს სავაჭრო ურთიერთობის განვითარებასა და ინტენსიფიკაციაზე. მეორეს მხრით, იმავე წრეებში ბრალდებას უყენებდნენ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის მეთოდებს, რომლებიც აღნიშნული ვერსიით ვითომ უარყოფით როლს თამაშობდნენ.

გუშინ ხელმოწერილი შეთანხმება ბოლოს უღებს ორივე ბრალდებას. ვერც ერთი ეს ბრალდება ვერ დამტკიცდა. ორივე მხარე სრული თანხმობით აღნიშნავს, რომ დამტკიცებულია საქონლის ბრუნვის ზრდა ამ ქვეყნებს შორის, ისევე, როგორც დამტკიცებულია, რომ ორივე მხარე ცდილობს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი. რაც შეეხება გერმანიის სახალხო მეურნეობის ზოგიერთი ჯგუფის მიერ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის მეთოდების, კერძოდ ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობის პრაქტიკის, წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს, ორივე მხარემ აღნიშნა, რომ ეს საყვედურები სრულებით არ არიან დამახასიათებელნი საქონლის ბრუნვის პრაქტიკისათვის და, საერთოდ, გამონაკლისს შეადგენენ.

კონფერენციამ, იმ მიზნით, რომ მოესპო ყოველი დაბრკოლება, რომელიც კი ხელს უშლის გერმანია-საბჭოთა კავშირის საქონლის ბრუნვისა და საერთო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას, გამოსთქვა აზრი იმის წინააღმდეგ, რომ ამ ქვეყნების სამეურნეო ბრუნვაში შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც ხელს გაუტეხენ მეორე მხარეს. ამ დადგენილების მხედველობაში აქვს გერმანიის მრეწველობის ეგრედ წოდებული „რუსეთის საქმეთა კომიტეტის“ მომავალი მუშაობის პროგრამა. კონფერენციამ მიიღო აგრეთვე სპეციალური დადგენილება, რომელიც ეხება გერმანიის ბანკების ჯგუფის შესვლას რუსეთის კრედიტორთა დამცველ საერთაშორისო კომიტეტში.

დასასრულ, კონფერენციამ უყურადღებოდ არ დასტოვა ის საკითხიც, თუ რა ზომების მიღებაა საჭირო, რომ მომავალში თავიდან აცილებულ იქნას ისეთი შემთხვევები, როგორსაც ამას წინად ადგილი ჰქონდა ბერლინში, როცა საბჭოთა კავშირის მხატვრულ ნივთებს ყადაღა დაადეს.

ასეთია პირველი ჯგუფი იმ საკითხებისა, რომლებიც განიხილა და გადასწყვიტა გუშინ დამთავრებულმა კონფერენციამ.

რაც შეეხება საკითხების მეორე ჯგუფს, საჭირო არ არის მიღებულ დადგენილებათა დეტალების დაწვრილებით მოყვანა. საკმაოა აღინიშნოს, რომ ეს დადგენილებები ეხება ისეთი საკითხების პრაქტიკულ ღონისძიებებს, როგორიც არის ეკონომიური შეთანხმება, შეთანხმებანი დასახლების, ნაოსნობის, სამედიატორო სასამართლოების, სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ და, დასასრულ, საკონსულო ხელშეკრულება. ეს დადგენილებანი ავსებენ და აფართოვებენ 1925 წლის სავაჭრო ხელშეკრულების სათანადო ადგილებს ორივე ქვეყნის სამი წლის პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე. ამ გამოცდილების შედეგებს ორივე მხარე ჯეროვანი ყურადღებით მიუდგა და შეეცადა მიეღო რაც შეიძლება სასურველი და ორივე მხარის ინტერესებთან შეფარდებული შედეგები. ორივე დელეგაციის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული ინტენსიური მუშაობა გამოიხატა მთელ რიგ დამატებით დოკუმენტებში, რომლებიც დართული აქვს ძირითად ოქმს. კონფერენცია არ დაკმაყოფილდა უკვე მოგვარებული საკითხებით და შეიმუშავა იმ მოლაპარაკების პროგრამა, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა გაიმართოს იმ მიზნით, რათა დადებულ იქნან ცალკე კონვენციები: საბაჟო კონვენცია, კონვენციები საავტორო საკუთრების, ორმაგი დაბეგვრის შესახებ და სხ.

შეუძლებელია კონფერენციის მუშაობის შედეგების ერთ წერილში ცოტად თუ ბევრად დეტალურად შეფასება. მაგრამ სრული უფლებით შეიძლება და უნდა ითქვას კიდეც, რომ კონფერენცია თავისი შედეგებით წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს წინ გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების საქმეში. მთელმა მსოფლიომ იხილა იმის მაგალითი თუ რამდენად მნიშვნელოვანი დადებითი მუშაობა ჩაატარა ორმა სახელმწიფომ ურთიერთობის განმტკიცების მიზნით.

კონფერენცია მიმდინარეობდა ორივე მხარის სრული და უეჭველი თანასწორუფლებიანობის პირობებში, ორივე მხარე იჩენდა სურვილს გაეკეთებინა ყველაფერი, რაც კი საჭიროა იმ ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა რაპალოში 1922 წელს.

ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს, რომ გერმანიის საზოგადოებრიობის ფართო ფენები ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან ახლად დამთავრებული კონფერენციის მაგალითით, თუ რამდენად დიდი განსხვავებაა რაპალოს პოლიტიკისა და ლოკარნოს პოლიტიკის მეთოდებსა და შედეგებს შორის.

„იზვესტია“, 22 დეკემბერი.

პროფკავშირთა მერვე ყრილობა

ამხ. ლიუბიმოვის მოხსენება

მოსკოვი, 22 დეკემბერი. პროფკავშირთა ყრილობის 21 დეკემბრის დილის სხდომაზე „ცენტროსოიუზი“-ის თავმჯდომარემ ამხ. ლიუბიმოვმა გააკეთა მოხსენება სამომხმარებლო კოოპერაციისა და მუშა-მომხმარებლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესახებ.

„სამომხმარებლო კოოპერაციის საქონლის ბრუნვა საანგარიშო წლის განმავლობაში,— სთქვა ამხ. ლიუბიმოვმა—10,1 მილიარდი მან.-დან (1927 წელს) გაიზარდა 14,6 მილიარდ მან.-მდე. (1927-28 წელს.) სამუშაო ხელფასის გადიდება, მუშათა კლასის საარსებო დონის ამაღლება, სამომხმარებლო ბიუჯეტის ხარჯთა დონის ზრდა—სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე აყენებს ქალაქისა და სოფლის მშრომელთათვის საქონლისა და სურსათის მიწოდების გადიდების და გაუმჯობესების ამოცანას“.

ამხ. ლიუბიმოვმა აღნიშნა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საშუალებით ამჟამად ნაწილდება მოსახლეობისათვის საჭირო მთელი პურის ორი მესამედი. სამომხმარებლო კოოპერაცია ახორციელებს ღონისძიებებს პურის ცხობის გასაფართოებლად. საბჭოთა კავშირში აგებულია 29 პურის ქარხანა და განზრახულია ხუთი წლის განმავლობაში კიდევ აიგოს 120 პურის ქარხანა. მოსკოვის, ლენინგრადის, დონის როსტოვის და სხ. დიდ ცენტრების პურის ქარხნები თავისი მოწყობილობით არ ჩამოუვარდებიან საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებს. ამხ. ლიუბიმოვმა ციფრობრივი ცნობებით დაასაბუთა საორგანიზაციო ხარჯების შემცირება სამომხმარებლო კოოპერაციაში. პურის გამყიდველი ორგანოები ზედმეტად არიან დატვირთულნი. რასაც მოსდევს მომხმარებელთა მოთხოვნილების არასაკმაოდ დაკმაყოფილება. სამომხმარებლო კოოპერაცია ცდილობს თავისი მუშაობა განავითაროს არა სესხის, არამედ საკუთარი თანხების საშუალებით.

„ცენტროსოიუზ“-ს განზრახვა აქვს გაადიდოს საპაიო გადასახადი მოსახლეობის ცალკე ჯგუფების შეძლების მიხედვით. მშრომელთა შეკავშირება კოოპერაციაში გაიზარდა: 1927 წელს კოოპერაციაში ირიცხებოდა 15 მილიონი კაცი, 1928 წელს—28 მილიონი კაცი.

კოოპერაციის ძირითად ამოცანას ამჟამად, ამხ. ლიუბიმოვის აზრით, შეადგენს: მუშაობის გაუმჯობესება, ვაჭრობის რაციონალიზაცია, საქონლის ხარისხის გაუმჯობესება, საზღვარგარეთის გამოცდილების უფრო ფართოდ გამოყენება და კოოპერატიული მაღაზიების და დუქნების ქსელის გაფართოვება.

ამხ. პოზნდიშჩევის მოხსენება

ამხ. ლიუბიმოვის მოხსენების შემდეგ მუშათა კოოპერაციის ცენტრალური სექციის თავმჯდომარემ ამხ. პოზდნიშევმა გააკეთა მოხსენება მუშათა კოოპერაციის მოქმედების შესახებ. ამხ. პოზდნიშევი შეეხო მუშათა კოოპერაციის უახლოეს პრაქტიკულ ამოცანებს. მან აღნიშნა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კვების პროდუქტების მიწოდება მუშებისათვის. კვების მთავარი პროდუქტების განაწილების დროს მუშათა კოოპერაციამ პირველ რიგში უნდა დააკმაყოფილოს მთავარი სამრეწველო რაიონები.

ამხ. პოზდნიშევს საჭიროდ მიაჩნია მუშათა კოოპერაციის გაძლიერება ფინანსიურად ამასთან მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სავაჭრო ბრუნვა მომავალი წლისათვის ნავარაუდევია 4,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მაშინ, როდესაც მუშათა კოოპერაციის საკუთარი თანხები უდრის მხოლოდ 100 მილიონ მანეთს.

ამხ. პოზდნიშევის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ლიუბიმოვისა და პოზდნიშევის საბოლოო სიტყვები.

პროფკავშირთა ყრილობამ მოიწონა „ცენტროსოიუზის“ და მუშათა კოოპერაციის ცენტრალ. სექციის მოხსენებანი და აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა რეზოლიუციების შემუშავება ორივე მოხსენების გამო.

სამანდატო კომისიის მოხსენება

სამანდატო კომისიის ცნობით, ყრილობას ესწრება 1.505 დელეგატი, მათ შორის 1,131 გადამწყვეტი ხმით და 374 სათათბირო ხმით. საშუალოდ ერთი დელეგატი მოდის პროფკავშირებში შეკავშირებულ 10.000 წევრზე. პროფკავშირთა ყრილობაზე პირველად იღებენ მონაწილეობას დელეგატები, რომლებიც უშუალოდ იქნენ არჩეული ფაბრიკებსა და ქარხნებში, სულ 62 წარმოებიდან არჩეულ იქნა 75 დელეგატი.

პოლონელ მუშების მისალმება

ამხ. იუზეფოვიჩმა წაიკითხა მისალმებები, რომლებიც ტელეგრაფით იქნა მიღებული ვარშავიდან. ერთ დეპეშაში ნათქვამია:

„ნორბლინის ლითონის ფაბრიკების, „პარავოზ“-ის და ობრენსკის ტყავეულის ქარხნის რევოლიუციონური მუშები, მუშა-მშენებლები, ქიმიკოსები და ხეზე მომუშავენი, მწუხარებას გამოსთქვამენ რა იმის გამო, რომ პოლიტიკური პირობების გამო არ შეუძლიათ გაგზავნონ დელეგაცია საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყრილობაზე, ძმურ პროლეტარულ სალამს უძღვნიან საბჭოთა კავშირის მუშებს, რომლებიც საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატის ბელადები არიან.

მეორე დეპეშაში ნათქვამია:

„ვარშავის საყოველთაო მთლიანობის კომიტეტი, რომელიც ვარშავის მრეწველობის ყველა დარგის რევოლიუციონური მუშების წარმომადგენელია, მწუხარებით აღნიშნავს, რომ, პოლიციის მიერ შექმნილ დაბრკოლებათა გამო, საშუალება არა აქვს გაგზავნოს დელეგაცია საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყრილობაზე. კომიტეტი ძმურ პროლეტარულ სალამს უძღვნის საბჭოთა ქვეყნის მუშებს. ჩვენ ვიბრძვით პროფმოძრაობის გაერთიანებისათვის როგორც ვარშავის რაიონის ფარგლებში, ისე მთელი ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, ჩვენ ვიბრძვით აშკარა ფაშისტებისა და სოციალ-ფაშისტების წინააღმდეგ. ვიბრძვით პროფმოძრაობის რევოლიუციონურ ხელმძღვანელობისათვის. ვარშავის საყოველთაო მთლიანობის კომიტეტი კვლავ განაგრძობს ბრძოლას პროფმოძრაობის გაერთიანებისათვის საერთაშორისო მასშტაბით, რომლისკენაც მიისწრაფვის მთელი რევოლიუციონური პროლეტარიატი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ხელმძღვანელობით“.

ყრილობა მხურვალე ტაშით შეხვდა პოლონეთის რევოლიუციონურ მუშების მისალმებას. მან ერთხმად დაადგინა—გაუგზავნოს საპასუხო დეპეშები. (ადს).

კონფლიქტი გერმანიის გემთსაშენ მრეწველობაში

სამედიატორო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება

ბერლინი, 21 დეკემბერი. სამედიატორო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება გემთსაშენებელ მრეწველობაში წამოჭრილ კონფლიქტების შესახებ აწესებს 50 საათის სამუშაო კვირას. გადაწყვეტილების თანახმად, ზედმეტ საათებში მუშაობა შეიძლება განუსაზღვრელად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს სამუშაოს პირობები, ან თუ ამის თანხმობას განაცხადებს საქ.-საფაბრიკო კომიტეტი. მაგრამ ზედმეტ სამუშაოსათვის ხელფასი დიდდება 25 პროცენტით. შემდეგ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება ითვალისწინებს სამუშაო ხელფასის გადიდებას 5 პფენიგით საათში. გაფიცულთა უკან მიღება სამუშაოზე უნდა ხდებოდეს წარმოების ტეხნიკური შესაძლებლობების მიხედვით (ადს).

რეაქციონური მთავრობა ლატვიაში

რეველი, 21 დეკემბერი. ესტონეთის სოციალ-დემოკრატების ორგანო „რახვა სენა“ ეხება ლატვიის ახალი მთავრობის შემადგენლობას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს მთავრობა ყველაზე უფრო რეაქციონურია ლატვიის არსებობის ათი წლის განმავლობაში.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს სამხედრო მინისტრად ნაციონალური ბლოკის წარმომადგენელის ოზოლის დანიშვნას, რომლის საშუალებითაც ფაშისტებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ არმიაზე. აღნიშნავენ აგრეთვე იმას, რომ მთავრობის კოალიციის შემადგენლობაში (სეიმში) მიიწვიეს ორი რუსი მონარქისტი, მათ შორის ეპისკოპოსი იოანე.

დასასრულ, გაზეთი სწერს:

„ლატვიის არსებობის ათი წლის თავისათვის ლატვიის ბურჟუაზიამ, მუშათა კლასის შიშით, ძალა-უფლება გადასცა იმათ, ვის წინააღმდეგ საბრძოლველადაც თავის დროზე წარმოიშვა ლატვიის რესპუბლიკა. ლატვიის მუშათა კლასს მძიმე ბრძოლა მოელის“ (ადს).

უკანასკნელი ცნობები

რეფორმისტების მუქარა

სტოკჰოლმი, 22 დეკემბერი. ხის დამამუშავებელთა სკანდინავიის სამდივნო გამორიცხვით ემუქრება ფინეთის ხის დამმუშავებელთა კავშირს, თუ უკანასკნელი ურთიერთობას არ გასწყვეტს საბჭ. კავშირის ხის დამამუშავებელთა კავშირთან.

მეზღვაურთა ერთიანი ფრონტი

სტოკჰოლმი, 22 დეკემბერი. დანიის, ნორვეგიის, შვეციის, ფინეთისა და საბჭ. კავშირის მეზღვაურთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენციამ, რომელიც კოპენჰაგენში შესდგა, დასდვა ხელშეკრულება მორალური და ეკონომიური დახმარების აღმოჩენის შესახებ ურთიერთისათვის.

„დეილი ჰერალდი“ ჩემბერლენის განცხადების შესახებ

ლონდონი, 22 დეკემბერი. „დეილი ჰერალდი“ ეხება რა ჩემბერლენის განცხადებას ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ, სწერს:

„ეს განცხადებები მხოლოდ თვალის ასახვევი საშუალებაა. საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაზე უარის თქმის ნამდვილი მიზეზია ის, რომ ჩემბერლენსა და კონსერვატორებს, როგორც განსაზღვრული კლასის წარმომადგენლებს, სძაგთ რუსეთის რევოლიუცია“.

მეიშტოვიჩის გადადგომა

ვარშავა, 22 დეკემბერი. პოლონეთის იუსტიციის მინისტრი მეიშტოვიჩი გადადგა. იუსტიციის მინისტრათ დაინიშნა იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე ცარი. პოლიტიკურ წრეებში მეიშტოვიჩის გადადგომას ხსნიან პრეზიდენტის უკანასკნელი დეკრეტით, რომლითაც ისპობა კონსტიტუციით უზრუნველყოფილი მოსამართლეების დამოუკიდებლობა. დეკრეტის ავტორი არის ცარი, რომელიც ამ დეკრეტს იცავდა სეიმში, ვინაიდან იმ დროს მეიშტოვიჩი არ ესწრებოდა სეიმის სხდომებს (ადს).

ძმური კავშირი

სტოკჰოლმი, 22 დეკემბერი. ნორვეგიის მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანო „არბეიტერ ბლადეტ“-ის ცნობით, 1929 წლის 15 იანვარს ქ. ოსლოში შესდგა ნორვეგიის შავ-მუშათა პროფკავშირის და საბჭოთა მთამადნო მუშების პროფკავშირის წარმომადგენლების კონფერენცია. კონფერენციაზე განხილულ იქნება ძმური კავშირის შექმნის საკითხი (ადს).

გომინდანის აღმასკომის დადგენილების წინააღმდეგ

პეკინი, 22 დეკემბერი. „გოვენი“-ს სააგენტოს ცნობით, გუშინ შესდგა გომინდანის ადგილობრივი ორგანიზაციის კომიტეტის სხდომა. კომიტეტმა არ მოიწონა გომინდანის აღმასკომის დადგენილება კომიტეტის ხუთი წევრის გაწვევის შესახებ და წინადადება მისცა ყველა ორგანიზაციებს ხმა მისცენ ხუ-ხანმინის გადადგომის მოთხოვნას (ადს).

მიტინგების და დემონსტრაციების აკრძალვა

ბერლინი, 22 დეკემბერი. უმუშევართა დემონსტრაციების დროს უკანასკნელ დღეებში მოხდა შეტაკება უმუშევართა და პოლიციას შორის. ამის გამო პოლიციის უფროსმა აკრძალა ყოველგვარი მიტინგები და დემონსტრაციები (ადს).

ბურჟუაზიული სასამართლოს განაჩენი

რიგა, 22 დეკემბერი. კომუნისტური პარტიის წევრობისათვის ოლქის სასამართლომ დანეს, ცირულს, ოლგუს, კალეს და ბერზინსკის მიუსაჯა თითოს ოთხი წლის, მარიას, ბრეიტს და კარაკლინზაკისს თითოს 3 წლის და მცირე წლოვან ვლადიმირ ვაიილიევს 2 წლის კატორღა (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება ამერიკასთან

მოსკოვი, 22 დეკემბერი. ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო საზოგადოების რწმუნებულმა პოლიაკოვმა საუბარში თავის წასვლის წინ განაცხადა, რომ წარსულ საოპერაციო წელს ამერიკასთან ვაჭრობამ მიაღწია სარეკორდო ციფრს, რომელიც უდრის 209,5 მილიონ ოქროს მანეთს. რუსეთ-ამერიკის სავაჭრო ურთიერთობის ისტორიაში ჯერ არ ჰქონია ადგილი ვაჭრობის ასეთ წარმატებას. რაც შეეხება მომავალ პერსპექტივებს — ესენი კიდევ უკეთესია

პანაიტ ისტრატი

მოსკოვი, 22 დეკემბერი. მოსკოვში დაბრუნდა მწერალი პანაიტ ისტრატი, რომელიც დიდის კმაყოფილებით გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს საბჭოთა კავშირში მიმდინარე მშენებლობის შესახებ. ვინაიდან —ამბობს ის— ადგილებზე მრავლად არიან თავდადებული ამხანაგები, ფანატიკოსები სოციალიზმისა, მშენებლობა შეუჩერებლად იზრდება. ფრიად თვალსაჩინოა ეს ამიერ-კავკასიაში. პანაიტ ისტრატი განსაკუთრებით აგვიწერს ჩაის და მანდარინების პლანტაციებს ბათომის მიდამოებში და აფხაზეთის თუთუნის პლანტაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი საფრანგეთიდან

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მორიგი ფინანსიური პანამა.—მსხვილ კაპიტალის სადარაჯოზე.—ამხ. მარტის საქმე.—პუანკარე—ფაქტიური გარეშე საქმეთა მინისტრი.—იტალიის ფაშიზმის შემოტევა

დაქვეითების პერიოდის კაპიტალიზმი განსაკუთრებით ქმნის ავანტიურისტთა, მძარცველთა და არამზადების ბრბოებს. ახეთი ბრბოები ბევრია საფრანგეთში, სადაც ისინი ტრიალებენ ბირჟის გარშემო. მათ აქვთ სპეციალური პრესა, რომელიც როგორც იტყვიან, რეკლამას უკეთებენ ოქროს მადანის აღმოჩენას მთვარეზე და სხვ. დაპირებები ფანტასტიური მოგების შესახებ იზიდავს გამდიდრების სურვილით თავბრუდახვეულ უთავალავ წვრილ მესაკუთრეებს, რომელნიც თავიანთ თანხებს აძლევენ ბირჟის აფერისტებს, ყალბი სააქციო საზოგადოების ორგანიზატორებს.

რომ უფრო ადვილად მიიზიდონ წვრილი რანტიე ბირჟის სპეკულიანტები და ოქროს მადნების (მთვარეზე) ორგანიზატორები დახმარებისათვის მიმართავენ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, დეპუტატებს, მინისტრებს და მსხვილ ჟურნალისტებს, რომელნიც რიგიან გასამრჯელოსათვის თანხმდებიან ნორმალურად მონაწილეობა მიიღონ ე. წ. სამმართველოებში, ადმინისტრატიულ საბჭოებში და სხვ. როცა წვრილი ბურჟუა ხედავს ახეთ ცნობილ სახელებს, ის საქმეს სამედოთ სთვლის და სიხარულით აძლევს მთელ თავის თანხებს გაიძვერა ბურჟუის აფერისტებს. ხშირად ადგილი აქვს პირდაპირ მოსყიდვასაც.

ასე წარმოიშვა საქვეყნოდ ცნობილი ფინანსიური სკანდალები: პანამა, როშეტის საქმე და სხვ. ფინანსიურ კაპიტალის სცენაზე აღმოცენდა ახალი სკანდალი. ქალბატონმა ანომ და მისმა ქმარმა განიზრახეს თავის სასარგებლოდ გამოეყენებიათ ფრანკის გადარჩენა და ჟენევის პაციფიზმი. მათ დაარსეს „ფრანკისა და ხალხთა გაზეთი" მიიწვიეს თანამშრომლებად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი, მწერლები და ჟურნალისტები, რომელთაც აძლევდნენ დიდ ჰონორარს (10,000 ფრანკი და მეტი თვეში). ეს ყოველკვირეული გაზეთი ფინანსიური სპეკულიაციის ცენტრი გახდა. აფერისტებმა ჩაიჯიბეს ახეული მილიონები. თანამშრომლებს შორის იყო ისეთი ხალხი, როგორიც, მაგ. პუანკარე, ჟუო, ვანდერველდე და სხვ. ყველაზე უფრო საინტერესოა ის, რომ ამ აფერისტულ ორგანიზაციის სათავეში მდგომი პირები არა ერთხელ ყოფილან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულნი. გარდა ამისა ქ-ნ ანოს ჰქონდა ბრწყინვალე სალონი, სადაც თავს იყრიდა მთელი პოლიტიკური არისტოკრატია. მას თავისი ბიურო და სალონი ჰქონდა არა მარტო პარიზში, არამედ აგრეთვე ჟენევაშიაც. ეს ქალი ორი მინისტრის როლს ასრულებდა: როგორც პუანკარე ის იცავდა ფრანკს და როგორც ბრიანი იცავდა მშვიდობიანობას. ვინაიდან ქ-ნი ანო არ იმყოფებოდა ისეთ პოლიტიკურ სიმაღლეზე, როგორც დასახელებული ვაჟბატონები, ამიტომ ის მოხვდა სატუსაღოში ქუჩის მეძავ ქალებთან ერთად.

ამით სკანდალი არ ამოწურულა. ანომ მოახერხა კავშირის გაბმა მემარცხენე ბლოკთან და იჯარით აიღო მისი მთავარი ორგანო „კოტიდიენ", საინტერესოა ის რომ „კოტიდიენ"-ის მესაკუთრეა მინისტრი ჟენიხი, რომელიც ამავე დროს კონიაკითაც ვაჭრობს. ერთი სიტყვით, ყველა ამ პატიოსანმა ხალხმა შეადგინა სინდიკატი, რომელიც სძარცვავდა წვრილ ბურჟუაზიას. ამას კიდევ მიემატა ახალი სკანდალი, რომელიც შეეხება კლემანსოს კაბინეტის ყოფილ ფინანსთა მინისტრს ბ. კლოცს. ეს ის კაცია რომელმაც ხელი მოაწერა ვერსალის ტრაქტატს და რომელმაც პარლამენტის ტრიბუნიდან ამაყად განაცხადა, რომ გერმანია გადაიხდის 400 მილიარდამდე, არ მახსოვს, ოქროს ფრანკს თუ ოქროს მარკას. სკანდალი გამოიხატება იმაში, რომ ბ. კლოცმა ხელი მოაწერა ყალბ ჩეკზე, ე. ი. გასცა თამასუქი არარსებულ კაპიტალზე.

ბურჟუაზიული პრესა დააფრთხო დიდმა სკანდალმა, რომელიც მშვენივრად ახასიათებს კაპიტალისტურ საზოგადოების ბუნებას. ამიტომ ბურჟუაზიული პრესა სცდილობს შეამციროს ამ სკანდალის მნიშვნელობა ან პირდაპირ მიაფუჩეჩოს იგი. თითქმის ამასვე სჩადის „სოციალისტური" პრესა. ახე, მაგალითად. ამ პარტიის ბელადმა ბატონმა ბლიუმმა რაინდულად განაცხადა, რომ სკანდალის „მთავარ დამნაშავეთა" დაპატიმრების შემდეგ მას საქმე დამთავრებულად მიაჩნია: ყველაფერში დამნაშავეა ბირჟაზე თამაშობით დემონიური გატაცებაო, ხოლო ამ პარტიის წარმომადგენელმა პარლამენტში შასტენემ, რომელმაც შეკითხვა შეიტანა პალატაში ამ საქმის შესახებ, სავსებით დაკმაყოფილებულად გამოაცხადა თავი მას შემდეგ, რაც ფინანსთა მინისტრმა წარმოსთქვა რამდენიმე ბანალური ფრაზა იმის შესახებ, რომ მთავრობა განიხილავს, მოაგვარებს საქმეს, დასჯის ვისაც ჯერ არს და სხვ. ახეთი ფრაზები და ახეთი დაპირებები მთავრობისაგან სხვა ამგვარი სკანდალების დროსაც არა ერთხელ გვსმენია, მაგრამ, რა თქმა უნდა, სრულიად უშედეგოდ.

საქმე იმაშია, რომ დეპუტატებისა და მინისტრების უდიდესი უმრავლესობა ყოველგვარ სააქციო საზოგადოებათა მფარველებია. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ბანკი დაახლოვებით ამასვე სჩადის, მხოლოდ ნაკლებ სკანდალური ფორმით. ახე, მაგალითად, უდიდესმა ბანკებმა დიდძალი ფული მოიგეს მეფის სესხებზე. შემდეგ კი ეს სესხები უფართოესი რეკლამის საშუალებით გაასაღეს მრავალ ახს ათას წვრილ მესაკუთრეთა შორის.

სკანდალების პარალელურად დეპუტატთა პალატა გამალებით, თითქმის უდისკუსიოდ ამტკიცებს 60 მილიარდიან სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც საშუალოდ 6.000 ფრანკ გადასახადს აკისრებს ყოველ ოჯახს, ამ გადასახადების მთავარი სიმძიმე, რა თქმა უნდა, ეკისრება მასიურ მომხმარებელს. ფინანსთა მინისტრმა კატეგორიული უარი განაცხადა იმაზე, რომ ოდნავ მაინც გაედიდებია მდიდართა დაბეგვრა და ეს იმ საბაბით დაასაბუთა, რომ „ახალი გადასახადების წინააღმდეგი" ვარო. მას ურჩევნია ძველი გადასახადებით დაბეგროს ხალხი, ვიდრე ახალი გადასახადებით კაპიტალი. მასიური უკმაყოფილება აუტანელი საგადასახადო ტვირთის გამო იმდენად დიდია, რომ ეხლა რადიკალებიც კი იძულებულნი გახდნენ ხმა მიეცათ დიდი ბანკების მთავრობის წინააღმდეგ. პუანკარეც იძულებულია დაკმაყოფილდეს სრულიად უმნიშვნელო უმრავლესობით, რომელიც რამდენიმე ათეულ ხმას შეადგენს.

რეპრესიები მუშათა კლასისა და მისი რევოლუციონური ავანგარდის წინააღმდეგ მით უფრო გააფთრებით გრძელდება, რაც უფრო ცუდად მიდის ბურჟუაზიის საქმე. ამ რამდენიმე ხნის წინად სასამართლოს წინაშე წარსდგა საპყრობილეში მჯდომი ამხ. მარტი იმის გამო, რომ მან მკაცრად გააკრიტიკა მარშალი ფოში, რომელმაც ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთისათვის მიცემულ ცნობილ ინტერვიუში მწუხარება გამოსთქვა, რომ საფრანგეთმა და მისმა მოკავშირეებმა საკმაო ძალები არ მისცეს მას საბჭოთა რუსეთის დასახრჩობად. მთავრობის წრეებმა პირდაპირ სიცრუეს მიმართეს—მათ განაცხადეს, ფოშს ახეთი ინტერვიუ არ გაუცია. სასამართლოში კი საბუთებით დამტკიცდა, რომ მარშალმა ეს ინტერვიუ მისცა გაზეთს და წინასწარ თითონ გადაათვალიერა. ამ დღეებში მოელიან განაჩენს (სასამართლომ განაჩენი უკვე გამოიტანა: ამხ. მარტის მიესაჯა ოთხი წლით დაპატიმრება და ჯარიმა 3.000 ფრანკის რაოდენობით. რედ.).

რეაქციის თანდათან გაძლიერება, რა თქმა უნდა, საგარეო პოლიტიკაშიაც იჩენს თავს. ბრიანი, რომელსაც უკანასკნელ დრომდე მშვიდობიანობის მოყვარულად მოჰქონდა თავი, რისთვისაც ნობელის პრემიაც კი მიიღო, თანდათან უფრო გადადის შეურიგებელ პუანკარეს პოზიციაზე. ის აშკარად უმერს მხარს ანტი-საბჭოთა კოალიციას, სავსებით უკარგავს მნიშვნელობას ლოკარნოს, უდიდეს დათმობას მოითხოვს გერმანელებისაგან, ხოლო რეპარაციების საკითხში სრული თავისუფლება მისცა პუანკარეს, რომელიც არსებითად ასრულებს ნამდვილი საგარეო საქმეთა მინისტრის როლს, გაიძვერა ბრიანს კი უტოვებს მჭერმეტყველი ორატორისა და დიპლომატიური დონ-ჟუანის დეკორატიული როლს.

იტალიის ფაშიზმი ცეცხლს აფრქვევს საფრანგეთის წინააღმდეგ იმის გამო, რომ იქ ნახევრად გაამართლეს იტალიელი, რომელმაც პარიზში მოჰკლა იტალიის კონსული გრაფი ნორდინი, ყოველ სხვა დროს მთავრობა სადადროს პასუხს გასცემდა ფაშიზმს, ეხლანდელი რეაქციის ხანაში კი საფრანგეთის მთავრობა ფაშიზმისათვის პასუხის გაცემის ნაცვლად გააფთრებით დაესხა საწყალ იტალიელ ემიგრანტებს და ამავე დროს ავიწროებს ყველა უცხოელებს, განსაკუთრებით კომუნისტებს.

ხ. რაპაპორტი.

პარიზი, 12 დეკემბერი.

შეერთებული შტატების სენატმა გადასდო

კელოგის პაქტის რატიფიკაცია

ვაშინგტონი, 21 დეკემბერი. სენატმა გადასდო კელოგის პაქტის რატიფიკაცია, აგრეთვე საზღვაო პროგრამის მიღება. ამ საკითხებს განიხილავენ სენატის სესიაზე, რომელსაც 3 იანვრისათვის იწვევენ (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

გასაღებულია 494 მილიონ მანეთის ობლიგაცია

მოსკოვი, 22 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის, უკანასკნელი ცნობებით. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი საბჭოთა კავშირში გასაღებულია 494 მილიონი მანეთის რაოდენობით, აქედან ქალაქებში—422 მილიონი მანეთისა, სოფლებში—72 მილიონი მანეთისა. 457 მილიონი მანეთის ობლიგაციები კოლექტიური ხელისმოწერით გასაღდა. (ადს).

სესხის ახალი განაწილება

მოსკოვი, 22 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ, ცაკის გადაწყვეტილების გამო, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის თანხა გაადიდა 50 მილიონი მანეთით. რადგან პროცენტიან-მომგებიანი ობლიგაციების რაოდენობა განსაზღვრულია 200 მილიონი მანეთით, ხოლო უპროცენტო-მომგებიანი—350 მილიონი მანეთით, ამის გამო იცვლება მოგებათა განაწილება. მომგებიან-პროცენტიანი ობლიგაციების ყოველ ტირაჟში (სულ 24 ტირაჟიანი) ოთხი მოგება იქნება 5.000 მანეთიანი თითო, 80 მოგება—1.000 მანეთიანი თითო, 600 მოგება—250 მანეთიანი თითო და 22.516 მოგება—100 მანეთიანი თითო.

უპროცენტო-მომგებიანი ობლიგაციების ყოველ ტირაჟში იქნება: 14 მოგება—5.000 მანეთიანი თითო, 280 მოგება—1.000 მანეთიანი თითო, 2.100 მოგება—250 მანეთიანი თითო და 43.006 მოგება 100 მანეთიანი თითო.

ამხ. ბრიუხანოვი ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის შესახებ

მოსკოვი 22 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ბრიუხანოვმა შემდეგი განაცხადა:

„ინდუსტრიალიზაციის სესხი გასაღებულია. დეკემბრის დამდეგს სესხის რეალიზაციის ჯამი შეადგენდა 494 მილიონ მანეთს. ამასთან ხელისმოწერა სოფლად კიდევ გრძელდება და, ეჭველია, 1 იანვრამდე იგი ახალ დამატებით შედეგებს მოგვცემს. ასეთ პირობებში სესხის პირვანდელ ჯამზე—500 მილიონ მანეთზე—გაჩერება ნიშნავს, არა მარტო იმას, რომ შევაფერხოთ ჯერ გაცხოველებული ხელის მოწერა სოფლად, არამედ იმასაც რომ არ დავაკმაყოფილოთ სხვადასხვა სოფლის გლეხების სურვილი ხელის მოწერაზე. ამიტომ მთავრობამ ინდუსტრიალიზაციის სესხის ჯამი გაადიდა 550 მილიონ მანეთამდე. ამავე დროს უპროცენტო ობლიგაციების ჯამი 350 მილიონი მანეთით განისაზღვრა, ხოლო პროცენტიანი ობლიგაციებისა—200 მილიონი მანეთით.

ამგვარად, კამპანიის შედეგი სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩავთვალოთ. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი 550 მილიონი მანეთის რაოდენობით—უდიდესი საკრედიტო ოპერაციაა არა მარტო ჩვენი მასშტაბით, არამედ ევროპის საფონდო ბაზრების მასშტაბითაც. ოთხი თვის განმავლობაში სესხის წარმატებით გასაღება წვრილი თანხების პატრონთა შორის ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები მხარს უჭერენ თავიანთი მთავრობის ყველა ღონისძიებას სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. ჩვენი სახელმწიფო კრედიტის წარმატების საიდუმლოების მიზეზი ეს არის. (ადს).

წყალდიდობა ლენინგრადში

ლენინგრადი, 21 დეკემბერი. 20 დეკემბერს საღამოსთვის ნევაზე წყლის დონემ ძალიან აიწია. ნევას მარცხენა ნაპირზე წყალი შევარდა ორ ფაბრიკაში, სტეპანის ქარხნის ორ განყოფილებაში და დამზადებულ საქონლის საწყობში. „კარდინალ"-ის ფაბრიკაში წყალი შევარდა სამანქანო განყოფილებაში. ნევის მარჯვენა ნაპირზე წყალმა დაჰფარა მთელი მიდამო ყოფილი ჩერნოვის აგარაკიდან კრასნი გოროდოკამდე. მოსახლეობა ჩარდახებზე ადის. წყლით დაფარულ რაიონებში მუშაობენ მესანძრეთა რაზმები, ცხენოსანი მეხანძრეთა რაზმები, წყალქვეშ მცურავთა სკოლის მოწაფენი და სხვ. ზოგიერთ ფაბრიკაში მუშაობა შეჩერებულია. ღამით ჩვეთაა მთელ სანაპირო რაიონში სინათლე ჩაქრალი იყო, რადგან მოზღვავებულმა ყინულმა ელექტრონის ბოძები დაანგრია. იმ ფაბრიკებში სადაც წყალი შევიდა, მუშები განუწყვეტლივ მუშაობდნენ ტუმბოების გადასარჩენად. წყალმა დაფარა მახლობელი სოფლები ნევის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე; მოსახლეობას სახლებს იქ ნავებით აწვდიან.

უკანასკნელი ცნობებით, წყალმა დაიკლო. 21 დეკემბერს შესაძლებელი იქნება მუშაობის განახლება იმ ფაბრიკებში, რომელთაც მუშაობა 20 დეკემბერს შეაჩერეს.

აღარ მუშაობს ელექტრო-სადგური „კრასნი ოქტიაბრ"-ი, რადგანაც წყალი მის სამანქანო განყოფილებაში შევიდა. ლენინგრადის მრეწველობის ნორმალური მომარაგებისათვის ვოლხოვის სადგურის ძალოვნება 21 დეკემბერს აყვანილ იქნა 58.000 კილოუატამდე. ხოლო პირველი ელექტროსადგურის ძალოვნება—50.000 კილოუატამდე. მუშაობა არსად არ შეწყვეტილა. „კრასნი ოქტიაბრ"-ში მუშაობას ალბად, 24 დეკემბერს განაახლებენ.

ლენინგრადი, 22 დეკემბერი. 22 დეკემბერს ნევაზე წყლის დონეს არ დაუკლია, გარდა ნევის გემთსაშენი სადგურისა და როჟკოვის ნავთსადგურის რაიონისა. „წითელი ოქტომბრი"-ს ელექტროსადგურთან წყალმა მოიმატა კიდეც (ადს).

ლუდორვაელ კულაკების პროცესი

იჟევსკი, 22 დეკემბერი. 20 დეკემბერს, სასამართლოს საღამოს სხდომაზე დამატებით იქნა დაკითხული მოწმე კოსარევი მან დაწვრილებით უამბო სასამართლოს, თუ 1921 წელს რა მხეცურად გაუსწორდა მის შვილს კომუნისტს რამდენიმე კაცი, რომელთა შორის იყვნენ ბრალდებულნი სირაევი და ტაჩკინი, კოსარევის შვილი დაიჭირეს მიყრუებულ გზაზე და საშინლად სცემეს. ნაცემი კოსარევი გარდაიცვალა. მოწმეებმა შენტაკოვმა და მასლოვმა უამბეს სასამართლოს, რომ ბრალდებულნი მეჩაჩევი და ერმოლოვი ხელს უშლიდნენ პურის დამზადების საქმეს და ცდილობდნენ კრებების ჩაშლას. მასლოვმა განაცხადა, რომ ცემა მოხდა იმ კრების შემდეგ, რომელიც ღარიბმა გლეხობამ გამართა პურის დამზადების საკითხებისათვის. მოწმეობამ პირდაპირ სთქვა რომ საუკეთესო მიწები კულაკებს ჰქონდათ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მიწათმოწყობას. კულაკებს ზურგს უმაგრებდნენ საბჭოს შემდეგში შეაჩერებულ წევრები, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს დოკუმენტებს მიწათმოწყობის შესახებ.

21 დეკემბრის დილის სხდომაზე სასამართლომ დაჰკითხა 7 მოწმე. მათ სთქვეს, რომ ბრალდებული ტოკარევი ცემაში მონაწილეობას იღებდა კულაკების ზედამხედველობით. რამდენიმე მოწმის ჩვენების თანახმად, ცემაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოწმე გრაგოლ მირონოვი.

სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა მირონოვის პასუხისგებაში მიცემისა და დაპატიმრების შესახებ. (ადს).

ანტირელიგიური მუშაობის გაძლიერება სკოლებში

მოსკოვი, 22 დეკ. როგორც განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა თავის მორიგ სხდომაზე აღნიშნა, იზრდება სექტანტური და საეკლესიო ორგანიზაციების აქტივობა, რელიგიურ სულისკვეთებას ფეხი მოკიდებული აქვს განათლების მუშაკთა ჩამორჩენილ ფენებს შორის. მასიურ საბჭოთა სკოლებში მოსწავლეთა საგრძნობი რიცხვი აკლდება სწავლას რელიგიური დღესასწაულების დროს.

განათლების მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმმა განათლების სახ. კომისარიატს მიმართა წინადადებით—გაძლიერდეს შეტევა ანტირელიგიურ ფრონტზე და ამისათვის მოამზადოს მასწავლებელთა საჭირო კადრები.

განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმი საჭიროდ სცნობს, რომ განათლების სახ. კომისარიატმა წინანდელი დირექტივები შესცვალოს იმგვარად, რომ სკოლებში შემოღებულ იქნას მოსწავლეთა ანტირელიგიური აღზრდა. ტეხნიკუმების და უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების პროგრამაში შეტანილ უნდა იქნას ანტირელიგიური მოძღვრებათა სწავლება. (ადს).

საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა თანამშრომლობა

მოსკოვი 22 დეკემბერი. უცხოეთიდან დაბრუნდა აკადემიკოსი ლაზარევი, რომელიც შეუთანხმდა საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ავსტრიის და სხვა ქვეყნების გამოჩენილ მეცნიერებს, სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ. პარიზის რადიუმის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფესორმა ლაკასანმა სურვილი გამოსთქვა იმუშაოს მოსკოვის რენტგენის ინსტიტუტთან შეთანხმებით. 1929 წლის მეორე ნახევარში პროფ. ლაკასანი ჩამოვა მოსკოვში (ადს).

პარტიაში

მოსკოვის სამაზრო პარტკონფერენცია

მოსკოვი, 22 დეკემბერი. მოსკოვის სამაზრო პარტიულ კონფერენციაზე ც. კ.-ის მდივანმა ამხ. **მოლოტოვმა** ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ამხ. მოლოტოვმა თავის სიტყვაში გაარკვია საერთაშორისო მდგომარეობის რამდენიმე საჭირბოროტო საკითხი (ადს).

კიევის საოლქო პარტკონფერენცია

კიევი, 22 დეკემბერი. გაიხსნა კიევის ოლქის მე-14 საოლქო პარტკონფერენცია. წითელდროშოვანი ქარხნის უპარტიო მუშების სახელით კონფერენციას მიესალმა ძველი მუშა, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა:

„ჩვენ კომუნიზმისაკენ მივდივართ სწორი გზით. ჩვენ ვეხმარებით ლენინის პარტიას, რადგან იგი ნამდვილი პროლეტარული პარტიაა".

კონფერენციას მიესალმნენ კიევის პროლეტარიატის სხვა წარმომადგენელნიც, არმიის და უკრაინის სამეცნიერო აკადემიის წარმომადგენელნი, (ადს).

ლენრაიონის მე-11 პარტკონფერენცია

უკანასკნელი სხდომა

ლენინის რაიონის პარტკონფერენციის მე-9 სხდომა გაიხსნა ამხ. ქავთარაძის თავმჯდომარეობით.

კონფერენციამ რაიონული კომიტეტის პოლიტიკური ხაზი ჩასვლათა სწორად; პრაქტიკული მუშაობა კი დამაკმაყოფილებლად.

ამის შემდეგ წაკითხულ იქნა რეზოლუციები ამხ. მიხა კახიანისა და რაიკომის მოხსენებების გამო. რეზოლუციები მიღებულ იქნა ერთხმად.

დაიწყო არჩევნები. რაიონული კომიტეტის ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნა 115 წევრი და 27 კანდიდატი.

ლენრაიკომის ახალი შემადგენლობა

ლენრაიკომში წევრებად არჩეულ იქნა: ამხ. სუხიშვილი, ასრიბეკოვი, ფანცულაია, შოგირაძე, გუდავაძე, გიორგაძე, გეგეშიძე, ქავთარაძე, ჩოდრიშვილი, გიორგობიანი, გოლდბაუმი, ბარსეგოვა, ბოდანოვი, პოგოდაევი, ქელუდევი, ბერიძე, პოზდეევი, ელიაშვილი, ზაკამოლდინი, მარიამიძე, ლელაშვილი, მაისურაძე, კოპალავაშვილი ვარო, კარგარეთელი, სირაძე, სულავა, თავშავაძე. ფირცხალავა. ზაქრაძე, გორაშვილი, მელაშვილი, იტრიევი ოვანესი, ვაშაკიძე ვალერიან ფირცხალავა ანდრო, პრეობრაჟენსკი, ჯატიევი, სართანია, ბახილია, რაზმაძე; ბაბუციძე; მაკაროვი, ლუსკინა, რთველაძე, ხუბულური, მარტიროსოვი; ქართველიშვილი მაქსიმე; ხარაძე, იტრიევი ვასილი, იაშვილი, გოზალოვი. დავითულიანი, ვოლსკი, თაქთაქიშვილი, ბურიაში, მარგიშვილი, ზოგაროვსკი, ხარებავა, ხორბილი, ჩერნიშოვი, გოგინაშვილი, დაცკოვი, ბუზნიოვი, ბედია, მშველიანი, არეშინი თითბერიძე, ჟიგულცოვი; ფიცხალაური; სტრეპეტოვი, მაჟავარიანი, ანდღულაძე, კარასიოვი, ზაკანუდინი, მიხაილოვა, ხანაკოევი, კალაძე, შოვნაძე, მაჟავარიანი ალექსანდრე, ფარასტაევი, ლაპინი, ბაიდაშვილი, პეცოვი გოგლოევი. პანიევი, ფურცხვანიძე, კირაკოზოვი; გალუნჩაძე, ვულიშვილი, ფილიპოვი, ანდრონიანოვი, რონზონი, მარიკოვა, არლოვი, მთვარელიძე, გოგოლაძე, ვალერიან შენგელია, ვოიკინი, რუხაძე, მარჯანაძე, მნაცაკანოვი, კაშირინი, აკიმოვი, ორმოცაძე, ბარამიძე, გრიცენკო, კამრაკოვა, პრადონოვი, ცხოვრებოვი, ბაბკოვა; ჟებიანცი; კოჩიევა, კორნიევი. ტაგაევი, ათაბეკოვი და აღდგომელაშვილი.

კანდიდატებათ: ამხ. ორლოვი, მუსელიძე, სმოლიაკოვი, გარგალადუევა, დალიშვილი არეშინა; კიკნაძე; ლევინი; თოფურიძე; ზენაშვილი, ცაბაძე, სპირიდონოვი, ბეჟანოვი გრიგოლი ხელაია, შავერდოვი, დევდარიანი, დიკი, შახნაზაროვი, დოიდმაშვილი; ბუჯიაშვილი, რუხაძე, ტიკოლადი, ჩელიძე, კარპოვი, თუთურაშვილი, იობაძე და მინასარიანი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ წევრებათ ამხ. ზუბოვი, მედვედევი; თავდოშვილი, კოპანოვი, ბოხუა მაისურაძე ივანე და დენისენკო, კანდიდატათ: ამხ. სინდიკაშვილი.

თბილისის პარტკონფერენციაზე დასასწრებლად არჩეულ იქნა 150 დელეგატი და 50 სათათბირო ხმის უფლებით.

ამის შემდეგ კონფერენცია დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ბიუროების გადარჩევის შედეგები თბილისის ორგანიზაციაში

უჯრედების ბიუროების გადარჩევის ახლახან დამთავრებული კამპანიის დროს პარტიულმა მასებმა თვალსაჩინო აქტივობა გამოიჩინეს. საარჩევნო კრებებს დაესწრო წევრებისა და კანდიდატების 75,5 პროცენტი, წინა კამპანიის დროს კი—74,5 პროცენტი; ამავე დროს, საწარმოო უჯრედების კრებებს ნაკლები დაესწრო, ვიდრე დაწესებულებათა და სხვა უჯრედების კრებებს. ეს გარემოება იმის მაჩვენებელი არ არის, რომ საწარმოო უჯრედების აქტივობა შემცირებულიყოს, ვინაიდან თუ ყურადღებას მივაქცევთ აქტივობის სხვა ნიშნებს—გამოსვლებისა და საკითხების რაოდენობას, დავინახავთ, რომ საწარმოო უჯრედები წინ უსწრებენ სხვა უჯრედებს. არჩევნები ჩატარებულია—192 უჯრედში, სადაც 11.106 კომუნისტი ითვლება. სულ ბიუროების შემადგენლობაში ამორჩეულია 1.442 კაცი.

ბიუროების შემადგენლობაში შემდეგი ცვლილებანი მოხდა: სოციალური მდგომარეობის მიხედვით—მუშების 63,6 პროცენტი უცვლელად დარჩა, მოსამსახურეების რიცხვი 32,7 პროცენტიდან 31,5 პროცენტამდე შემცირდა, გლეხობის რიცხვმა 3,7 პროცენტიდან 4,9 პროცენტამდე იმატა. ბიუროების შემადგენლობაში გლეხების პროცენტის ზრდა იმით აიხსნება, რომ უმაღლეს სასწავლებლებში, მუშფაკებზე და საბჭოთა პარტიულ სკოლებში გლეხების ახალი ჯგუფები მიიღეს. ამ უჯრედში გლეხების რიცხვი 6 პროცენტით გაიზარდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გაზაფხულის არჩევნებიდან დღევანდლამდე საბჭოთა დაწესებულებების უჯრედების რაოდენობა უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე საწარმოო უჯრედები, მაშინ მუშების შემადგენლობის უცვლელობა ვანსაზღვრულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ გლეხობის რიცხვი მექანიკურად გაიზარდა სასწავლებელთა უჯრედების ჯგუფში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ ორ ფაქტორს, რომელმაც გავლენა მოახდინეს სოციალური შემადგენლობის გაუარესებაზე, შეიძლება ვსთქვათ, რომ ბიუროების სოციალური შემადგენლობის მხრით მიღწევები გვაქვს.

მიღწევას წარმოადგენს აგრეთვე წარმოების მუშათა რიცხვის ერთგვარი გადიდება—39,7 პროცენტიდან 39,8 პროცენტამდე. საწარმოო უჯრედებში დაზგის მუშები შეადგენენ 64,7 პროცენტს.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, დიდ დეფექტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ თბილისის ორგანიზაციის აქტივის შემადგენლობაში (ამ შემთხვევაში ბიუროებს შემადგენლობაში) მუშების პროცენტი თვალსაჩინოდ ჩამორჩება მუშების პროცენტს თვით ორგანიზაციის შემადგენლობაში: თბილისის ორგანიზაციაში მუშები ამჟამად 68 პროცენტს შეადგენენ, ბიუროების შემადგენლობაში კი მხოლოდ 63,6 პროცენტს. ასეთი ჩამორჩენილობა არანორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ უჯრედებმა და თავის შემდგომ მუშაობაში ეს ნაკლი გამოასწორონ.

ქალების რიცხვმა 8,9 პროცენტიდან 8 პროცენტამდე იკლო. მართალია, ორგანიზაციის შემადგენლობაშიც რაოდენიმე შემცირდა ქალთა პროცენტი (2-ით), მაგრამ ქალების პროცენტის შემცირება უჯრედების შემადგენლობაში მაინც ერთგვარ ნაკლს წარმოადგენს.

კომკავშირელთა რიცხვი 6,2 პროცენტიდან 8,6 პროცენტამდე გადიდდა.

პარტიული სტაჟის მიხედვით შემდეგ სურათს ვხედავთ:

ძველ შემადგენლობაში პარტიის წევრები 1917 წლიდან შეადგენდნენ 5,6 პროცენტს, 1917—20 წ.—23,9 პროც., 1921—23 წ.—12,8 პროც., 1924 და შემდეგ წლებიდან —57,7 პროცენტს.

ახალ შემადგენლობაში პარტიის წევრები 1917 წლიდან შეადგენდნენ 5,3 პროცენტს, 1917—20 წ.—28,5 პროც., 1921—23 წ. — 8,6 პროც., 1924 და შემდეგ წლებიდან — 57,6 პროც.

ამგვარად. თვალსაჩინოდ გაიზარდა პარტიულთა კადრები, რომელთაც ფარული მუშაობის სტაჟი აქვთ (1917—29 წ.წ.)—23,9 პროცენტიდან 28,5 პროცენტამდე; იმ კომუნისტების რიცხვმა, რომელთაც სტაჟი აქვთ 21—23 წლებიდან, 12,8 პროცენტიდან 8,6 პროც. იკლო და რამდენადმე შემცირდა პარტიის ახალი წევრების პროცენტი.

უეჭველია, ბიუროების წევრთა შემადგენლობას ერთგვარი გაუმჯობესება ემჩნევა პარტიული სტაჟის მიხედვით.

ეროვნული შემადგენლობის მხრით გაიზარდა ქართველების რიცხვი—45,8 პროცენტიდან 47,2 პროცენტამდე, შემცირდა სომხების რიცხვი—27,6 პროცენტიდან 26,3 პროცენტამდე, რუსებისა—17.4 პროცენტიდან 16,8 პროცენტამდე, დანარჩენთა რიცხვი გაიზარდა 8,2-დან 8,7 პროცენტამდე. თურქების პროცენტი უცვლელად დარჩა.

ბიუროების შემადგენლობა განახლდა 65,3 პროცენტით, წინანდელი შემადგენლობა კი —45,3 პროცენტით.

ამგვარად, ბიუროების შემადგენლობა თვალსაჩინოდ განახლდა.

ი. რუხაძე.

კომკავშირში

კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის მე-8 პლენუმი

რეზოლუცია

მოისმინა რა ამხ. **ნაზარეტიანის** მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი ეურთდება ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებებს და სავსებით იწონებს მათ.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებანი არა თუ ადასტურებენ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის არსებული ტემპის შენარჩუნებას, არამედ საჭიროდ სთვლიან ამ ტემპის გაძლიერებასაც და აგრეთვე პარტიის მე-15 ყრილობის მიერ დასახული მთელი გენერალური ხაზის ურყევობას,

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის რაც შეიძლება უფრო სწრაფი ტემპის შემდგომი შენარჩუნებისა და გაძლიერების, კერძოდ მძიმე მრეწველობის გაძლიერებული განვითარების ხაზი წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს და განვახორციელოთ სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმს სავსებით სწორად და თანდროულად მიაჩნია, რომ ცეკას პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მეტად ჩამორჩენილ სასოფლო მეურნეობას რომელიც წარმოადგენს ჩვენი მრეწველობის ნედლეულ და სასურსათო ბაზას.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ უაღრესად შემცდარია პანიკური განწყობილებანი ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელების სასარგებლოდ, ვინაიდან ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელება არა თუ არ აღმოფხვრის არსებულ სამეურნეო სიძნელეებს, არამედ პირიქით, გაამწვავებს მათ და საფრთხეს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნას.

ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობათა ძირითადი მასის განვითარება და მთელი სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გლეხთა მეურნეობანი მასიურად ჩაებმიან საწარმოო კოოპერაციაში და თუ განხორციელდება მათი კოლექტივიზაცია, თუ სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ იქნება სამანქანო ტეხნიკა. ელექტრობა, ქიმია და მიწის დამუშავების უაღრესად კულტურული წესები.

პლენუმი უკუაგდებს პანიკურ მტკიცებას, თითქოს სოფლის მეურნეობა დაქვეითებას განიცდის, და აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობას შეუძლია და უნდა გადავიდეს კიდეც თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე. ამასთან ერთად პარტიამ ყოველი ღონისძიება უნდა მიიღოს იმისათვის, რომ განავითაროს საშუალო და ღარიბ გლეხთა მეურნეობანი, რომლებიც იძლევიან ჩვენი პურის პროდუქციის ძირითად მასას.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმს სავსებით სწორად მიაჩნია ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეხებიან პარტიის ლენინური ხაზიდან ყოველგვარი გადახრასთან ბრძოლის და უმთავრესი ყურადღების მიქცევას მემარჯვენე საფრთხის დაძლევისათვის და მასთან შემარიგებელ დამოკიდებულებისათვის, ვინაიდან მემარჯვენე გადახრა ამჟამად წარმოადგენს უმთავრეს საფრთხეს. ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს პირობებში მემარჯვენე საფრთხე უკავშირდება ნაციონალიზმის საფრთხეს.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია გაგრძელდეს ენერგიული ბრძოლა ტროცკისტული ტენდენციებისა და ამ ტენდენციებისადმი შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

თავის მხრივ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი გადაჭრით გმობს ყოველგვარ ლაყბობას იმის შესახებ, რომ პარტიის ბრძოლა ორ ფრონტზე წარმოადგენს ცენტრიზმის პოლიტიკას, ასეთი განწყობილებანი ემყარებიან იმას, რომ პარტიის ზოგიერთ წევრს შეგნებული არა აქვს საკავშირო კომპარტიის (ბ), როგორც პროლეტარიატის მონოლიტური პარტიის ბუნება, შეგნებული არა აქვს ჩვენი პარტიის პრინციპიალური განსხვავება მეორე ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებისაგან. ამიტომ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია ბრძოლა აგრეთვე იმათთან, ვინც „მარცხნიდან" კრიტიკის სახით სცდილობს დახატოს პარტიის ხაზი, როგორც ცენტრიზმის პოლიტიკა.

ამიერ-კავკასიის კომკავშირის ორგანიზაციებმა ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან შეფარდებით, თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე, გაათკეცებული ენერგიით უნდა განაგრძონ პრაქტიკული მუშაობა პარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად!

ჩვენს რიგებში დაშვებულ არ უნდა იქნას არავითარი მერყეობა და ქანაობა! დაუზოგავი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველგვარ გადახრას, განსაკუთრებით აშკარა—ოპორტუნისტულ მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებელ დამოკიდებულებას, რომელიც უცხოა ბოლშევიზმისათვის!

გაუმარჯოს ჩვენს პარტიას და ლენინურ ცეკას!

მოსამზადებელი კურსები თბ. უნივერსიტეტთან კომკავშირელებისათვის

კომკავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აწყობენ მოსამზადებელ კურსებს უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად იმ კომკავშირელებისათვის, რომლებსაც საშუალო განათლება აქვთ.

კურსების პირობები შემდეგია:

1) კურსებზე მიიღებენ კომკავშირის წევრებს, რომლებსაც საშუალო განათლება აქვთ.

2) კურსები ამზადებენ როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, ისე სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტისათვის.

3) მეცადინეობა კურსებზე ყოველდღე იწარმოებს.

4) კურსები 5 თვიანია, მეცადინეობა დაიწყება 5 იანვარს, დამთავრდება 1 ივნისს.

5) კურსების მსმენელები მომზადებისათვის ფულს არ იხდიან.

6) ც. კ. ვალდებულებას არ კისრულობს, რომ პროვინციიდან მოსულ კომკავშირელებს გაუჩენს სამუშაოს, უზრუნველყოფს ბინით ან სხვ. რაიმე ამისთანა დახმარებას აღმოუჩენს.

ზემოაღნიშნულ კურსებზე შესვლის მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ და ზედ დაურთონ შემდეგი ცნობები: სოციალური მდგომარეობის შესახებ, მოწმობა განათლების ცენზის შესახებ და ცნობა კომკავშირის წევრობის შესახებ. განცხადება უნდა წარუდგინონ კომკავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის შრომისა და განათლების განყოფილებას.

განცხადებათა მიღება სწარმოებს ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 31 დეკემბრამდე, შემდეგ კი არავითარი განცხადება არ მიიღება.

კომკავშირის ც. კ.-ის მდივანი

ჯავახიძე.

კომკავშირის ც. კ.-ისა და თბ. კომიტეტის შრომისა და განათლების განყოფილების გამგე **იშხანოვი.**

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

ინგლის-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება. — მდგომარეობა ავღანისტანში. — ინგლისის და საფრანგეთის მთლიანი ფრონტი გერმანიის წინააღმდეგ.—სამთა კავშირის შექმნის ცდა.—ისევ ლერონის მოგზაურობის შესახებ

ინგლისში უკანასკნელ დროს ბევრს ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებების შესახებ. ამის საბაბი კერძოდ შექმნა საკავშირო ცაკის სესიაზე ამხ. ლიტვინოვის მიერ გაკეთებული მოხსენება, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად ჩვენი სამშვიდობო ცდებისა, კონსერვატიული მთავრობა აწვითარებს ანტისაბჭოთა პოლიტიკას. ამასთან დაკავშირებით, ინგლისის ზოგიერთ წრეებში გაისმის საკმაოდ ძლიერი ხმები ჩვენთან ურთიერთობის განახლების საჭიროებაზე, ამაზე კამათობენ თემთა პალატაშიც.

რით აიხსნება ასეთი განწყობილება? უეჭველია, რომ აქ საგრძნობ როლს თამაშობენ საარჩევნო მოსაზრებები. პარლამენტის არჩევნები ახლოვდება. კონსერვატორების მოწინააღმდეგენი მასების მოსაზიდად აყენებენ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების აღდგენის ლოზუნგს, რომელიც მეტად პოპულიარულია ინგლისის ფართე მოსახლეობაში და საქმიან ჯგუფებში. ეს პოპულიარობა იმდენად დიდია, რომ თვით კონსერვატიულ ბანაკიდან უფრო გონიერი ელემენტები მას გვერდს ვერ უხვევენ და, მომავალ არჩევნებში მოსალოდნელ დამარცხების თავიდან ასაცილებლად, მოითხოვენ საბჭოთა კავშირის მიმართ ინგლისის პოლიტიკის გადასინჯვას.

მაგრამ ეს მოძრაობა სრულიად არ აიხსნება მარტო საარჩევნო მანევრით. ის ფაქტი, რომ ინგლისში ძლიერდება მისწრაფება საბჭოთა კავშირთან საქმიანი დაახლოებისაკენ, თავისთავად დიდად საგულისხმოა. მას პირველ ყოვლისა საფუძვლად უდევს ის ღრმა ეკონომიური კრიზისი, რომელსაც ინგლისი განიცდის. აი, რა განაცხადა, მაგ., ბოლდუინმა ინგლისის ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ: „სამეურნეო აღორძინების განთიადი ჯერ არ დამდგარა (დადგება კი?). ეს წელი ჩვენი ქვეყნისათვის იმედების გაცრუების წელიწადი იყო". ინგლისის მრეწველობა თავის პროდუქციის გამსაღებელ ბაზრებს ვერ შოულობს. წარმოება მცირდება. უმუშევრობა იზრდება. სადაა გამოსავალი? ჩვენთან სავაჭრო და პოლიტიკურ დამოკიდებულების აღდგენით ინგლისის შეეძლო თავის მძიმე სამეურნეო მდგომარეობის შემსუბუქება. და, თუ ეს ბოლდუინმა „ვერ მოისაზრა", სამაგიეროდ საქმიანი წრეები ამაზე სულ უფრო დაჟინებით მიუთითებენ.

ამასთან, რაც დრო გადის, მით უფრო უქარწყლდება ინგლისის ბურჟუაზიას საბჭოთა ხელისუფლების დამხობის იმედი: „იმაზე დაუჯერებელი არაფერია,— ამბობს კონსერვატიული დეპუტატი ბუტბი, — რომ მას (საბჭოთა მთავრობას) ძალით გამოგლიჯონ ხელიდან ძალაუფლება"-ო. არც ის ჰოლოდინი გაუმართლდათ შუბლმაგრთ, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტით, მისი ეკონომიური მდგომარეობა ისე გაუარესდება, რომ საშუალება მოგვეცემა მას ჩვენი პირობები უკარნახოთო: ინგლისის ხარჯზე საბჭ. კავშირმა განავითარა აღებ-მიცემობა სხვა ქვეყნებთან, კერძოდ გერმანიასა და ამერიკასთან, რაც არა უსაფუძვლოდ იწვევს შიშს ინგლისის საქმიან ჯგუფებში.

აქედან, როგორც ვსთქვით, ინგლისში იზრდება მოძრაობა ჩვენთან ურთიერთობის განახლების სასარგებლოდ. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოძრაობას ემხრობა კონსერვატორების საგრძნობი ნაწილიც. როგორი პოზიცია უკავია კონსერვატორების იმ ფრთას, რომელიც ეხლა ხელმძღვანელობს პოლიტიკას. კონსერვატიულ მთავრობის წარმომადგენლები სულ იმას გაიძახოდენ, რომ საბჭოთა კავშირის მეურნეობა ინგრევაო. ასით მათ სურდათ შეენელებიათ ინგლისში ეკონომიური დაინტერესება ჩვენთან დამოკიდებულებისადმი. მაგრამ ეს ნაკლებად სჯერათ ინგლისში. ამას ადასტურებს თუ გინდ ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ინგლისელ ფინანსისტების, მრეწველების და პოლიტიკოსების დელეგაცია მდგომარეობის ადგილობრივ გასაცნობად. საგულისხმოა, რომ ბოლდუინის მთავრობამ გადასწყვიტა არ გაუწიოს წინააღმდეგობა ამ დელეგაციის გამომგზავრებას, რაც ისევ მოწმობს, რომ ინგლისში საკმაოდ ძლიერია მოძრაობა ჩვენთან ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ.

ჩემბერლენის ანტისაბჭოთა პოზიცია, ამგვარად, ძალზე შერყეულია, მაგრამ ის მაინც განაგრძობს ჯიუტობას, კვლავ ილაშქრებს ჩვენთან დამოკიდებულების აღდგენის წინააღმდეგ. იგი ათასდა ერთჯერ იმეორებს, რომ საბჭოთა მთავრობა ეწევა პროპაგანდას, რომლის მიზანია ინგლისის განადგურება, და ამიტომ არ შეიძლება მხარეთა შორის მოლაპარაკება განახლდესო. როცა მას თემთა პალატაში მოსთხოვეს ამ ბრალდების დასაბუთება, მან განაცხადა: „ერთად ერთი დამამტკიცებელი საბუთი, რომელსაც მე ვემყარები, ეს არის მოსკოვში წარმოთქმული სიტყვები"-ო. როგორც ვხედავთ, ჩემბერლენს ნამდვილად არავითარი ფაქტები არ აღმოაჩნდა თავის დებულების დასაცავად. ასეთებად ხომ არ შეგვიძლია მივიჩნიოთ ჩვენი პარტიულ თუ საბჭოთა პოლიტიკურ მოღვაწეების გამოსვლები, რომელნიც ინგლისის იმპერიალიზმის სწორ დახასიათებას შეიცავენ. ნუ თუ ჩემბერლენი მოითხოვს, რომ ჩვენ ხოტბა შევასხათ ინგლისელ შუბლმაგართა მტაცებლურ მოქმედებას აღმოსავლეთის ხალხთა შორის, მათ ცდებს სხვა ქვეყნების დასამონებლად! ეს ხომ ინგლისელ იმპერიალისტების მოსყიდულ პრესის და აგენტების მოვალეობაა, და არა ჩვენი. არა გვგონია, რომ ჩემბერლენის ამ „არგუმენტმა" რაიმე შთაბეჭდილება მოახდინოს ინგლისის ხალხზე, რომელიც სულ უფრო იგებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების აუცილებლობას.

* *
*

ჩემბერლენი იმას სჩივის, თითქოს საბჭოთა მთავრობა მტრულ პროპაგანდას ეწეოდეს ინგლისის წინააღმდეგ და ერეოდეს სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში, ხოლო მან „ავიწყდება", რომ სწორედ კონსერვატორების კაბინეტი აწარმოებს ყველგან პროპაგანდას მისთვის არა სასურველ წყობილების და ხელისუფლების დასამხობად, პროპაგანდას არა მარტო სიტყვით, არამედ მოქმედებითაც. ამ მხრივ მარტო ავღანისტანის ეხლანდელი ამბები რამდენ რამეს გვეუბნება!

ინგლისის სამხედრო ჰაეროპლანები თავს დასტრიალებენ დამოუკიდებელ ავღანისტანის ტერიტორიას. ამ დაუპატიჟებელი „სტუმრების" გამოჩენა ავღანისტანის მიწა-წყალზე განა უხეში ჩარევა არ არის სხვა ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში? ჰაეროპლანებიდან პროკლამაციებს ყრიან ავღანელ ხალხის „გასათვითცნობიერებლად". ამ პროკლამაციებში ვკითხულობთ: „მეგობარო, მამაცო და ღვთის მორწმუნე ავღანელო ხალხო! თქვენ კარგად იცით, რომ ინგლისი დიდი ხანია ავღანელების და ავღანისტანის მეგობარი და კეთილის მსურველი იყო და არის (?). იგი ყოველთვის სიხარულით ეგებებოდა ავღანისტანის პროგრესსა და აყვავებას" (?). თვალთმაქცობა, გაიძვერობა და უტიფრობა ამაზე შორს ვერ წავა. ის განუწყვეტელი ომები, რომლებსაც ინგლისის იმპერიალიზმი აწარმოებდა ავღანისტანის დასამონებლად, თურმე მეგობრობის გამოხატულება ყოფილა ამ ქვეყნისადმი. მეგობრობაა ალბად ის ფაქტიც, რომ ინგლისმა ავღანისტანს ჩამოგლიჯა სამი მილიონიანი მოსახლეობა. მაინც ავღანისტანმა მედგარი ბრძოლით, ბოლოს, მოახერხა ინგლისის უღლის გადაგდება და დამოუკიდებლობის მოპოვება.

ამას, რა თქმა უნდა, ლონდონი ვერ ურიგდება: დამოუკიდებელი ავღანისტანის არსებობა ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია კოლონიებში ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის გაძლიერებისათვის; იგი ხელს უშლის ლონდონს, ეს ქვეყანა გადააქციოს ბაზად საბჭოთა კავშირზე გალაშქრებისათვის და, ბოლოს, ავღანისტანის დაპყრობილებით, იგი დაეუფლებოდა მის ბუნებრივ სიმდიდრეებს. ამიტომ ინგლისი ასულდგმულებს აჯანყებას ავღანისტანში, რომ რეაქციონური ძალების საშუალებით მიაღწიოს თავის იმპერიალისტურ მიზნებს. დამტკიცებულია, რომ აჯანყებულნი აღჭურვილი არიან ინგლისის მიერ მიწოდებული იარაღებით და აჯანყება ინგლისელ აგენტების გეგმით და ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

პროკლამაცია ლაპარაკობს, რომ ინგლისი თითქო „ყოველთვის სიხარულით ეგებებოდა ავღანისტანის პროგრესს და აყვავებას". სინამდვილე, რა თქმა უნდა, სულ სხვას გვეუბნება. ამჟამად ავღანისტანში, ამ ქვეყნის პირობების მიხედვით, ტარდება პროგრესული რეფორმები, რომელთა მიზანია ქვეყნის ნამდვილი გაერთიანება (ცალკე ტომების მეთაურთა უფლებების შეზღუდვის გზით), მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება (ჩადრების მოსპობა, სკოლების გახსნა, სამღვდელოების როლის შეზღუდვა) და სხვ. ამავე დროს მოეწყო რეგულიარული ჯარი ქვეყნის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ლონდონი იყენებს ამ რეფორმებით უკმაყოფილო ელემენტებს და ჩამორჩენილ მასებს, რათა, ავღანისტანის დამოუკიდებლობის მოსპობასთან ერთად, ლახვარი ჩასცეს მის განვითარებას.

აჯანყებას სერიოზული ხასიათი აქვს, კრიტიკულ მდგომარეობას მთავრობისათვის კიდევ არ გაუვლია, ბრძოლა ისევ დედა-ქალაქის მიდამოებში წარმოებს. მაგრამ მთავრობის დამხმარე ძალები თანდათან იზრდებიან და უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ რეაქცია აღკვეთილი იქნება.

მეტი სიმტკიცე იმპერიალიზმთან და ფეოდალურ - კულაკურ ელემენტებთან ბრძოლაში, ფართე მასების თვითმოქმედების გაშლა და მისი ჩაბმა ქვეყნის საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში და მეგობრულ ურთიერთობის შენარჩუნება საბჭოთა კავშირთან — აი, ის გზა, რომელიც უზრუნველყოფს ავღანისტანის ხალხის დამოუკიდებლობას.

* *
*

ახლახან ლუგანოში დამთავრებულ მოლაპარაკებას წინ უძღოდა საფრანგეთის და ინგლისის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა ისეთი გამოსვლები რეინის ოლქის და რეპარაციების საკითხების შესახებ, რომლებმაც ლოკარნოს ილუზიების დამსხვრევა გამოიწვიეს გერმანიაში. ამ გამოსვლებმა გამოაშკარავეს გერმანიის წინააღმდეგ ამ ქვეყნების მთავრობების მთლიანი ფრონტის არსებობა და მისი ფინანსიური პოლიტიკურ დამონების განზრახვა.

ამით შექმნილი მძიმე ატმოსფერა ჩემბერლენ - ბრიან - შტრეზემანის შეხვედრამ ლუგანოში ოდნავადაც ვერ გაფანტა. მას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. ამის დაფარვა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმ არაფრის მთქმელი ოფიციალური განცხადებით, რომელიც სამი მინისტრის მოლაპარაკებისას გამოქვეყნდა: „შერიგების და დაახლოების პოლიტიკა, რომელსაც სამივე ქვეყანა ატარებს, ყველაზე უფრო შეეფერება მშვიდობიანობის უზრუნველყოფის ინტერესებს (?). ჩვენ ამ პოლიტიკის ერთგული ვრჩებით და ამ მიმართულებით გავაგრძელებთ მოლაპარაკებას"-ო. გერმანიის პრესა კიდეც აღნიშნავს გაოცებით, რომ თათბირები ლუგანოში სრული მარცხით დამთავრდა და რომ იქ გამოაშკარავდა გადაულახავი წინააღმდეგობანი მხარეთა შორის. ეს პრესა მომავალ მოლაპარაკების პერსპექტივებსაც უიმედოდ უყურებს.

მართლაც, კონკრეტიულად რა დასკვნამდე მივიდა ლუგანოს თათბირი რეინის ოლქის და რეპარაციების საკითხების შესახებ. ჯერ რეპარაციები, შემდეგ რეინლანდის ევაკუაცია— ასეთი თვალსაზრისი წამოაყენეს ბრიანმა და შტრეზემანმა თავიანთ საპარლამენტო სიტყვებში. ამასთან,— რეპარაციების ჯამს ისინი წინასწარ განსაზღვრავენ 132 მილიარდ მარკის რაოდენობით და ანგარიშს არ უწევენ გერმანიის ფინანსიურ რესურსებს. ხოლო რეინის ოლქის განთავისუფლების შემდეგ, მათი აზრით, იქ უნდა დაწესდეს კონტროლი გერმანიის შესაძლებელ თავდასხმისაგან საფრანგეთის უზრუნველყოფის მიზნით. ამით ისევ ილახება გერმანიის სუვერენიტეტი. ეხლა კი საფრანგეთი და ინგლისი დასთანხმდნენ რეინის და რეპარაციების პრობლემების პარალელურად განხილვაზე, მაგრამ ნიშნავს ეს რაიმე დათმობას გერმანიის მხრივ? ოდნავადაც არა. პარიზი და ლონდონი კვლავ იმ დებულებას იცავენ, რომ რეინის ოლქის დაცლა დამოკიდებული უნდა იყოს სარეპარაციო მოლაპარაკების შედეგებისაგან ასე რომ, ორივე საკითხზე ერთდროულად მოლაპარაკების დაწყებას არსებითად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ამავე დროს უდავოდ გამორკვეულია, რომ ლუგანოში ინგლის-საფრანგეთის ბლოკი გერმანიისაგან მოითხოვდა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გაწყვეტას და სამაგიეროდ პირდებოდა ზოგიერთ დათმობას სადაო საკითხების გადაჭრის დროს. ეს მაშინ, როცა ზევით ხსენებული კომუნიკე უტიფრად გვარწმუნებს, რომ „შერიგებისა და დაახლოების პოლიტიკა, რომელსაც სამივე სახელმწიფო ატარებს, ყველაზე უფრო შეეფერება მშვიდობიანობის უზრუნველყოფის ინტერესებს"-ო. ალბად მშვიდობიანობის საქმის დაცვად მიაჩნიათ ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტებს ანტისაბჭოთა ფრონტის ორგანიზაცია და ნიადაგის მომზადება ჩვენზე გამოსალაშქრებლად.

მაგრამ ბრიან-ჩემბერლენის დაპირებანი სრულიად უმნიშვნელოა იმ აუნაზღაურებელ მსხვერპლთან შედარებით, რომლის გაღებას ისინი მისგან მოითხოვენ. გერმანიის მესვეურები თანდათან უფრო იგებენ, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შენარჩუნება-გაფართოება მისი ეკონომიური განვითარების და საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების უტყუარი საწინდარია. ამასთან იგი გვერდს ვერ აუვლის ამერიკას, რომელიც არ დაუშვებს მის მონაწილეობას ინგლის-საფრანგეთის ბლოკში, რამდენადაც უკანასკნელი მიმართულია არა მარტო მოსკოვის, არამედ ვაშინგტონის წინააღმდეგაც.

ამგვარად, დამარცხდა ინგლისის და საფრანგეთის ახალი ცდა, რომ გერმანია მიემხროთ საბჭოთა კავშირთან ბრძოლის საქმეში. რა თქმა უნდა, ასეთი ცდა კიდევ არა ერთხელ იქნება განმეორებული, მაგრამ საეჭვოა მან შემდეგშიც რაიმე ნაყოფი მოუტანოს მის ავტორებს: იმდენად ღრმაა ინტერესთა წინააღმდეგობა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის და იმდენად აუცილებელია გერმანიისათვის ჩვენთან დამოკიდებულების განმტკიცება.

* *
*

ლუგანოში, სხვათა შორის, ერთი საგულისხმო ფაქტი მოხდა. ჩვენ ვლაპარაკობთ იტალიის დელეგატების ცალკე შეხვედრაზე ბრიანსა და ჩემბერლენთან. ამაში გაზ. „გერმანია"-მ დაინახა გერმანიის სრული იზოლიაცია. უეჭველია, რომ საქმე გვაქვს ინგლის-საფრანგეთის ბლოკში იტალიის ჩაბმის ცდასთან, რაც მიმართულია როგორც გერმანიის, ისე უფრო ამერიკისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლის-საფრანგეთის ანტანტის აღდგენის შემდეგ იტალიის საერთაშორისო მდგომარეობა შეირყა. იმ ბრძოლაში, რომელიც იტალიასა და საფრანგეთს შორის წარმოებს ბალკანეთისა, ხმელთა შუა ზღვისა და კოლონიებისათვის, ლონდონის მხრით ზურგ გამაგრებული პარიზი უფრო შეურიგებელ პოზიციებს აღებოდა რომის მიმართ. მაგ., ამას წინედ პუანკარემ სასტიკად გაილაშქრა იტალიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მის მიერ საფრანგეთის სამანდატო ქვეყნის — სირიის დაუფლების განზრახვის წინააღმდეგ, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია იტალიაში საფრანგეთისადმი.

რომის მთავრობა ეძებს გზებს, რომ თავიდან აიცილოს ის საშიშროება, რომელსაც იტალიის იმპერიალისტური ექსპანსიისათვის ინგლის-საფრანგეთის კავშირი წარმოადგენს. ამ მიზნით მან ნაბიჯები გადადგა ამერიკასა და გერმანიასთან დაახლოებისათვის. ამავე დროს მუსოლინი მოუწოდებს ქვეყანას გაიღოს ახალი მსხვერპლი „ხმელეთის, ზღვის და საჰაერო ძალების გასადიდებლად".

ამან ლონდონის და პარიზის მმართველი წრეები რამოდენიმედ შეაფიქრიანა, და ჩვენ მოწმე ვართ მათი ცდისა, რომ დააშოშმინონ იტალია და თავისკენ მიიზიდონ. ჯერ ჯერობით მხოლოდ ნიადაგის გასინჯვა და ვაჭრობა სწარმოებს ამ მიმართულებით და ძნელია იმის გათვალისწინება, თუ რა ნაყოფი მოჰყვება ამას. მაინც უნდა ითქვას, რომ საეჭვოა იტალიასა და საფრანგეთს შორის მკვიდრი და ხანგრძლივი შეთანხმება მოხდეს. ამისათვის რეალური ნიადაგი არ მოიპოვება.

* *
*

ფრანგი გენერალი ლერონი „ცნობილი" პიროვნება გახდა. გაზეთებში მის სახელს ხშირად წააწყდებით. ის სისტემატიურად მოგზაურობს პოლონეთში და ბალკანეთის ქვეყნებში. საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა, ალბად სულელების დასარწმუნებლად, ამ მოგზაურობას „კერძო ხასიათს" აკუთვნებს და ლერონის განსაკუთრებული ტურისტული გატაცებით ხსნის.

ჩვენ „ცოტა" სხვა აზრისა ვართ ამ საკითხზე. და არა მარტო ჩვენ. ზოგი ბურჟუაზიული გაზეთიც ამხილებს ლერონის „უწყინარი ექსკურსიების" ნამდვილ დანიშნულებას. აი, მაგალითად, ჩეხო-სლოვაკიის „ვეჩერ" (მთავრობის მომხრე ერთ-ერთ პარტიის აგრარიების ორგანო), ადასტურებს რა საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოებისაგან ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის ცდას, სწერს: „საფრანგეთმა მიავლინა ლერონი ნამდვილ მდგომარეობის გასათვალისწინებლად და ყველა გამოსვლის კოორდინაციისათვის. ბლოკში შევლენ პოლონეთი, რუმინეთი, სამხრეთ-სლავია, უნგრეთი და ბულგარეთი — ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელობით. ბლოკში შევა აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიაც".

რომ ამ მიმართულებით საფრანგეთის გენერალური შტაბი ლერონის საშუალებით მუშაობას აწარმოებს, ეს, რა თქმა უნდა, ჩვენ დიდი ხანია ვიცით. ამ მხრივ საქმის ვითარებასთან გაცნობილ „ვეჩერ"-ის მოწმობა მაინც საგულისხმოა. არა ნაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიამ უარყო კომუნისტ-დეპუტატ შტერნის წინადადება, რომ გარეშე საქმეთა მინისტრ ბენეშისაგან პარლამენტს მოეთხოვა ახსნა-განმარტება „ვეჩერ"-ში გამოქვეყნებულ ცნობის გამო. ცხადია, რომ ბენეში, რომელსაც ხშირად უყვარს ლაპარაკი საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების აღდგენის შესახებ, უარს არ იტყვის ანტისაბჭოთა კომბინაციებში მონაწილეობაზე, თუ ამისთვის რამეს შეპირდებიან.

მაგრამ ბალკანეთის სახელმწიფოები ისე არიან ერთი მეორეზე გადაკიდებულნი ტერიტორიულ, ნაციონალურ და ეკონომიურ დავის ნიადაგზე, რომ მათი შეთანხმება, თუნდაც ის ეხებოდეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსვლას, უაღრესად ძნელია. ყოველ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმპერიალისტების მახინაციებს პოლონეთსა და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე.

გ. ქ—ლი.

საბჭოთა არჩევნებისათვის

საბჭოთა ხელისუფლებამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოსპო ნაციონალური ჩაგვრა, მან უზრუნველყო ყველა ეროვნებათა ეკონომიური და კულტურული განვითარება.--დაუნდობელი ბრძოლა ნაციონალისტურ და შოვინისტურ მიდრეკილებათა წინააღმდეგ.-- წამოვაყენოთ და გავიყვანოთ საბჭოებში ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლები

სას.-სამ. საკრედიტო ქსელის მონაწილეობა არჩევნებში

საბჭოთა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების თათბირზე, რომელზედაც ირჩეოდა არჩევნებში სხვადასხვა ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხი, სახოფლო - სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელმა ამხ. დუგლაძემ თათბირს გააცნო გეგმა და ის ღონისძიებები, რომელიც მიღებულია სახოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მიერ თავისი ძირითადი ქსელის აქტიური მონაწილეობისათვის საბჭოთა არჩევნებში.

„სოფლის კავშირი“ სახოფლო სამეურნეო ბანკთან და ცეკავშირთან ერთად ამზადებს სპეციალურ პლაკატებს და მხატვრულად შესრულებულ ლოზუნგებს, რომელიც ამ ორ კვირაში დაეგზავნებათ ძირითად ორგანიზაციებს თვალსაჩინო ადგილზე გამოსაფენად. მოსამზადებელ და საანგარიშო პერიოდში გამოიცემა გაზ. „ჩვენი კოოპერაციის“ სპეციალური ნომრები, სადაც მოთავსებული იქნება წერილები სახოფლო - სამეურნეო კოოპერაციისა და კოლმეურნეობათა მიღწევების შესახებ მიმდინარე საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმ დიდი როლისა, ამბობს მომხსენებელი, — რომელსაც სახოფლო - სამეურნეო კოოპერაცია ასრულებს სოციალისტურ მშენებლობის გაღრმავების საქმეში, იგი წარსულ წლებში უმნიშვნელო მონაწილეობას იღებდა ამ უდიდეს პოლიტიკურ კამპანიაში. ამ არანორმალურ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს. სახოფლო - სამეურნეო კოოპერაციის სისტემის ყველა ორგანიზაციამ, რომელსაც მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობის კოოპერატიულად გაერთიანებისა და მათვის სამეურნეო სამსახურის გაწევის საქმეში, ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღოს საბჭოების გადარჩევის კამპანიის ჩატარებაში. მას საკმაო ორგანიზაციული საშუალებანი მოეპოვება სოფლის მოსახლეობის ღარიბ და საშუალო გლეხობის პოლიტიკური აქტივობის ასამაღლებლად და ამ აქტივობის გამოსაყენებლად საბჭოების გადარჩევის დროს.

პირველ ყოვლისა, სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებმა და კოლმეურნეობებმა უნდა დაიჭირონ კავშირი ადგილობრივ საარჩევნო კომისიებთან. ამავე დროს მოწვეული უნდა იქნეს სას.-სამ. ამხანაგობების გამგეობათა, რაიონის კოლექტიურ მეურნეობათა წარმომადგენლების გაფართოებული სხდომა კოოპერატიული აქტივის თანდასწრებით — გადარჩევის კამპანიაში ამ ორგანიზაციების მონაწილეობის გეგმის შესამუშავებლად. ეს გეგმა უნდა შეუთანხმდეს ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს. ძირითადმა ქსელმა უნდა იკისროს აგრეთვე თავისი ტეხნიკური აპარატის საშუალებით საარჩევნო კომისიების ტეხნიკურ დავალებათა შესრულება (უწყებების დაგზავნა, სიების შედგენა და სხვ.) მთელ საარჩევნო პერიოდში სახოფლო - სამეურნეო საკრედიტო ქსელის ყველა კედლის გაზეთები უნდა აშუქებდნენ საბჭოების გადარჩევის მნიშვნელობას კოოპერატიულ მუშაობის შემდეგი გაღრმავების თვალსაზრისით. ამავე დროს ძირითადმა ქსელმა უნდა გამოჰყოს ამხანაგები საქმიანი მოხსენების გასაკეთებლად კოოპერატიული ორგანიზაციათა მიღწევებისა და ნაკლოვანების შესახებ ღარიბთა კრებებზე და არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა თათბირებზე. ამ ამხანაგებს წინასწარ უნდა გადაეცეს მასალები სას.-სამ. საკრედიტო ქსელის და კოლმეურნეობათა მდგომარეობის შესახებ. საანგარიშო კრებებზე კამათის დროს გამგეობის წევრთა მიერ ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული სახოფლო - სამეურნეო მუშაობა და მისი შედეგები, რისთვისაც ამხანაგები წინასწარ უნდა მოემზადონ. წინასწარ უნდა იქნეს გამოკვლეული აგრეთვე წინანდელი საბჭოს მიერ ნაკაზის იმ ნაწილის შესრულება, რომელიც სას.-სამ. კოოპერაციას და კოლმეურნ. მოძრაობას შეეხება.

სადაც შესაძლებელია კოლმეურნეობებმა თავისი შენობები უნდა დაუთმონ საარჩევნო კომისიებს კრებების მოსაწყობად. ამავე შენობაში და აგრეთვე სხვა თვალსაჩინო ადგილებში გამოკრული უნდა იქნეს პლაკატები და ლოზუნგები, რომელიც ამხანაგობებს ცენტრიდან გაეგზავნებათ.

თათბირზე გამართულ კამათის დროს სახოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მონაწილეობის გეგმა მოწონებული და სანიმუშოთ იქნა ცნობილი.

პროფკავშირების კულტდაწესებულებები და არჩევნები

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს და ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოებს დაუგზავნა ცირკულარული წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

წინასწარ საარჩევნო კამპანიის დროს კლუბებსა და წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს ლექციები და მოხსენებები საბჭოების მუშაობის, მიღწევებისა და იმ მიზეზების შესახებ რომელიც აფერხებდა საბჭოების მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ახალი ბინების მშენებლობის, ქალაქის კეთილმოწყობის და სხვ. დარგში. აღნიშნულ მოხსენებათა ჩასატარებლად სასურველია მოწვეულ იქნეს ადგილობრივი საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები და მოხსენებები მოეწყოს მუშა-ამომრჩეველთა ფართო კრებებზე.

ლექციებსა და მოხსენებებთან ერთად საჭიროა კლუბებსა და წითელ კუთხეებში გამოშვებულ იქნეს ცოცხალი გაზეთის სპეციალური ნომერი საბჭოს საანგარიშო მუშაობის გარშემო; საარჩევნო კამპანიის დროს გამოშვებული უნდა იქნეს აგრეთვე კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, სადაც ფართოდ იქნება გაშუქებული საგულისხმიერო მომენტები ადგილობრივი საბჭოს მუშაობიდან.

გარდა ამისა, საბჭოების მუშაობის პოპულარიზაციის მიზნით მთავარ კლუბებში მოეწყობა სპეციალური გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება საბჭოს მუშაობის ცალკე დარგები, საბჭოს შემადგენლობა და აგებულება, ადგილობრივი მეურნეობის დარგების განვითარება და სხვ.

ამასთან ერთად საარჩევნო კამპანიის განმავლობაში საჭიროა მოეწყოს მუშათა ექსკურსიები მუზეუმებში, ახალშენებში, კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში და სხვ.

საპროფკავშირო ბიბლიოთეკებმა ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ საარჩევნო კამპანიაში, რისთვისაც კლუბებსა და წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს ლიტერატურის გამოფენა, სადაც შერჩეული იქნება ლიტერატურა საბჭოების მუშაობის შესახებ, მათი მნიშვნელობაზე, ქალაქის თვითმართველობაზე წინად და ეხლა და სხ.

საბჭოების საარჩევნო კამპანიაში ჩაბმული უნდა იქნეს კავშირების წევრთა ფართო მასები და კლუბის წევრთა მასა, რომ ამნაირად უზრუნველყოფილი იქნეს საბჭოების გადარჩევის წინასწარ მუშაობის წარმატებით ჩატარება.

როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა თბილისში

გაცხოველებული მზადება გვაქვს

(სადგ. თბილისის მუშა-მოსამსახურეებში)

სადგ. თბილისის მუშა-მოსამსახურენი საბჭოთა არჩევნებისათვის ენერგიულად ემზადებიან. მოსამზადებელ მუშაობაში უდიდეს აქტივობას იჩენს ადგილკომი და პროფაქტივი. გამოყოფილია საანგარიშო და საარჩევნო კამპანიისათვის ხელის შემწყობი კომისია 5 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დავალებული აქვს შეადგინოს ამომრჩეველთა სია და ორგანიზაციული მუშაობა მიზანშეწონილად აწარმოოს.

ამას წინად შესდგა ადგილკომის გაფართოებული პლენუმი პროფაქტივთან ერთად, რომელმაც დაამუშავა რკინის გზელთა პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტის მომართვა მუშათა ფართო მასების ამ კამპანიაში მონაწილეობის შესახებ. პლენუმმა დაადგინა, რათა ადგილკომმა გააცხოველოს მოსამზადებელი მუშაობა და საარჩევნო კამპანიაში 100 პროც. ჩააბას მუშა-მოსამსახურეები. გარდა ამისა, საარჩევნო კომისიამ შეადგინა იმ მუშა-მოსამსახურეების ოჯახის წევრთა სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში. დღემდე აღრიცხულია 400-მდე მუშა-მოსამსახურეთა ცოლები და მასაკოვანი შვილები. საარჩევნო კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივ კედლის გაზეთის მუშკორები. კედლის გაზეთ „ნიშანსვეტი“-ს უკანასკნელ ნომერში გამოყოფილია სპეციალური განყოფილება, სადაც გაშუქებულია საბჭოთა არჩევნების დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა და მოსამზადებელ მუშაობაში ადგილკომის, კომკავშირის და მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის საკითხები. რედკოლეგიას განზრახული აქვს ახლო მომავალში მოიწვიოს მუშკორთა თათბირი და განუმარტოს მათ, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშკორებმა საანგარიშო და საარჩევნო კამპანიაში. საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით კავშირის წევრთა შორის სისტემატიური ახსნა-განმარტებითი მუშაობა სწარმოებს. მუშები მოითხოვენ სადეპუტატო მაგიდის დაარსებას.

ი. ჯ.

თბილისის № 1 ხე-ტყის სახერხი ქარხანა ღებულობს გამოწვევას

გუშინ, 22 დეკემბერს, სამუშაოს გათავების შემდეგ ყველა მუშა-მოსამსახურეებმა თავი მოიყარეს ქარხნის წინ მიტინგ-გამოძახილზე.

მიტინგი გახსნა სახერხ ქარხნის ქარხკომმა ამხ. ცაგურიამ და დაწვრილებით გააცნო მუშა-მოსამსახურეებს საბჭოთა გადარჩევასთან დაკავშირებული კითხვები. შემდეგ ილაპარაკა გაზ. „კომუნისტი“-ს ინსტრუქტორმა ამხ. იტრიევმა, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშკორებმა საბჭოთა არჩევნებში.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: ჩვენ, თბილისის № 1-ლი ხეტყის სახერხ ქარხნის მუშა-მოსამსახურეები ვღებულობთ საავეჯო ფაბრიკის ამხანაგურ გამოწვევას და მათ მიერ დასმულ კითხვას: „ვინ იქნება პირველი“—უპასუხებთ:

1. ის, ვინც მუშების მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების საარჩევნო კრებაზე 100 პროც. დასწრებას უზრუნველყოფს.
2. ის, ვინც, როგორც ქარხნის საერთო კრებაზე, ისე პრესაში გააშუქებს საბჭოს მუშაობას და
3. ის, ვინც, მომავალ საბჭოში გაგზავნის ენერგიულ, აქტიურ და თავდადებულ დეპუტატებს,

ამასთან ერთად ჩვენ ჩვენის მხრივ პროლეტარულ გამოძახილზე ვიწვევთ: ახალაბასთუმანის სახერხ ქარხნის, ბორჯომის საკარე ქარხნის და თბილისის ხის დამმუშაველ ერთეულთა ადგილკომის მუშა-მოსამსახურეებს“.

ბანცარ.

კომკავშირი და საბჭოთა არჩევნები

(წერილი ჭიათურიდან)

კომკავშირის ჭიათურის რაიკომი უახლოეს და აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოთა არჩევნების კამპანიაში.

საარჩევნო კომისიაში კომკავშირის რაიკომმა გამოჰყო ერთი ამხანაგი.

შესდგა კომკავშირის აქტივის თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები. ღია კრებებზე კეთდება მოხსენებები არჩევნების ირგვლივ. ეცნობიან ინსტრუქციას, კანდიდატების შერჩევის და „ნაკაზის“ შემუშავების საკითხს.

ამომრჩეველთა და არჩევის უფლება მოკლებულთა სახელობითი სიების შესადგენათ რაიკომმა საარჩევნო კომისიის განკარგულებაში გამოჰყო 11 აქტიური ამხანაგი. ამ ამხანაგებმა კომისიის დავალებით მოკლე ხანში შეადგინეს სიები და წარუდგინეს კომისიას.

წარსულ არჩევნებში კომკავშირი სუსტ მონაწილეობას იღებდა. არავითარი მუშაობა არ ჩატარებულა ახალგაზრდა მუშებსა, მოჯამაგირეთა და დიასახლისთა შორის და ისინი არ იყვნენ ჩაბმული საარჩევნო სამზადისში.

ეხლა კომკავშირი აწარმოებს მუშაობას მოჯამაგირეთა, ახალგაზრდა მუშათა და დიასახლისთა შორის, ამ მუშაობაში ჩაბმული არიან აგრეთვე პიონერებიც.

კომკავშირის ერთ-ერთ კრებაზე, რომელზედაც ირჩეოდა საარჩევნო სამზადისის საკითხი, წამოყენებულ იქნა წინადადება, რათა ამომრჩეველთა სიები წინასწარ იქნეს განხილული საერთო კრებაზე, რომ სიებში არ მოხვდნენ კულაკური და სხვა არა სასურველი ელემენტები.

საერთოდ კომკავშირი იჩენს დიდ აქტივობას, რაც, უეჭველია, ხელს შეუწყობს არჩევნების სასურველად ჩატარებას

ე. ხ—შვილი.

სამზადისი დაიწყო

(მარტყოფის თემი, გარე-კახეთი)

გარე-კახეთის რაიონში მარტყოფის თემი ერთ-ერთი მოზრდილი თემთაგანია, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც მას შეუერთდა ყოფილი ნორიოს თემი. საარჩევნო მოსამზადებელი მუშაობის დაწყების წინ თანახმად თბილისის აღმასკომის დადგენილებისა, დეკემბრის 1-ლ რიცხვებში თემები გაერთიანდნენ, არსებობს გაერთიანებული აღმასკომი ს. მარტყოფში, ჩამოყალიბდა ახალი სახოფლო საბჭო სოფელ დიდ-ლილოში.

ახალი აღმასკომი უკვე შეუდგა მუშაობას საბჭოების საარჩევნო სამზადისის ჩასატარებლად, ჩამოყალიბებულია სათემო საარჩევნო კომისია 11 კაცის შემადგენლობით. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას. რაიონი დაყოფილია საარჩევნო უბნებათ, სადაც ცალ-ცალკე ჩატარდება როგორც საანგარიშო კრებები, ისე არჩევნები.

საზოგადოებრივი და პარტიული ორგანიზაციები წინასწარ ემზადებიან ყოველგვარ მუშაობისათვის პარტიისა და კომკავშირის უჯრედები თავიანთ კრებებზე ისმენენ მოხსენებებს არჩევნების სამზადისის შესახებ, სადაც გაცხოველებული მსჯელობა სწარმოებს. ამუშავებენ გეგმებს არჩევნების გეგმიანათ ჩატარებისათვის და ჩვენი კლასიური ხაზის გატარებისათვის. ღარიბი და საშუალო გლეხობა მტკიცედაა შეკავშირებული პარტიასთან ერთად ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ, რომლებსაც ცხადია არ სძინავთ და თავიანთ ბნელი ძალებით ცდილობენ არჩევნებისათვის ხელის შეშლას და მათთვის სასურველ კანდიდატების გაყვანას.

კულაკები, მღვდლები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები კიდევ საკმაოდ მოიპოვებიან ჩვენში. საჭიროა მათ წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის წარმოება.

ჩვენს რაიონში ბლომად არიან ისეთი შეძლებული პირები, რომელთაც ჰყავთ რამოდენიმე დაქირავებული მოჯამაგირეები. წარსულში მათ საარჩევნო უფლება ჰქონდათ, მართალია ამჟამად მომქმედ საბჭოში ჩვენ არ გვყავდა ასეთი პირები არჩეული, მაგრამ მათთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭებაც დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. ახალმა საარჩევნო კომისიამ დაწვრილებით უნდა განიხილოს ასეთები. საჭიროა ამასთანავე, მოჯამაგირეთა შორის მუშაობის გაცხოველება. ამ მხრივ ჯერ ცოტაა გაკეთებული. არსებულ საბჭოებში მოჯამაგირეთა რიცხვი ძალზე მცირე იყო. ამ მხრივ მომავალი საბჭო უნდა უზრუნველვყოთ.

საბჭოთა მომავალი არჩევნები ჩვენი გამოცდა და პოლიტიკური გაკვეთილია. მტკიცედ დავირაზმოთ ამ ამოცანის შესასრულებლად და ჩვენი კლასიური ხაზის გასატარებლად,

ვ. წე—ლი.

მიწა-ტყის კავშირი ემზადება არჩევნებისათვის

ამ დღეებში მოწვეულ იქნა სახოფლო-სამეურნეო და ტყის მუშაკთა კავშირის გორის სამაზრო განყოფილების გაფართოებული პლენუმი მოჯამაგირეთა კომიტეტის წევრებთან და აქტივ მოჯამაგირეებთან ერთად, რომელსაც დაესწრო 45 კაცი.

პლენუმის დღის წესრიგში პირველ საკითხად დასმული იყო საბჭოთა გადარჩევებში მიწა-ტყის კავშირის წევრთა მონაწილეობის საკითხი.

აღნიშნულ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა გორის სამაზრო პარტკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. ზ. კალმახელიძემ, რომელმაც განუმარტა პლენუმის წევრთ და მოჯამაგირეებს, თუ როგორ იბრძვის დღეს სოფლად კულაკი პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად და ყოველგვარ ზომებს მიმართავს, რათა თავის გავლენის ქვეშ დააყენოს მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხობა.

ასეთ მაგალითს ადგილი ჰქონდა ჩვენი მაზრის შორეულ თემებში, რომლებშიაც უფრო ადრე ჩატარდა საბჭოთა გადარჩევები. მაგალითისათვის დავასახელებ გურჯაანის თემს. იქ, როდესაც მოჯამაგირე დასახელებული იყო საბჭოს წევრად, კულაკმა ამ მოჯამაგირის არჩევის წინააღმდეგ გაილაშქრა და განაცხადა: ეს მოჯამაგირეა , მაგას რა გაეგება საბჭოს მუშაობის, ამიტომ უმჯობესია მე ამირჩიეთო.

ამრიგად კულაკები მოხერხებულად იბრძვიან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომ საჭიროა მოჯამაგირეები, ღარიბი და საშუალო გლეხობის საუკეთესო ნაწილი დარაზმული გამოვიდნენ საბჭოთა გადარჩევების დროს, გაძლიერებული შეტევით უპასუხონ კულაკების შემოტევას და გაიყვანონ საბჭოს დეპუტატებათ თავიანთი რიგებიდან ენერგიული ამხანაგები.

მოხსენების დამთავრების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები, კამათში მიიღო მონაწილეობა 6 ამხანაგმა. აღსანიშნავია, რომ მოჯამაგირე ტყვავის თემიდან ამხ. კაპანაძე—აღნიშნავდა, ჩვენ მართალია პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დიდ უფლებებს გვანიჭებს, მაგრამ კულაკები ამ უფლებებიც გამოყენების საშუალებას არ გვაძლევენ. მაგალითისათვის მან მოიყვანა ის, რომ იგი არის წერა-კითხვის უცოდინარი და დადის ლიკსკოლაში, მაგრამ მას უფლებას არ აძლევს კულაკი სკოლაში წავიდეს.

მრავალი შეკითხვებისა და კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ის უფლებები, რომლებიც მიკუთვნებული აქვს მოჯამაგირეებს, უნდა სარგებლობდნენ. ეს კი მთლად ჩვენზედ არ არის დამოკიდებული, არამედ თვით მოჯამაგირეებმა უნდა გამოიჩინონ აქტივობა და პარტიის გამოძახილს გამოეხმაურონ, ისინი ყველა კრებებზე უნდა ესწრებოდნენ და შეკავშირებული იბრძოდნენ კულაკის წინააღმდეგ თავის უფლებების შესანარჩუნებლად.

შ. ქ.

ქუთაისის მაზრაში

ქალთა მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში

(წერილი ქუთაისიდან)

ქალთა განყოფილება წელს უფრო აქტიურად ებმება საბჭოთა არჩევნებში. 22 დეკემბერს მოწვეულია ქალთა აქტივის სამაზრო კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) ქალთა მონაწილეობა საბჭოების მომავალ არჩევნებში და 2) სადირექტივო მითითებანი ორგანიზატორების მიმართ ადგილებზე არჩევნების ჩატარებისათვის.

კონფერენციის დასრულების შემდეგ თემებში შესდგება უბნობრივი მასსიური და სადელეგატო კრებები, სადაც გაშუქებული იქნება საბჭოთა არჩევნების კამპანია და ქალთა ჩაბმა საბჭოებში. ყველა საარჩევნო კომისიებში გამოყოფილია ქალები.

განზრახულია წელს მაზრაში რამოდენიმე აქტიური ქალების წამოყენება თემაღმასკომის თავმჯდომარეებათ.

გასულ წელს საბჭოებში ჩაბმული იყო ქალთა მხოლოდ 9 პროც. წელს მიღებულია ზომები, რათა საბჭოებში ჩაბმულ ქალების რიცხვი აღწევდეს—25—30 პროც.

ს. მესხი.

გორის მაზრაში

ჩვენც ვემზადებით

(წერილი სურამიდან)

18 დეკემბერს მოწვეულ იქნა სურამის ადგილობრივი აქტივის თათბირი საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი მუშაობის ღონისძიებების შესამუშავებლად. თათბირმა დაადგინა თემში შემავალ თვითეულ სოფელზე მიამაგროს ამხანაგები არჩევნების სახელმძღვანელოდ. ყველა სოფლებში უნდა ჩატარდეს წინასწარი კრებები, სადაც დღის წესრიგში დაისმება შემდეგი საკითხები: 1) საბჭოთა არჩევნები და მასში ამომრჩეველთა მონაწილეობა; 2) საარჩევნო ინსტრუქციის გაცნობა; 3) საბჭოს საანგარიშო მოხსენება და 4) მიმდინარე საკითხები. ზოგიერთ სოფელში უკვე ჩატარდა წინასწარი კრებები, ზოგან ამჟამად ტარდება.

აქტივის კრებამ აირჩია აგრეთვე საარჩევნო კომისია, რომელშიაც შევიდნენ სათანადო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ხაშურის რაიკომის მიერ არჩევნების ჩასატარებლად მიმაგრებული ამხანაგები ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ. საერთოდ საარჩევნო სამზადისი წარმატებით მიმდინარეობს.

ზ. მ—შვილი.

როგორ ჩატარდა არჩევნები მთა-თუშეთში

(წერილი კახეთიდან)

მთა-თუშეთის განსაკუთრებული გეოგრაფიული პირობების გამო, კახეთის მაზრკომმა და სამაღმასკომმა შუამდგომლობა აღძრეს უმაღლეს ორგანოების წინაშე, მთა-თუშეთში საბჭოთა არჩევნების ვადამდე ჩატარების შესახებ. ხსენებულ შუამდგომლობის დაკმაყოფილებისთანავე სამაღმასკომის პრეზიდიუმმა საბჭოს გადარჩევის მოსამზადებელი მუშაობის სახელმძღვანელოდ და თვით არჩევნების ჩატარებისათვის მაზრიდან მთა-თუშეთში მიავლინა ორი პასუხისმგებელი მუშაკი. არჩეულ იქნა საარჩევნო კომისია 7 კაცის შემადგენლობით. საარჩევნო კომისიისათვის გამომუშავდა სამუშაო გეგმა, თემი დაიყო ოთხ საარჩევნო უბნად, გამოყოფილ იქნა საბჭოს წევრები მომხსენებლებად. გადათვალიერებულ იქნა მოსახლეობის მთლიანი სია, რომლის შემადგენლობიდან 32 კაცს ჩამოერთვა ხმის მიცემის უფლება, რაც ამომრჩევლებთან შეფარდებით უდრის 3 პროც. ოთხივე საარჩევნო პუნქტში წინასწარ ჩატარდა მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხების გაერთიანებული კრებები, სადაც დაწვრილებით იქნა განხილული საკითხი მათი მონაწილეობის შესახებ საბჭოთა არჩევნებში.

თემსაბჭოს ანგარიში ჩატარდა ოთხივე საარჩევნო უბანში წინასწარ გამოყოფილ მომხსენებლების საშუალებით. ანგარიშების ჩატარება მოხდა მოჯამაგირეების, ღარიბ გლეხების და საშუალო გლეხურ აქტივის გაერთიანებულ სხდომებზე. აქვე გამართულ კამათისა და შეკითხვების საშუალებით აღრიცხულ იქნა ყველა ის მითითებანი, რომელიც მიეცათ მომხსენებლებს მომავალი საბჭოს შემადგენლობისათვის ნაკაზის შესამუშავებლად. საანგარიშო კრებებზე ამომრჩეველთა დასწრება სუსტი იყო.

არჩევნების ჩატარებამდე 5 დღით ადრე, ამომრჩევლებს დაეგზავნად საარჩევნო უწყებები. საარჩევნო კრებებზე გამოცხადდა ამომრჩეველთა 64,5 პროცენტი. არჩევნები ერთსულოვნად და ცოცხლად ჩატარდა. კულაკურ ელემენტების წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. საარჩევნო კრებებზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა ნაკაზი მომავალ საბჭოს შემადგენლობისათვის. სულ საბჭოში არჩეულია 17 წევრი, აქედან პარტიის წევრია—2, უპარტიო—15, ღარიბი გლეხი—8, მოჯამაგირე—3, საშუალო გლეხობა—4, ხელოსანი—1, მოსამსახურე—1, თემსაბჭოს პრეზიდიუმში არჩეულია 3 წევრი, აქედან ერთი საშუალო გლეხი, ერთი ქალი და ერთი მოჯამაგირე. თემსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მოჯამაგირე.

თემსაბჭოს ახალმა შემადგენლობამ მიიღო ნაკაზი, რომლის მიხედვით საბჭომ უნდა განახორციელოს შემდეგი უმთავრესი ღონისძიებანი: გაფართოებულ უნდა იქნას სახკოლო ქსელი და ამ მიზნის მისაღწევად გამოინახოს სახკოლო შენობები. გახსნას სამკითხველოები და მიამარაგოს ისინი საკმაო წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით. შეძლებისდაგვარად გაიხსნას ყველა ხეობაზე მოძრავი კოოპერატიული სავაჭროები. დაარსდეს საექიმო პუნქტი, ვინაიდან მთა-თუშეთი ამჟამად წარმოადგენს ცალკე თემს, ამიტომ ადგილობრივ დაარსდეს სამილიციო ნაწილი. აღიძრას შუამდგომლობა დაწყებულ იქნას მუშაობა მთა-თუშეთში გზატკეცილის გასაყვანად, და აგრეთვე შეკეთდეს ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, მიღებულ იქნეს ზომები 1929 წელში მიწადმოწყობის დასამთავრებლად, მიღებულ იქნას ზომები ცრუმორწმუნეობის აღმოსაფხვრელად. შესაძლებლობის ფარგლებში დაარსდეს გლეხკომი, მთავარი ყურადღება მიექცეს მოჯამაგირეთა აღრიცხვას, ქალთა უფლებების დაცვას და სხვ.

კახელი

საბჭოების საანგარიშო კამპანია

როგორც ვიცით, საბჭოთა არჩევნების შესახებ ცაკის მიერ დამტკიცებულ გეგმის თანახმად 1929 წ. იანვარში უნდა ჩატარდეს საბჭოთა საანგარიშო კამპანია, ე. ი. სათემო და სასოფლო საბჭოებმა უნდა ჩააბარონ ანგარიში თავიანთი მუშაობის შესახებ ამომრჩევლებს. გარდა ამისა სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ საბჭოებს და სადაც შესაძლებელია თვით ამომრჩევლებსაც.

ეს პერიოდი არის ცენტრალური პერიოდი მთელს საარჩევნო კამპანიაში, ვინაიდან ამ დროს ხდება გენერალური შემოწმება ჩვენი საბჭოების და მთელი სახელმწიფო აპარატის მუშაობისა.

სწორედ საბჭოების ანგარიშების დროს ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ უნდა შეამოწმოს და გამოაშკარავოს როგორც ჩვენი მიღწევები, ისე ნაკლოვანებანი მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ფართე მასების საშუალებით და ამ შემოწმების საფუძველზე უნდა შევიმუშაოთ განსაზღვრული პროგრამა ჩვენი მომავალი მუშაობისა.

პარტიისა და ხელისუფლების დირექტივა გულისხმობს, რომ საბჭოების ანგარიშება ჩატარდეს საბჭოთა ფართო დემოკრატიის და იმ ამოცანების ნიშან ქვეშ, რომელიც საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობამ დასახა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და სოფლად მუშაობის დარგში.

ამ ამოცანებს უნდა შეეფარდოს საბჭოების მომავალი საანგარიშო კამპანია, როგორც ორგანიზაციულ - ტეხნიკურად, ისე თავისი პოლიტიკური შინაარსით.

ამომრჩევლების წინაშე საბჭოებისა და დეპუტატების ანგარიშება მეტად მნიშვნელოვანი საშუალებაა საბჭოების მუშაობის გამოსაცოცხლებლად, რამდენად იგი ხელს უწყობს უშუალოდ კავშირის განმტკიცებას დეპუტატებსა და მათ ამომრჩეველ მშრომელთა შორის.

ჩვენ კი ვიცით, რომ პარტიის და ხელისუფლების მიერ ჯერ კიდევ 1924 წელს წამოყენებული ლოზუნგი — „საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების შესახებ“ დღესაც შეადგენს ჩვენს მთავარ საზრუნავ საგანს, ვინაიდან ამ ლოზუნგის პრაქტიკულად განხორციელების საქმეში კიდევ ბევრი რამ გვაკლია.

როგორ უნდა მოეწყოს პრაქტიკულად საბჭოების ანგარიშება და რას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება?

საბჭოების ანგარიშებას ჩვენ ყოველწლიურად ვაწარმოებდით საარჩევნო კამპანიის დროს. ამიტომ ამ საქმეში საკმაო გამოცდილება მოგვეპოვება, მხოლოდ უნდა ვეცადოთ, რომ გავითვალისწინოთ წარსული კამპანიების დეფექტები და აღარ გავიმეოროთ შეცდომები.

როგორც წინად ხდებოდა, მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა ანგარიში უნდა ჩააბაროს ხელისუფლების ქვედა ორგანიზაციებს — საბჭოებს ადგილობრივი ფართე აქტივის თანდასწრებით.

მხოლოდ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ წარსულ კამპანიების დროს სამაზრო აღმასკომი აბარებდა ანგარიშს მხოლოდ რაიონულ ეკონომიურ ცენტრებში მოთავსებულ თემსაბჭოებს.

წელს აუცილებლად უნდა იქნეს ასეთი ანგარიში ჩაბარებული ყველა თემსაბჭოებისათვის. ამისათვის საჭიროა სამაზრო აღმასკომებმა შეადგინონ თავის დროზე ანგარიში, გამოყონ შესაფერი მომხსენებლების კადრი მაზრის პასუხისმგებელ მუშაკებისაგან და დაანაწილონ წინასწარ თემებზე.

თემსაბჭოებმა, სოფლის საბჭოებმა და დეპუტატებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ ამომრჩეველთა ფართო მასებს. აქ საჭიროა აცილებულ იქნეს წარსული შეცდომები. წარსულ არჩევნებში თემის საბჭო გამოდიოდა კრებებზე ხშირად ზოგადი და მშრალი მოხსენებით თავის მოღვაწეობის შესახებ.

ზოგან თემსაბჭოს ანგარიში შეიცავდა შემოსულ და გასულ ქაღალდების რიცხვის აღნიშვნას, ზოგან კი უფრო მეტი ადგილი ეთმობოდა პარტიისა და ხელისუფლების საერთო პოლიტიკას სოფლად და ისიც უხეიროდ და არ იყო აღნიშნული თუ **კონკრეტულად** რა გააკეთა საბჭომ თავისი მუშაობის სხვადასხვა დარგში.

ასეთი მოხსენება დღეს სრულებით არ გამოგვადგება. რასაკვირველია პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკაზე სოფლად მუშაობაში ლაპარაკი საჭიროა, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ამ პოლიტიკის ნათელყოფა კონკრეტიული მაგალითებით. ცნობილია, რომ გლეხს გრძელი ფრაზები ან და მარტო სტატისტიკური ცნობები არ აკმაყოფილებს. მას სურს აუხსნა და გასაგებ ენაზე განუმარტო, თუ რა გაკეთდა **რეალურად** ამა თუ იმ სოფლის საკეთილდღეოთ, მისი ეკონომიურად და კულტურულად წინ წასაწევად და სხვ.

საბჭოს საანგარიშო მოხსენება უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმას, თუ რა გაკეთდა საანგარიშო პერიოდში მასზე დაკისრებულ ამოცანათა განსახორციელებლად წარსულ არჩევნების დროს მიღებულ განაწესის (ნაკაზის) მიხედვით თავის მუშაობის სხვადასხვა დარგში, როგორიც არის: ა) მმართველობისა და რევოლიუციონურ წესრიგის დარგი; ბ) მიწად - მოქმედების, მეურნეობის, ვაჭრობის და კეთილმოწყობის; გ) საფინანსო - საგადასახადო; დ) სამხედრო; ე) კულტურულ-განმანათლებელი და ჯანმრთელობის; ვ) სოციალურ - უზრუნველყოფის; ზ) სასამართლო - საგამომძიებლო და სხვა დარგები. მოხსენება უნდა იყოს სათანადოდ დალაგებული, კონკრეტიულ მასალებით და ცნობებით გამაგრებული.

თვითეულ დარგში გაკეთებულ მუშაობის აღნუსხვის დროს, საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, თუ რა მდგომარეობაში იყო ესა თუ ის დარგი საანგარიშო პერიოდამდე და რა მიღწევები იყო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

რომ მოხსენება იყოს შინაარსიანი და აშუქებდეს ყველა დარგს, საჭიროა თემსაბჭოს ანგარიში შედგენილ იქნეს ადგილობრივ ყველა ორგანიზაციების (საექიმო — პუნქტი, სკოლები, კოოპერაცია, გლეხკომი და სხვ.) მონაწილეობით და იგი უნდა შეიცავდეს სწორ ცნობებს როგორც მიღწევებისა, ისე დეფექტების შესახებ.

ძალიან ცუდათაა დღემდე დაყენებული საბჭოების წევრთა ფართო კადრების ჩაბმის საქმე ანგარიშების კამპანიაში.

უმეტეს წილად ანგარიშს აბარებენ მხოლოდ საბჭოების პრეზიდიუმების წევრები, ისიც ყველა არა. დღეს, როდესაც ვლაპარაკობთ მშრომელთა ფართე მასის ჩაბმაზე საბჭოთა აღმშენებლობაში, მშრომელთა აქტივობის ზრდაზე, — უნდა მოვახერხოთ, რომ ანგარიშების კამპანიაში ჩავაბათ ადგილობრივი მთელი აქტივი, საბჭოს თვითეული დეპუტატი. მართალია ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოებასაც, რომ ადვილი საქმე არაა ანგარიშის ჩაბარებაში საბჭოების ყველა წევრის აქტიურად ჩაბმა: პირველ ყოვლისა საბჭოების ბევრი წევრი მორცხვობას გამოიჩენს, უარს იტყვის იმ მიზეზით, რომ „მოხსენების გაკეთებას ვერ მოვახერხებ“, „არასოდეს არ მქონია შემთხვევა“-ო და სხვ.

ამის მთავარი მიზეზია ჩვენი დაბალი კულტურული დონე, რომელსაც, როგორც **ლენინი** აღნიშნავდა, ვერავითარ კანონს ვერ დაუმორჩილებ. ამიტომ საჭიროა, რომ საბჭოების სხდომებზე წინასწარ ჩატარებულ იქნეს საინსტრუქციო მოხსენებანი, მიეცეს დეპუტატებს, სადაც ეს ტეხნიკურად შესაძლებელი იქნება, მოკლე, ადვილად წასაკითხი წერილობითი ანგარიში, მცირე, მხოლოდ მეტად საჭირო ციფრები და მარტივი დიაგრამები.

მიმდინარე საარჩევნო კამპანიას ჩვენ ვატარებთ თვითკრიტიკის პირობებში, ამიტომ საანგარიშო კამპანიის დროს ამომრჩევლებს საშუალება უნდა მიეცეთ სრულად განსაჯონ საბჭოს მუშაობა.

საბჭოების მუშაობის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ გამართულ კამათში სავსებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს თავისუფალი აზრთა გაცვლა - გამოცვლა და საქმიანი კრიტიკა.

უდავოდ შექმნილ უნდა იქნეს პირობები ამომრჩეველთა ნებისყოფისა და ინიციატივის სრული გამომჟღავნებისათვის, ვინაიდან ასეთი გზით, ე. ი. საბჭოთა ანგარიშების საქმიანი და თავისუფალი გარჩევით, ნაკლოვანებათა და მიღწევათა აღნიშვნით უზრუნველყოფილი იქნება ამომრჩეველთა ფართო მასის შეგნებული დამოკიდებულება ახალი საბჭოს მომავალი მუშაობისადმი.

ანგარიშის ირგვლივ წინასწარ დამზადებული რეზოლიუციის კრებაზე მოხვევა კატეგორიულად უარყოფილი უნდა იქნეს, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე ზოგან წარსულ არჩევნებში.

დეე, ამომრჩევლებმა თვითონ გამოსთქვან თავიანთი აზრი. თვითონ შეიტანონ წინადადებანი ანგარიშის შეფასების შესახებ.

აგრეთვე უარყოფილ უნდა იქნეს ისიც, რომ მოხსენების გარშემო მიიღონ მაინც და მაინც ისეთი რეზოლიუცია, რომელიც იწონებს საბჭოს მუშაობას.

ხშირია შემთხვევა, როცა საბჭოს მუშაობა არამც თუ სუსტია, არაფრადაც არ ვარგა. გამართულ კამათში ყველა მონაწილენი აღნიშნავენ მხოლოდ დეფექტებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოაქვთ დადებითი რეზოლიუცია. არაფერია, თუ საბჭოს მუშაობას არადამაკმაყოფილებლად ჩასთვლიან (თუ ის მართლა ამის ღირსია). ამით ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მოღვაწეობა არ განიზომება, როგორც მსჯელობენ ხოლმე ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები სოფლად.

მაგრამ თავის თავად ცხადია, ადგილობრივ პარტიული ორგანიზაციებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ კრიტიკა ბოროტი ზრახვებით არ იქნეს გამოყენებული კულაკებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების მიერ. ამ შემთხვევისათვის ჩვენ მომზადებული უნდა გვყავდეს ორგანიზაციულად დარაზმული ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეები საშუალო გლეხობასთან ერთად. ამიტომაა ჩვენი პარტია და ხელისუფლება მიაქცევს ადგილობრივ პარტიულ საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღებას საარჩევნო კამპანიის წინასწარ სამზადისის კარგად ჩატარებას საანგარიშო კამპანიის დაყენებამდე.

საანგარიშო კრების დღის წესრიგი არ უნდა იქნეს დატვირთული სხვა საკითხებით, ვინაიდან ეს ზიანის მეტს არაფერს ვერ მოიტანს, როგორც ამას წარსული გამოცდილება გვიმტკიცებს.

საბჭოს ანგარიშის ჩაბარების დროს კრებას უნდა დაესწრონ ადგილობრივ ორგანიზაციების და დაწესებულებების ყველა წარმომადგენლები, რომ კამათში ცხოველი მონაწილეობა მიიღონ და გლეხების შეკითხვებზე სათანადო პასუხი გასცენ. ამიტომ ეს ორგანიზაციები ეხლავე უნდა შეუდგნენ თავიანთი მოღვაწეობის შეჯამებას.

საანგარიშო კამპანია ნამდვილად უნდა გახდეს საბჭოებისა და მთელი ჩვენი აპარატის და ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების კამპანიად.

ფართედ უნდა განემარტოს მშრომელთა მასებს ჩვენი მოღვაწეობა ამ 2 წლის განმავლობაში, რომელიც განვლო დღევანდელი შემადგენლობის საბჭოებმა.

როგორია მთავარი ჩვენი მიღწევები ამ ხნის განმავლობაში?

ჩვენ წარმატებით დავამთავრეთ სახალხო მეურნეობის აღდგენა და შეუდექით მეურნეობის სოციალისტურ მშენებლობას, ახალ ტეხნიკურ ბაზაზე, კერძოთ სოფლად აღებულია გეზი მიწად - მოქმედების ინტენსიფიკაციისა, გლეხობის მასიური კოოპერატიული შეკავშირებისა და სასოფლო-მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ.

ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა მუშათა კლასი და აიწია მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე.

მიღებულ იქნა და ტარდება უდიდესი მნიშვნელობის აქტი — საკავშირო მთავრობის მანიფესტი, გამოცემული ოქტომბრის რევოლიუციის მე-10 წლის თავზე, რომლის მთავარი მომენტებია: 7 სათის სამუშაო დღის შემოღება, გლეხურ მეურნეობათა 35 პროც.-ის განთავისუფლება სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან და სხვ.

გაძლიერდა სოფლის მეურნეობაზე კრედიტი.

გაძლიერდა დახმარება ღარიბ გლეხობისათვის.

ეწყობა კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი და სხვ., რაც მიმართულია საბჭოთა სახალხო მეურნეობის განვითარებისაკენ.

პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების აღნიშნულ ღონისძიებათა წყალობით სოციალისტური სექტორი გაძლიერდა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის ეკონომიკაში.

ეს ყველაფერი უნდა განემარტოს საბჭოების ანგარიშების დროს მშრომელთა ფართე მასებს ადგილობრივ საბჭოთა აღმშენებლობის სხვა მაგალითებზედაც მითითებით.

მთელი საანგარიშო კამპანია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მრავალ ათასეული მასები, აგრეთვე, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ ამ მასების ყურადღება მიექცეს პარტიისა და ხელისუფლების წინაშე მდგარ სადღეისო მთავარ ამოცანებს, როგორიცაა: **ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, თავდაცვის გაძლიერება, წარმოების გაიაფება და რაციონალიზაცია, წვრილ დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია და კოოპერატიული შეკავშირება, ნათესების გაუმჯობესება, კულტურული აღმშენებლობა, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება, თვითკრიტიკის გაშლა-განვითარება თვით მასებიდან, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება კულაკებისა, სპეკულიანტებისა და ნეპმანების წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის საფუძველზე.**

როდესაც ასეთი ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წელს საანგარიშო კამპანიას, რომ ფართო მასა დაინტერესოთ და ჩავაბათ საბჭოების მუშაობაში და ამით წინ წავსწიოთ სოციალისტური მშენებლობა როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

დ. ქუჩულორია.

რემედასის კვირეული

რევოლიუციონურ მოძრაობის გაღრმავებას ბურჟუაზიულ ქვეყნებში თან სდევს თეთრი ტერორის გაძლიერება, ამის დასამტკიცებლად ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ იტალია, სადაც დღითი-დღე ფართე ხასიათს იღებს მასიური ტერორი, რევოლიუციონერთა პროცესები: ბულგარეთში, რუმინეთში, სამხრეთსლავიაში, უნგრეთში და პოლონეთში, სადაც ხელისუფლება საპყრობილესაკენ მიერეკება ყველა იმათ, ვინც უკმაყოფილებას იჩენს არსებულ წყობილებისადმი. ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში დღითი-დღე მატულობს პოლიტ-პატიმართა რიცხვი. პოლიტპატიმართა ოჯახის წევრები კი საშინელ დევნა-შევიწროებას განიცდიან პოლიციისა და ჟანდარმერიის მხრივ.

მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია უსაშინელესი რეპრესიებით ესხმის თავს პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობას, თეთრი ტერორი მეტად მწვავე ხასიათს ღებულობს ისეთ „დემოკრატიულ“ ქვეყნებშიაც კი, როგორიცაა მაგალითად საფრანგეთი და ინგლისი. ამრიგად თეთრი ტერორი ბურჟუაზიის ხელში გადაიქცა უძლიერეს იარაღად, რომელსაც ის მიმართავს პროლეტარიატის წინააღმდეგ, რათა გაანადგუროს მისი რევოლიუციონურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა.

მაგალითისათვის აქ მოვიყვან ცნობებს ზოგიერთ ქვეყნებში რევოლიუციონურ მოძრაობის დევნის დასახასიათებლად. ეს ცნობები შეეხება 1918—27 წ.წ. პერიოდს.

გერმანიაში დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობა უდრის 15.600, სხვადასხვა ვადით დაპატიმრებულთა—58.000; უნგრეთში დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობა უდრის — 14.500, სხვადასხვა ვადით დაპატიმრებულთა —92,000; ბულგარეთში დაჭრილ-დახოც. რიცხვი უდრის—27.000, სხვადასხვა ვადით დაპატიმრებული — 210.000; იტალიაში — დაჭრილ-დახოც.—82.000, სხვადასხვა ვადით დაპატიმრ.—170,000, ესტონეთში—დაჭრილ-დახოცილი—25.000, სხვადასხვა ვადით დაპატიმრებული—12.000 კაცს; პოლონეთში—დაჭრილ-დახოცილი—32,000, სხვადასხვა ვადით დაპატიმრებული—18.000 კაცს.

ბურჟუაზია მიზნათ ისახავს საპყრობილეს აუტანელი რეჟიმით ფიზიკურად გაანადგუროს რევოლიუციონური პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლები. ყველგან შემოღებულია პოლიტპატიმართა დამწყვდევა ცალკე საკნებში, სადაც მათ უწყალოთ სცემენ და მხეცურად აწამებენ. ამავე დროს მთელი მსოფლიო მოფენილია პოლიტ-პატიმართა უპატრონოდ მიტოვებულ ცოლშვილით, რომლებსაც არ გააჩნიათ ცხოვრების არავითარი სახსარი, ისინი განწირულნი არიან სასიკვდილოთ.

ბურჟუაზიის მიერ რევოლიუციონურ პროლეტარიატის ასე მხეცურად დევნამ წარმოშვა რემედასის დაარსების იდეა. რემედასი არის გამომხატველი საერთაშორისო მუშათა კლასის კლასობრივ ერთსულოვნების და სოლიდარობის. რემედასი მიზნად ისახავს თეთრი ტერორის მსხვერპლთა დასახმარებლად ყოველგვარი ღონისძიებათა გამონახვას. რემედასი ამავე დროს აწარმოებს მშრომელ მასების ინტერნაციონალურ აღზრდას.

კლასობრივ ბრძოლების გაძლიერებასთან დაკავშირებით ბურჟუაზიამ გააძლიერა იერიშები მუშათა კლასის წინააღმდეგ. საზღვარგარეთ იზრდება თეთრი ტერორი, ბურჟუაზიის ეს გაძლიერებული შემოტევა ავალებს რემედასს ერთი-ორად გააძლიეროს თავისი მუშაობა რეაქციის მსხვერპლთა დასახმარებლად. რემედასის მუშაობის გაძლიერება მით უფრო აუცილებელია, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები უპირველეს ყოვლისა ს.ს.რ. კავშირის წინააღმდეგ ამზადებენ ახალ ომს. რემედასის მატერიალური და მორალური დახმარება შესამჩნევად გაუადვილებს ჩვენს საზღვარგარეთელ ამხანაგებს ბრძოლას ახალი ომის მზადების წინააღმდეგ.

კაპიტალისტების საპყრობილეებში მყოფი პოლიტ-პატიმრები საჭიროებენ თავისუფლად მყოფ ამხანაგების როგორც მატერიალურ ისე მორალურ დახმარებას, რემედასის მიერ აღმოჩენილი დახმარება უდიდესი ნუგეშია, არა მარტო ბნელ ჯურღმულებში მოქცეულ ამხანაგებისათვის, არამედ იმათთვისაც, ვინც რევოლიუციონურ ბრძოლებში სამუდამოთ დაჰკარგა ოჯახის მარჩენალი.

გარდა დახმარების აღმოჩენისა რევოლიუციისათვის მებრძოლებისათვის, რემედასს აქვს კიდევ ერთი მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა—ეს არის მშრომელ მასების ინტერნაციონალური აღზრდა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რათა მასები რაც შეიძლება მეტი ყურადღებით მოეპყრან რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარებას და მის შედეგებს, როგორც თვით კაპიტალისტურ, ისე კოლონიალურ ქვეყნებში.

ამ საქმეში რემედასმა უნდა შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა. ამავე დროს რემედასმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში (საბჭოების გადარჩევაში, სესხის განაღდებაში, კულტურულ რევოლიუციის გაღრმავებაში და, სხვა და სხვა), ვინაიდან საბჭოთა კავშირის ზრდა და განმტკიცება წარმოადგენს უდიდეს ნუგეშს საერთაშორისო პროლეტარიატისათვის, ის იმედებს უღვიძებს რევოლიუციონურ მუშათა კლასსა და გლეხკაცობას.

კვირეულის განმავლობაში გაძლიერებული და გაღრმავებული უნდა იქნეს რემედასის მიერ დაწყებული ყოველგვარი მუშაობა. კვირეულის ჩატარების ამოცანად მიჩნეულია მშრომელთა ფართე მასების ჩაბმა რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების საქმეში, ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობის გაღრმავება, კავშირის გაბმა რემედასის საზღვარგარეთ მოძმე ორგანიზაციებთან, პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გაფართოება და ამ მხრივ უკვე მიღწეული შედეგების ორგანიზაციულად განმტკიცება. ამასთანავე კვირეულის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კავშირის განმტკიცებას კაპიტალისტური ციხეების პოლიტპატიმრებთან, პატიმრებისათვის დახმარების აღმოჩენას, საწევრო დავალიანებათა ლიკვიდაციას და სხვ.

აღნიშნულ ამოცანების განხორციელებით ჩვენ ერთხელ კიდევ დავამტკიცებთ, რომ რემედასი არის ინტერნაციონალური სოლიდარობის გამომხატველი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს ზრუნვას რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარებაზე, რათა ამით ხელი შეუწყოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის დაჩქარებას.

ვანო სტურუა.

დავიცვათ წესრიგი

არა ერთხელ ყოფილა მოთავსებული ჩვენს პრესაში სამართლიანი შენიშვნები და საჩივრები მუშათა მასის მიერ ზოგიერთ მაწანწალა ხულიგან ელემენტებზე, რომლებიც თავიანთი უმსგავსო მოქმედებით არღვევენ წესრიგს და საერთო მშვიდობიანობა-მყუდროებას. ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს ღებულობს წარსულის ამ მემკვიდრეობის აღმოსაფხვრელად.

ახლოვდება რა ამჟამად, ეგრედწოდებული რელიგიური „დღესასწაულები“, მოსალოდნელია მოქალაქეთა მშვიდობიანობისა და წესრიგის დარღვევა ამ დღეებში. ჩვენს ხელისუფლებას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს მოქალაქეთა კანონიერ მოთხოვნილებებს და იმ დროს, როდესაც მშრომელი მასა ჩაბმული იქნება სამუშაოდ ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, — იგი საშუალებას არ მისცემს უსაქმოდ ქუჩაში მოხეტიალე პირებს ხელი შეუშალონ მათ თავიანთ შრომაში.

თბილისის საბჭოს ადმინისტრატიული განყოფილება მოუწოდებს ქალაქ თბილისში და მის მაზრაში მცხოვრებ მოქალაქეებს, რათა რელიგიურ „დღესასწაულებზე“, არ ექნეს ადგილი არავითარ სროლას, ლოთობას, ქუჩაში დებოშის მოხდენას, ხულიგნურ მოქმედებას და სხვა ისეთ რამეებს, რაც დაარღვევს საერთო წესრიგს და მოქალაქეთა მყუდროებას. ასეთ გამოსვლებში შემჩნეული პირები დასჯილნი იქნებიან კანონის მთელი სიმკაცრით.

თბილისის საბჭოს ადმინისტრატიული
განყ. უფროსი საჯაია.

კომკავშირის კულტურული ლაშქრობა

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის წევრებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ლენინელთა ახკომკავშირმა უკვე დაიწყო კულტურული ლაშქრობა მთელ საქართველოში და ყველა თავისი ძალები შეჰკრიბა სახკოლო მშენებლობის დასახმარებლად.

ლაშქრობის ამოცანებია: ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან, ლოთობასთან, რელიგიასთან და ჩვენი ყოფა-ცხოვრების დრომოჭმულ ადათებთან სოფლად და ქალაქად. განათლების მუშაკთა 22 ათასიანი მასის მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ ლაშქრობაში, ვინაიდან განათლების მუშაკთა პრაქტიკულ მონაწილეობისაგან დამოკიდებულია უმთავრესად კულტურული ლაშქრობის გამარჯვება.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდატორთა ნებაყოფლობითი ჯგუფების ორგანიზაცია, კულტურულ ლაშქრობის პოპულარიზაცია, მოსწავლეთა მიერ მშობლებს შორის ლოთობის გასამართლების მოწყობა, მასიურ ანტირელიგიურ დადგმების ორგანიზაცია საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებით, მოსწავლეთა ბინების და სახკოლო დაწესებულებათა სანიტარულ პირობების გამოკვლევა, დამხმარე საბჭოების წაქეზება რადიოფიკაციისა და სკოლების შესაკეთებლად, ბავშვებისათვის ცხელი საუზმის მისაწოდებლად,—ყოველივე ეს თვითეულ სკოლის პრაქტიკულ ღონისძიებათ უნდა გადაიქცეს კულტურულ ლაშქრობის ამოცანათა განხორციელების დარგში.

ლაშქრობის ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს კულტურულად ჩამორჩენილი სოფელი.

სოფლის განათლების მუშაკის მონაწილეობა თემ-საბჭოების პლენუმებსა და სექციებზე კულტურულ მშენებლობის საკითხების დასასმელად და განსახორციელებლად, მისი აქტიური ყოველდღიური მუშაობა სამკითხველოს საბჭოში, გლეხთა მოსახლეობის შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის დახმარება ინდივიდუალური და ჯგუფური ლიკვიდაციის გზით (ნებაყოფლობითი წესით). მუშაობის გაძლიერება გლეხ-ქალთა შორის სოფლად, კულტმშენებლობის საკითხების ყოველდღიურად გაშუქება კედლის გაზეთებში,—ყოველივე ეს უდავოდ უნდა გადაიქცეს სოფლის განათლების მუშაკთა საზოგადოებრივობის პრაქტიკულად გამომჟღავნების ელემენტებად და უზრუნველჰყოს კულტურული ლაშქრობის გამარჯვება.

კულტურულ ლაშქრობაში არა ნაკლები მნიშვნელობის როლი ეკისრება ჩვენ პროლეტარულ სტუდენტობას, რომელთაც ამ ზამთრის არდადეგების დროს სოფლებში უხდებათ ყოფნა და მუშაობა.

ინიციატივა განათლების სახალხო კომისარიატის ორგანოებთან ერთად მონაწილეობას, არსებულ ლიკპუნქტების მუშაობის გამოკვლევაში, სკოლებისათვის დახმარების გაწევა მოჯამაგირეთა და ულარიბეს გლეხობის შეზიდვის საქმეში, შემჩნეულ დაბრკოლებათა გამომჟღავნება ამ დარგში, მასწავლებლობასთან ერთად მოკლევადიანი კურსების ორგანიზაცია წერა-კითხვის უცოდინარობის იმ ლიკვიდატორებისათვის, რომელნიც ახკომკავშირის და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლეთა აქტივიდან არიან გამოსული—ყოველივე ეს უნდა გადაიქცეს შვებულებაში მყოფ სტუდენტის ამოცანად.

კულტურული ლაშქრობა რთული და ხანგრძლივი ფორმაა კულტურულ რევოლიუციისა და ამიტომ ამ ლაშქრობას უნდა გამოეხმაუროს აგრეთვე მეცნიერების მუშაკთა სექცია, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს პედაგოგებს თავის კვალიფიკაციის ამაღლებაში. განათლების მუშაკთა სახლებსა და მუშათა კლუბებში მოაწყოს მოხსენებები, დისპუტები და კონსულტაცია კულტურულ მშენებლობის საკითხებზე.

ჩვენ, განათლების მუშაკნი, უშუალო გამტარებელნი ვართ კულტურულ რევოლიუციისა და, ცხადია, ამ დარგში ახკომკავშირთან შეთანხმებულად უნდა ვიმუშაოთ და ყოველნაირი დახმარება გაუწიოთ მას ჩვენი პედაგოგიური გამოცდილებით.

ჩვენი რიგების შემჭიდროებისა და საქმიანობისაგან არის უმთავრესად დამოკიდებული კულტურული ლაშქრობის გამარჯვება.

ჩვენი განათლების მუშაკთა ლაშქარი 22 ათას წევრისაგან შესდგება და კულტურულ ლაშქრობის შედეგების შეფასებაში ჩვენ გვეკუთვნის გადამწყვეტი ხმის უფლება.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციით გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობის განვითარების ტემპი.

რელიგიისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლით დავამარცხოთ კულაკი და ნეპმანი.

ერთსულოვნად შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები.

ლაშქრობისაკენ ახკომკავშირთან ერთად.

გაუმარჯოს ლაშქრობის ორგანიზატორს, ლენინელთა ახკომკავშირს.

გაუმარჯოს კულტურულ რევოლიუციას საბჭოთა ქვეყანაში.

საქ. განათლების მუშაკთა კავშირის
ცენტრ. გამგეობა.

ვგმობთ რელიგიურ დღესასწაულს

ნიგვზიანის თემი, გურია

რელიგიას განსაკუთრებით სოფლად ჰქონდა ფეხი მოკიდებული. ეკლესიები აღარ არის ჩვენში, მაგრამ რელიგიურ დღესასწაულებისათვის გლეხობის ნაწილს ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი. გასულ წელს ნიგვზიანის თემის შვიდწლედმა მოსახლეობაში ჩაატარა ანტირელიგიური პროპაგანდა შობის წინააღმდეგ და ახალი წლის ახალი სტილით დღესასწაულის შესახებ. მაშინ ამ პროპაგანდამ ნაწილობრივად მიზანს მიაღწია.

დღეს კომპარტია კომკავშირთან ერთად და სკოლა განსაკუთრებით ვემზადებით ანტირელიგიური კამპანიის ჩასატარებლად. 25-26 დეკემბერი ჩვეულებრივ სამუშაო დღეებად უნდა გამოვიყენოთ და დასვენების ეს დღეები გადავიტანოთ 2-3 იანვარს.

მოწაფეთა კომიტეტიც დიდი სიხარულით შეეგება ამ საკითხს.

ჩვენი შეხედულება გადავეცით სამაზრო განათ. განყოფილებას.

ამ საქმით მხარში ამოუდგებით კომკავშირს მის მიერ აღებულ ხაზის გატარებაში: „მშრომელთა განთავისუფლება ყოველგვარ ცრუ და მავნე ზნე-ჩვეულებებიდან“.

ალ. საჯაია.

ოთხშაბათს, 26 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე აღმასკომის დარბაზში შესდგება ყველა ნაბეჭდ და კედლის გაზეთების მუშკორთა, კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების ყველა წევრთა და პრესის მუშაკთა

საერთო საქალაქო კრება

დღის წესრიგი:

1) ე. ასრიბეკოვის მოხსენება—საბჭოების გადარჩევის შესახებ.
2) მოხსენება მუშგლეხკორთა მე-IV სრულიად საკავშირო თათბირის შედეგების შესახებ (მომხსენებელი ამხ. ელიაძე, გალკინი და ამირბეგოვი).

კრებაზე მიწვეულია აგრეთვე პროფაქტივი.

თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

ღარიბთა ჯგუფების შემოწმება

როგორ მუშაობენ ღარიბთა ჯგუფები ქიზიყში

(წერილი კახეთიდან)

ს. ქ. პ. (ბ) კახეთის სამაზრო კომიტეტის დირექტივების თანახმად ქიზიყში ამჟამად მიმდინარეობს ღარიბთა ჯგუფების მუშაობის შემოწმება. აღნიშნული შემოწმება ქიზიყში დაიწყო დეკემბრის პირველ რიცხვებში და დამთავრდა 20 დეკემბერს. ღარიბთა ჯგუფების მუშაობის დათვალიერების და გამორკვევის შემდეგ 23 დეკემბერს მოწვეულია ქიზიყის რაიონის ღარიბ ჯგუფთა კონფერენცია.

საბჭოებთან ღარიბთა ჯგუფები ქიზიყში ჩამოყალიბდა 1927 წლის მარტში, ამ ხნიდან დღემდე 8 სათემო საბჭოს ღარიბთა ჯგუფს ჰქონდა 48 სხდომა და განიხილა 118 საკითხი. ეს საკითხები უმთავრესად შეეხებოდა: მიწათ მოწყობას, ღარიბთა გაკოოპერატივებას, თვითდაბეგვრების ჩატარებას, პურის დამზადების კამპანიას, სასოფლო-სამეურნეო იარაღ მანქანების მომარაგებას, კრედიტების განაწილებას, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყით სარგებლობას და სხვ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ღარიბთა ჯგუფების გადაწყვეტილებებს მსვლელობა ეძლეოდა სათანადო საბჭოების და აღმასკომების მიერ, ასე მაგალითად, იმ 118 კითხვიდან, რომელიც განხილულია ღარიბთა ჯგუფების კრებებზე, ცხოვრებაში გატარებულია 82, გატარების პროცესშია 16 და უშედეგოდ დარჩენილია 15, უშედეგოდ დარჩენილი კითხვები საერთო ხასიათისაა და შეეხება სხვადასხვა კამპანიების საზოგადოდ ჩატარებას.

დიდი წარმატებაა მიღწეული ღარიბთა ჯგუფების მიერ კლასიური ხაზის დაცვა-გატარებაში. სამისოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1. 1926 წელს „ზაკსელმაში“ აწარმოებდა ტრაქტორების და მსხვილი სას.-სამ. იარაღების გაცემას ინდივიდუალური მეურნე გლეხებზე. ამ გარემოებით ისარგებლა ქიზიყის კულაკობამ და ხელთ ჩაიგდო 25 ტრაქტორი და რამდენიმე სალეწი მანქანა. ამ ხანათ ტრაქტორები ახალი ხილი იყო კახეთის სინამდვილეში და კულაკებმაც ტრაქტორების საშუალებით დაიწყეს ღარიბ და საშუალო გლეხების საზღაპრო ექსპლოატაცია ტრაქტორების მათდამი აუტანელ პირობებში მიქირავებით. ეს საკითხი ჯეროვნად იქნა დამუშავებული ტიბაანის და მირზაანის საბჭოს ღარიბთა ჯგუფების მიერ და სათანადო ორგანოების ამ საქმეში ჩარევით მიღწეული იქნა ექსპლოატატორ კულაკებიდან ტრაქტორების ჩამორთმევა და მისი გადაცემა ღარიბ და საშუალო გლეხთა კოლექტივებისათვის.

2. ქიზიყში კულაკობამ ხასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მიწათმოწყობის ჩატარებას იმიტომ, რომ ქიზიყში მიწების თემური მფლობელობაა და მიწების მოწყობით კულაკები კარგავდნენ უფლებას მიწების დიდი რაოდენობით პატრონობისას. ქვემო მაჩხაანის საბჭოს ღარიბთა ჯგუფმა, მიუხედავად კულაკების გაშმაგებული წინააღმდეგობისა, თვითდაბეგვრაც კი ჩაატარა მიწების მოწყობის დასაჩქარებლათ ისე, რომ ამ თვითდაბეგვრის სიმძიმე მთლიანად გადატანილი იყო კულაკურ გლეხებზე, რაც შეეხება კოლექტივებს მიწების მოწყობას, იგი ორიოდე კვირაში დამთავრდება.

ღარიბთა ჯგუფები უშუალო მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყით ღარიბების დასაკმაყოფილებლად და კრედიტების განაწილების საქმეში, მთელ ქიზიყში ყველა სახის კრედიტები ნაწილდება ღარიბთა ჯგუფების მეშვეობით.

დასახელებულ მიღწევებთან ერთად ღარიბთა ჯგუფების შემოწმებამ გამოარკვია სერიოზული დეფექტებიც.

ღარიბთა ჯგუფები სუსტ მონაწილეობას იღებენ კოლექტივების მოწყობის საქმეში, ქიზიყში გამოკვლეულ 5 ჯგუფიდან. მხოლოთ ერთ ჯგუფს (მირზაანის საბჭო) დაუსვამს კითხვა კოლექტივების მოწყობაზე და ისიც ერთხელ.

შემჩნეულია აგრეთვე, რომ სისტემატიურ მუშაობას აწარმოებენ მხოლოთ სათემო საბჭოს ღარიბთა ჯგუფები. დანარჩენ არჩევით ორგანოებთან (გლეხკომი, საკ. ამხანაგობა, კოოპერატივი), ღარიბთა ჯგუფები უმეტეს შემთხვევაში მოისუსტებენ.

იმის გამო, რომ გარდა საბჭოს ჯგუფებისა, სხვა ჯგუფები არ აწარმოებენ სისტემატიურ მუშაობას, ადგილი აქვს სხვადასხვა ჯგუფების ფუნქციების მითვისებას თემ-საბჭოს ჯგუფის მიერ. მაგალითად: კითხვას იმის შესახებ, თუ რამდენი ღარიბი გლეხი ჩაეწეროს კოოპერატივებში წევრათ და თითოს რამდენი ჩაურიცხონ საპაიო თანხა, სწყვეტს არა მაჩხაანის მომხმარებელი კოოპერატივთან არსებული ღარიბთა ჯგუფი, არამედ ღარიბთა ჯგუფი მეზობელ (ტიბაანის) თემ-საბჭოსი.

გარდა ამისა ადგილი აქვს ღარიბთა შორის მუშაობის ფორმებში გაურკვევლობას: სოფლის ღარიბთა კრებას ღარიბების ჯგუფურ კრებას და ღარიბთა ჯგუფებს ყველას უწოდებენ „ღარიბთა ჯგუფებს“. ტიბაანის კომუჯრედის მდივანმა ტიბაანის საბჭოს ღარიბთა ჯგუფის სიის მაგივრათ მოგვაწოდა სოფლის მთელი ღარიბების სია. როგორც მერე გამოირკვა აღნიშნული მდივანი ღარიბთა ჯგუფის და ღარიბთა კრების ფორმებში ვერ ერკვეოდა. ასეთი მდგომარეობა შემჩნეულია სხვა თემებში (გარდა ქვემო მაჩხაანისა).

რაც მთავარია ადგილებზე არ არის დეტალურად დამუშავებული სამაზრო კომიტეტის დირექტივები და ლოზუნგები ღარიბთა შორის მუშაობის დარგში, ღარიბები ნაკლებათ იცნობენ ყველა იმ სპეციალურ შეღავათებს და დახმარებებს, რომელსაც მათზე ავრცელებს პარტია და ხელისუფლება.

ზოგჯერ ღარიბი გლეხი განცვიფრებული, როდესაც მას ეუბნებიან, რომ ის ღარიბთა ფონდიდან ჩარიცხულია კოოპერატივს წევრათ და აძლევენ საწევრო წიგნაკს საწევრო გადასახადის გადაუხდელათ. ხდება მეტიც: ღარიბები „შიშობენ“ და ვერ გადაუწყვეტიათ საწევრო წიგნაკის გამოტანა ღარიბთა ფონდის ანგარიშში, ქვემო მაჩხაანის კოოპერატივში განაცხადეს, რომ ზოგიერთი მახლობელ სოფლების ღარიბებს ვეხვეწებით და თავზანთი წიგნაკები არ მიაქვთო.

როგორც გამოირკვა ამაში კულაკებსაც მიუძღვით „ღვაწლი“. უკანასკნელნი ავრცელებენ ხმებს, რომ „წიგნაკებს მოტყუებით იძლევიანო“. როცა აიღებთ წიგნაკს მთელ საპაიოს ერთბაშათ წაგართმევენო და სხვა. ყველა ეს ამტკიცებს ქვემო მაჩხაანის თემკომის სათანადო სისუსტეს, რაც გამომდინარეობს ამ დარგში სამაზრო კომიტეტის დირექტივების შეუსრულებლობიდან.

ეჭვი არ არის, რომ ღარიბთა ჯგუფების მიმდინარე შემოწმება და ამ ჯგუფების სათემო და სამაზრო კონფერენცია, რომელიც დიდი ენერგიით მზადდება, ქიზიყში და მთელ კახეთში, უდიდეს როლს ითამაშებს ღარიბთა ჯგუფების მუშაობის შემდგომი გამოცოცხლებისათვის საერთოდ და ღარიბების საბჭოთა არჩევნების კამპანიაში შეგნებული და ორგანიზაციული მონაწილეობის მიღებისათვის.

აკ. ჭოჭუა.

ღარიბთა ჯგუფები ქუთაისის მაზრაში

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის მაზრაში ღარიბთა შორის მუშაობაში ადგილი აქვს დიდ მიღწევებს, მაგრამ წარმოებული მუშაობა ჯერ კიდევ არ ჩაითვლება საკმაოდ. ამ დარგში მუშაობის აუცილებლად გაძლიერებისა და წინ წაწევისათვის, ღარიბთა ჯგუფების საბჭოს არჩევნებში აქტიურად ჩაბმის მიზნით დაიწყო ღარიბთა ჯგუფების შემოწმება, რომელმაც უნდა გამოაშკარაოს ღარიბ გლეხობისა და კერძოდ მოჯამაგირეთა მონაწილეობა საბჭოების, კოოპერაციის და გლეხთა საურთიერთო საზოგადოების კომიტეტების მუშაობაში, განსაკუთრებით მათ საქმიანობაში კლასიური ხაზის სისწორით გატარების თვალსაზრისით; ღარიბთა ჯგუფების კოლმეურნეობათა მშენებლობის გაშლა - გაფართოების დარგში. ღარიბთა ჯგუფის მონაწილეობა კულტურულ აღმშენებლობაში, პარტორგანიზაციების მუშაობა ღარიბ გლეხობის შეკავშირებისა და მათი ყოველდღიური მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის დარგში და აგრეთვე კომკავშირის მონაწილეობა ამ მუშაობაში. შემოწმება დამთავრდება 25 დეკემბრამდე. ღარიბთა ჯგუფის შემოწმების შემდეგ მოწვეული იქნება სათემო თათბირები.

სათემო თათბირებზე დასმულია შემდეგი საკითხები: პირველი სამაზრო კონფერენციის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებაზე ინფორმაცია, ღარიბ გლეხთა ჯგუფების მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში და დელეგატების არჩევა სამაზრო კონფერენციაზე.

მეორე სამაზრო კონფერენცია მოწვეული იქნება 25 დეკემბერს. განხილული იქნება შემდეგი საკითხები: 1. მიწის დამატებითი რეფორმის მსვლელობა, კოლექტივიზაცია და საბჭოთა არჩევნების კამპანიის შესახებ. ღარიბ გლეხთა ჯგუფების შემოწმების და თათბირის ჩასატარებლად თემებში მაზრკომის მიერ მივლინებულია პასუხისმგებელი მუშაკები.

ბ—ძე.

უთავბოლო მუშაობა დამზღვევ სალაროებში

საბჭოთა დაწესებულებები ანგარიშს არ უწევენ დამზღვევ სალაროების მუშაობას.—ქუთაისის დამზღვევ სალაროს ასიათას მანეთამდე დავალიანება აქვს.—დამზღვევ სალაროებში ადგილი აქვს უთავბოლო და უყურადღებო მუშაობას. — დაზღვევის წიგნაკის ბოროტად გამოყენებას ბოლო არ მოეღო.

გავაუმჯობესოთ დამზღვევ სალაროს საქმიანობა

სოცდაზღვევის საქმიანობისა და მისი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას ჩვენში საშველი არ დაადგა. ამ დარგში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი ნაკლი გვაქვს, რომელიც ხელს უშლის როგორც დაზღვევის საქმეს, ისე ამ დამზღვევ ორგანოების ნორმალურ მუშაობას, თუ გავეცნობით დამზღვევ სალაროების მუშაობას ჩვენში, ვნახავთ, რომ არც ერთ დამზღვევ ორგანოს მუშაობა არ არის სათანადო დონეზე დაყენებული; უყურადღებობას, უთავბოლობას და დასაზღვევ თანხების მიზანშეუწონლად გამოყენებას თითქმის ყველა დამზღვევ სალაროში ნახავთ.

რკინის გზის დამზღვევმა სალარომ, 1927—28 საბიუჯეტო წლის განმავლობაში, 5.259 მან. და 14 კაპ. გასცა ავანსად. ამის უფლება კი დამზღვევ სალაროს არ ჰქონდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ დასაზღვევ თანხებიდან, დამზღვევ ორგანოების თანამშრომლებზე ავანსის დარიგება, ეს არის დასაზღვევ თანხების არა დანიშნულებისათვის გამოყენება და მეორეც ავანსების გაცემა მით უმეტეს დიდი ხელფასის მქონე თანამშრომლებზე საერთოდ აკრძალულია. რკინის გზის დამზღვევ სალაროს ხელმძღვანელებმა არც ერთსა და არც მეორეს არ გაუწიეს ანგარიში და აუარებელი თანხები მოანდომეს ავანსს, რომელიც დღესაც გაუნაღდებელია.

რა გამოიწვია დასაზღვევ ფულების ასე უთავბოლოდ გაცემამ? გამოიწვია ის, რომ დამზღვევ სალაროს ჯერ კიდევ არ გადაუხდია საბინაო ფონდის პროცენტული ანარიცხი — 236.568 მ. და 90 კაპ. რაოდენობით. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს თანხა სულ ავანსად არის გაცემული, მაგრამ რაც არის გაცემული ავანსად, ისიც საკმაოდ აფერხებს დამზღვევ სალაროს საქმიანობას. ასეთივე მდგომარეობაა ქუთაისის დამზღვევ სალაროშიაც. აქ მართალია ავანსები არ არის გაცემული, მაგრამ სამაგიეროდ 30 ათასი მანეთი დავალიანება აქვს ასაკრები წარმოება-დაწესებულებებიდან. ამის გამო დამზღვევი სალარო ხარჯავს იმ თანხებს, რომლებიც უნდა შეეტანა საკავშირო სოცდაზღვევისა და საბინაო ფონდში. ეს გარემოება, რასაკვირველია, შეაფერხებს დამზღვევ სალაროს ნორმალურ მუშაობას. დასაზღვევ თანხების ასეთ უთავბოლო ხარჯვასა და მის არა დანიშნულებისათვის გამოყენებას, ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს.

რაც შეეხება დამზღვევ სალაროების ტეხნიკურ მუშაობას, მუშა-მოსამსახურის დაზღვევას და სხ. ამ მხრივაც ვერ არის ყველაფერი თავის რიგზე. ხშირად აქვს ადგილი დამზღვევ სალაროს წიგნაკის ბოროტად გამოყენების და ზოგიერთი ანტისაბჭოთა ელემენტის დაზღვევას. დამზღვევი სალარო ხშირად არ იკვლევს იმას თუ რამდენად უტყუარია ამა თუ იმ მოქალაქის მიერ წარმოდგენილი საბუთი მის დასაზღვევად. მაგ. თბ. დამზღვევმა სალარომ, უბრალო განცხადებით დააზღვია ცნობილი მევახშე ვინმე ს. კავაროვი. რკინის გზის დამზღვევმა სალარომ პენსია დაუნიშნა ყოფილ ვაჭარს, ს. კაციტაძეს, რომელმაც მხოლოდ ორ ნახევარი წელიწადი იმსახურა რკ. გზაზე.

ეს მაგალითები ამტკიცებენ იმას, რომ დამზღვევი სალაროები ერთობ უყურადღებოთ ეკიდებიან დასაზღვევად მისულ მოქალაქის მიერ წარმოდგენილ საბუთების შემოწმებას. ასეთ მუშაობას დროა ბოლო მოეღოს. დამზღვევ სალაროში წარდგენილი ყოველგვარი საბუთი საფუძვლიანად უნდა იქნეს შემოწმებული და შესწავლილი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაზღვეული იქნეს ესა თუ ის მოქალაქე.

ქუთაისის დამზღვევი სალარო სულს ლაფავს

უკვე სამი წელია, რაც დამზღვევ სალაროს შემოსავალი არ ფარავს მის გასავალს, იმ მიზნით, რომ დამზღვევ სალაროს თავის დროზე მიეცა დაზღვეულ მუშებისათვის ავადმყოფობის ფული, ხელი მიჰყო იმ თანხების ხარჯვას, რომლებიც არსებულ დებულების მიხედვით, დამზღვევ სალაროს არ ეკუთვნის. ასეთია მაგ. საკავშირო სოცდაზღვევის ფონდის და საბინაო მშენებლობის პროცენტული ანარიცხები. ეს თანხა დამზღვევ სალაროს ვალად ეწერება. ამ ვალის რაოდენობა კი ამჟამად ასი ათას მანეთს აღემატება.

ასეთი კრიზისი ცოტათი მაინც შენელდებოდა, რომ დამზღვევ სალაროს არ უხდებოდეს ყოველდღე თანხების ვადახარჯვები. გადახარჯვების მოსპობა კი შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი სალარო შესძლებს ძველი დავალიანებისა და სოცდაზღვევის მიმდინარე ანარიცხების სრულიად აკრეფას.

ზოგიერთი დაწესებულებები ვალდებულად არ სთვლიან თავს, თავის დროზე გადაიხადონ სოცდაზღვევის ვალი. ამჟამად ქუთაისის დამზღვევ სალაროს 30 ათასი მანეთამდე დავალიანება აქვს ასაკრები, ეს თანხა ითვლება დაახლოებით 40 დაწესებულებაზე. ისე, რომ თვითეულ დაწესებულებაზე, გარდა განათლების განყოფილებისა, რომელსაც 5.000 მანეთი აქვს დავალიანება, უმნიშვნელო თანხები ითვლება.

დავალიანების საგრძნობი ნაწილი ირიცხება ისეთ ორგანოებზე, რომლებიც მაგალითის უნდა უჩვენებდნენ სხვას და დახმარებას უნდა უწევდნენ დამზღვევ სალაროს დავალიანების აკრეფაში. ასეთებია მიწა-ტყის მუშაკთა პროფკავშირი, ხელოვნების მუშაკთა, სამთამადნო მუშაკთა და თვით პროფბიურო. მიწა-ტყის პროფკავშირს აქვს 1924—25 წლის დავალიანება 700 მანეთამდე, ამ ხნის განმავლობაში, რომ თვეში თითო მანეთი გაეღოთ, დღემდე დავალიანება დაფარული იქნებოდა. ასევე თითქმის სხვებზედაც. კავშირების ცენტრალური გამგეობები არავითარ ანგარიშს არ უწევენ დამზღვევ სალაროს და არ ღებულობენ ზომებს დავალიანების დასაფარავად. ასევე იქცევიან სხვა დაწესებულებების ადმინისტრაციაც.

23 ოქტომბერს, საკავშირო სახკომსაბჭომ და შრომისა და თავდაცვის საბჭომ გამოსცა დადგენილება, რომელიც ავალებს ყველა ცენტრალურ ორგანოებს, სოცდაზღვევის ძველი დავალიანების აკრებას 3 თვის განმავლობაში. სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებმა მტკიცედ უნდა შეასრულონ ეს დადგენილება და მიიღონ იძულებითი ზომებიც კი სოცდაზღვევის დავალიანების დასაფარავად.

შ. ბილიხოძე.

დაზღვეული ვაჭარი

საქმე ეხება ერთ დიდ სტაჟიან ვაჭარს, სოლომონ კაციტაძეს, რომელიც წვრილი ვაჭრობიდან მალე გადავიდა მსხვილ ვაჭრობაზე და კარგად წაიყვანა თავისი საქმე. ის ერთ ხანს ცნობილი ვაჭარი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიაც. მაგრამ ყველაფერი ეს ძველად იყო. დღეს შეიძლებოდა არაფერი გვეთქვა ამის შესახებ, რომ მოქ. კაციტაძეს შეცდომაში არ შეეყვანა სოცდაზღვევის ორგანოები და არ დაენიშნებია მისთვის პენსია.

სოლომონ კაციტაძე, დიდი „გამჭრიახი“ ჭკუის პატრონი კაცია. მან თავის დროზე აუღო ალღო ცხოვრებას და გამოიყენა იგი სათლელ დუმათ. რევოლიუციის შემდეგ, სოლომონი თავს ანებებს რუსეთში ოფიციალურ ვაჭრობას, ჩამოდის საქართველოში და „ძმაბიჭების“ დახმარებით შედის რკინის გზაზე, სადაც მან ორ წელიწად ნახევარი იმსახურა. მაგრამ სოლომონი მარტო სამსახურით როდი კმაყოფილდება. ის კვლავ განაგრძობს თავის ძველ ხელობას; ხშირად დაბრძანდება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში (რას ჰკარგავს გზა მაინც უფასო აქვს) და მოაქვს კონტრაბანდი საქონელი გასასყიდათ. ასე გაატარა მოქ. სოლომონ კაციტაძემ თავისი ორ ნახევარი წლის სამსახური რკინის გზაზე.

უკანასკნელად, როდესაც სოლომონი დარწმუნდა, რომ შეუძლებელია სამსახურისა და ვაჭრობის ერთად შეთავსება, გადასწყვიტა გაენებებია თავი სამსახურისათვის და თავისუფლად დაეწყო კონტრაბანდით ვაჭრობა, მაგრამ სამსახურს, რომ თავი დაანებოს, რკინის გზაზე უფასოთ მოგზაურობის საშუალება მოესპობა. ეს კი საკმაოდ დიდ ზარალს მიაყენებს სოლომონის ძირითად სავაჭრო თანხას. ამას ანგარიშში გაუწია სოლომონმა და დაიწყო ზრუნვა იმისათვის, რომ რკინის გზის უფასო ბილეთი შერჩებოდა.

სამისოდ კაციტაძეს ბევრი ფიქრი არ დაჭირვებია; ამ რამოდენიმე ხნის წინად, სრულიად ჯანსაღმა სოლომონმა, შესძლო ავადმყოფობის მოწმობის აღება. რკინის გზის დამზღვევმა სალარომაც თავი არ შეიწუხა სოლომონის მიერ წარმოდგენილ საბუთის შესამოწმებლად და ყოფილ ვაჭარს დაუნიშნა პენსია. ამის შემდეგ, კაციტაძე უფრო ადვილად მოგზაურობს სხვადასხვა ქალაქებში და განაგრძობს სპეკულიანტობას კონტრაბანდ საქონლით.

გარდა ამისა სოლომონ კაციტაძე, სოფ. ოლეულში კულაკად ითვლება. მას ორ სართულიანი სახლი აქვს გამოჭიმული სოფელში და კარგადაც ცხოვრობს. რით ხელმძღვანელობდა რკინის გზის დამზღვევი სალარო, როდესაც ასეთ კაცს პენსიას უნიშნავდა?

კაპი.

კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია

პოლიგრაფიულ მრეწველობაში

პოლიგრაფიული მრეწველობის მუშათა პროფესიონალური კავშირი ჯერ კიდევ ნოემბრის პირველ რიცხვებიდან შეუდგა კოლექტიურ ხელშეკრულების პროექტის უფლებრივი ნაწილის დამუშავებას. კავშირმა სათანადო მითითებანი მისცა აგრეთვე ყველა სამაზრო განყოფილებას.

ცენტრალურმა გამგეობამ მოიწვია ადგილკომების მდივნები და მისცა მათ ახსნა-განმარტება, თუ როგორ უნდა ჩაეტარებიათ ადგილებზე კოლხელშეკრულების კამპანია და აგრეთვე ცალკე საწარმოებზე მიამაგრა ცენტრალური გამგეობის წევრები, რომელნიც უშუალო ხელმძღვანელობას უწევდნენ კამპანიის ჩატარებას.

კავშირმა მბეჭდავთა კლუბში ჩაატარა კითხვა-პასუხის საღამო, რომელზედაც მოხსენებებით გამოვიდნენ ტრესტის წარმომადგენლები ამხ. ხარაზიანი და ელბაქიანი,—მათ მუშებს ახსნა-განმარტება მისცეს ტრესტის მდგომარეობაზე და ახალ კოლხელშეკრულებაზე.

ცალკე წარმოებათა კედლის გაზეთებში მუშები ამუქებდნენ სხვადასხვა საკითხებს და იძლეოდნენ წინადადებას, რათა ახალი მუხლები დამატებოდა კოლექტიურ ხელშეკრულებას.

კოლხელშეკრულების პროექტი დამუშავებულ იქნა პოლიგრაფიული მრეწველობის ყველა საწარმოს მუშების საერთო კრებაზე. პროექტი წინასწარ დამუშავებული იყო წარმოების პროფაქტივის კრებაზე, შემდეგ კი მუშათა საერთო კრებაზე, სადაც მუშებს შეჰქონდათ თავისი ცვლილებანი ან დამატებანი ახალ კოლხელშეკრულებაში. უკვე დათავრდა კოლხელშეკრულების დამუშავება ადგილებზე, გარდა რამოდენიმე საგამომცემლო დაწესებულებისა, კავშირმა გაუკეთა ჯამი მუშების მიერ ყველა ახლად წამოყენებულ საკითხს, დაამუშავა მუშების მიერ დამატებული ცალკე და 19 დეკემბერს მოიწვია ფაბადგილკომების მდივნები პროექტის გადასათვალიერებლად. ამავე დღეს კავშირმა თავისი პროექტი კოლხელშეკრულებისა წარუდგინა ტრესტს.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულების პროექტში (უფლებრივ ნაწილში) გარდა ძველი მუხლებისა შეტანილია შემდეგი დამატებანი:

1) ძველ კოლხელშეკრულებაში იყო მუხლი, რომლის თანახმად მუშა-მოსამსახურე დათხოვნის დროს (შტატის შემცირება და სხ.) უნდა გაეფრთხილებია ადმინისტრაციას ორი კვირით ადრე და შემდეგ დათხოვნის დროს მიეცა მისთვის კიდევ ორი კვირის საშუალო ხელფასი; იმ შემთხვევაში თუ მუშა-მოსამსახურე არ იქნებოდა გაფრთხილებული, მაშინ მას უნდა მისცემოდა ერთი თვის ხელფასი. მეორე მუხლი ამავე კოლხელშეკრულებისა საშუალებას აძლევდა რაციონალიზაციით დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეს კანონმდებლობის თანახმად მიეღო: მუშას თვენახევრის და მოსამსახურეს—ერთი თვის ხელფასი, რაციონალიზაციის გამო დათხოვნილი მუშა-მოსამსახურე არ სარგებლობდა ჩვენი კოლხელშეკრულებებით მოპოებულ უფლებებით, არამედ ღებულობდა მხოლოდ იმას, რაც კანონით იყო გათვალისწინებული, ახალ ხელშეკრულებაში კი შეტანილია მუხლი, რომ თუ მუშა-მოსამსახურე რაციონალიზაციის დროს გაუფრთხილებლად იქნა დათხოვნილი, მას უნდა მიეცეს დამატებითი ორი კვირის ხელფასი, გარდა კუთვნილი გასასვლელი ხელფასისა, რომელიც მას ეკუთვნის კანონის თანახმად,

2) ჯანმრთელობისათვის მავნე ცეხებში მომუშავეთ (ასოთ-ამწყობებს, ლინოტიპისტებს, სტერეოტიპიორებს და სხვ.) უნდა მიეცეს სპეც-საკვები—რძე, რადგან აღნიშნულ ცეხებში მუშაობის პირობები მძიმეა. 3) ყველა მუშა-მოსამსახურეებს სპეც-ტანსაცმელი უნდა მიეცეს: ზაფხულში—საზაფხულო და ზამთარში საზამთრო. რადგან ის სპეცტანსაცმელი, რომელიც მუშას ეძლევა ზამთარში ზაფხულში უვარგისია.

ამას გარდა კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეტანილია მუხლი, რომლის თანახმად მუშას წელიწადში ეძლევა ორი ხელი სპეც-ხალათი და ტანსაცმელი, რომელიც ვადის გათავების შემდეგ რჩება მას საკუთრებად.

4) ჰიგიენური პირობების დაცვისად და ავადმყოფობის გავრცელებისათვის ხელის შეშლის მიზნით ყველა მუშა-მოსამსახურეს უნდა მიეცეს წყლის დასალევი ჭიქა („კრუჟკა“).

5) მუშა-მოსამსახურეებს შეშა, ან შეშის ფული ჯამაგირის ანგარიშში უნდა დაურიგდეს 1-ლ ივნისიდან არა უგვიანეს 20 ივლისისა, რათა მუშებს საშუალება მიეცეს შეშა შეიძინონ უფრო იაფ ფასებში და თავის დროზე.

6) იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომელნიც ცხოვრობენ ორი კილომეტრის მანძილზე საწარმოდან, უნდა მიეცეს საგზაო (ტრამვაის) ბილეთი, რადგან ყოველდღიური საგზაო ხარჯი ამცირებს მუშის რეალურ ხელფასს,

7) ასოთ-ჩამომსხმელ ქარხნის მუშებს, როგორც ჯანმრთელობისათვის მავნე საწარმოს მუშებს, წლიურად უნდა მიეცეს 1 ნახევ. თვის შვებულება.

8) მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრის სიკვდილის დროს მუშა-მოსამსახურე უნდა იქნეს განთავისუფლებული ორი დღით (საწარმოს ხარჯზე).

9) უფროს ხელოსნებს, რომელთაც დავალებული აქვთ მოწაფეების სწავლება, უნდა მიეცეს თავის ძირითად ხელფასზე დამატება 25 პროც. რაოდენობით, 15 პროცენტი ყოველ შემდეგ თვეში და 10 პროც. რაოდენობით წლის ბოლოს, როცა მოწაფე თავისუფლად ჩააბარებს გამოცდებს.

კოლხელშეკრულებას პროექტში შეტანილია კიდევ მთელი რიგი სხვა ცვლილება, რომელიც უკვე წარედგინა პოლიგრაფტრესტს.

ა. ფანცულაია.

ა.-კ. რკინისგზებზე

ა.-კავკასიის რკინის გზებზე 1929 წლის კოლექტიური ხელშეკრულების გადასინჯვის კამპანია უკვე დამთავრდა.

ა.-კ. რკ:-გზ: პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომამ განიხილა კოლხელშეკრულების გადასინჯვის კამპანიის შედეგები. რის შესახებ მოხსენება გააკეთა საგზაო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების წარმომადგენელმა.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა; იმ დროს როდესაც გზებზე ტარდებოდა კოლხელშეკრულების განხილვა, ზოგიერთ უბნებში მიმდინარეობდა რკინისგზელთა საუბნო ყრილობები. ამის გამო კოლხელშეკრულების გადასინჯვისათვის საკმაო დრო აღარ დარჩა. ასე, რომ შვიდი საუბნო კომიტეტიდან მხოლოდ ორმა მოახერხა კოლხელშეკრულების მასიურად განხილვა. დანარჩენმა საუბნო კომიტეტებმა კი მოახერხეს კამპანიის ჩატარება მხოლოდ მსხვილ საკვანძო პუნქტებში, ხაზებზე მდებარე სადგურებში კოლხელშეკრულება ყველგან არ განუხილავთ.

საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენების მიხედვით გამოტანილ დადგენილებაში სცნო, რომ კავშირის წევრთა მთელ მასას არ მიუღია მონაწილეობა ხელშეკრულების განხილვაში.

სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას წინადადება მიეცა ჯამი გაუკეთოს ხელშეკრულების განხილვის შედეგების შესახებ მიღებული მასალებს და გადაუგზავნოს იგი რკინისგზელთა ცეკას.

ადგილებიდან მიღებული მასალების მიხედვით პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო ძველი ხელშეკრულების მატერიალურ-უფლებრივი ნაწილის გაგრძელება კიდევ ერთი წლით.

387 სტიპენდია სტუდენტებს

უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო 387 სტიპენდიის დაარსება თითო 25 მან. რაოდენობით.

სტიპენდიების დანიშვნა დაევალა შემდეგ სამეურნეო ორგანიზაციებს: ცეკავშირს—20 სტიპენდია, „სოფლის კავშირს“—20 სტიპენდია, სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი“—10, საქართველოს სახ. ვაჭრობის საპაიო ამხ-ბა—20, სამთო ტრესტი—10, სახ. მამულების ტრესტი—20, აბრეშუმის ტრესტი—20, მარგანეცის ტრესტი—70, სახმრეწვაჭრობა—10, თბილისის აღმასკომი—50, სახ.-სამეურნეო ბანკი—10, კომუნალური ბანკი—20, თამბაქოს ტრესტი—30, კურორტთა სამმართველო—10, მუშკოოპი—25, კოოპერატიული ბანკის განყ. საქართველოში—10, ტყავის ტრესტი—10, საპონ-ზეთის ტრესტი—5, საფონდო ბირჟა—7, „მჟერავი“—10, სულ 9.675 მან. სტიპენდია.

მასთან საჭიროდ იქნა ცნობილი ეთხოვოს ა.-კ. სახკომსაბჭოს მიმართოს სახ. ბანკს, რკინის გზის გამგეობას, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტს, ა.-კ. სახ. დაზღვევის სამმართველოს, საზ-ბა „მატყლს“, „ტაბაკ-სირიეს“, „ზაკსოიუზს“, ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზ-ბას, ა.-კ. საზ.-სამ: ბანკს და სხვ. რათა მათ გაუწიონ დახმარება მოსწავლე სტუდენტობას სტიპენდიის დანიშვნით.

ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაევალა გამოარკვიოს, თუ რომელი სამაზრო სამეურნეო ორგანიზაცია რამდენ სტიპენდიის დაწესებას შესძლებს.

წინადადება მიეცა განათლების სახ. კომისარიატს და საქართველოს სახ. უნივერსიტეტს შეიმუშაონ დაწესებული სტიპენდიების უმაღლეს სასწავლებელთა ფაკულტეტებს და სპეციალურ ტეხნიკუმების შორის განაწილების პროექტი.

პატარა ფელეტონი

ჭრელი სტრიქონები

„წმინდა მამა“ და კონტრაბანდა არაყი ანუ საარჩევნო პლატფორმა“

ამერიკელმა მღვდელმა სმიტმა, რომელიც გუვერის კანდიდატურას ემხრობოდა, გამოიგონა ლოცვა: „ღმერთო გვაშორე სმიტი, რომი (რომის ეკლესია) და რომი (მაგარი სასმელი). ყოფილი კანდიდატი სმიტი არის კათოლიკე. მაშასადამე მისი არჩევის შემთხვევაში ამერიკაში რომის ეკლესია დიდ დასაყრდენს მოიპოებდა, სმიტი პრეზიდენტათ არჩევის შემთხვევაში ჰპირდებოდა ამრჩევლებს ე. წ. მშრალი კანონის (მაგარი სასმლებით ვაჭრობის აკრძალვა) გაუქმებას.

ამას წინად მღვდელ სმიტს პოლიციამ მაგარ სასმელების საწყობი აღმოუჩინა.

მღვდელ სმიტის ლოცვის მიზეზი გასაგები ხდება: სმიტის გამარჯვების შემთხვევაში მას დაეკარგებოდა მაგარი სასმელების „კონტრაბანდით“ ვაჭრობისაგან მიღებული შემოსავალი.

(გაზეთებიდან).

სმიტი სმიტს გადაეკიდა
ჰქონდა ფიცხელი ომიო,
ამბობდა: „ღმერთო გვაშორე
სმიტი, რომი და რომიო“.
მღვდელს გაუგონა „უფალმა“;
დამარცხდა სმიტი-წუწკერი,
ამაყად დაჯდა „თეთრ სახლში“
მისი მოქიშპე-გუვერი
და სმიტიც, ღმერთს რომ შეხვეწოდა
გვაშორე სმიტი, რომიო
ის სმიტიც დაჯდა... ციხეში

თუმცა მოიგო ომიო,
ანაფორიან მოღვაწეს,
სჯობს მოკლედ მოვხსნათ არაკი:
აღმოუჩინეს საწყობი
მას „კონტრაბანდა“ არაყის.

* * *

გიკვირთ თქვენ სმიტი გვარის კაცს
მტერათ რათ გადაეკიდა....
წინა კვირაში, არაყის
დიდი პარტია უყიდა.

ბოლშევიკური მანქანა

ფინლიანდიამ დაუკვეთა ლენინგრადის ქარხნებს თამბაქოს გილზების სატენი მანქანები; ფინლიანდიელი მექარხნეები სწერენ, რომ საბჭოთა მანქანების შედარებას ამ დარგში ამჟამად არსად არავითარი მოიპოება. „ჩვენ განზრახული გვაქვს, სწერენ ისინი: ყველა მანქანები საბჭოთა მანქანებით შევსცვალოთ თამბაქოს წარმოებებშიო“.

დაკვეთები მანქანებზე მოდის პოლონეთიდან, და დასავლეთის მთელ რიგ სხვა ქვეყნებიდანაც.

(გაზეთებიდან).

მტერი უბილოთ არ ცხრება
შინ და გარეთაც ქაქანებს;
ქვეყანას ლუპავს წითლები,
უფსკრულისაკენ გვაქანებს.

ჩვენ კი ვმუშაობთ, ვაშენებთ:
ჩქარა მტრებს მტრობას ვანანებთ:
დასავლეთი გვთხოვს, ხომ ხედავთ
ჩვენს, ბოლშევიკურ მანქანებს.

იგივე სურათები

„კაბუკის თეატრის ერთ-ერთ უკანასკნელ წარმოდგენაზე ტოკიოში, რეაქციონერებმა მოაწყვეს დემონსტრაცია და ბრალი დასდეს თეატრის ხელმძღვანელს, რომ საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგ ის თითქოს ცდილობს ბოლშევიკური სული გაამეფოს იაპონია-ში“.

(გაზეთებიდან).

როგორ მაგონებს ჩვენს წარსულს
ის, რაც შეემთხვა „კაბუკი“-ს,
ჩვენშიც ასევე არ ედგა
თეატრს ჟანდარმის „კაბლუკი“.
მე რა თქმა უნდა არ მჯერა
რაშიც ბრალს სდებენ „კაბუკის“.

კულისებიდან არ მოდის
რევოლუციის ქარბუქი,
მაგრამ იქ უნდა გაიგონ
თუ თავში ქარი არ უქრით,
რომ ვერ ჩაჰკლავენ ჯანყის სულს
თეატრის კარის დალუქვით.

ქრთამი

გამოირკვა, რომ იაპონიის პარლამენტის 30 დეპუტატი სისტემატიურ მექრთამეობას და სხვა ბოროტმოქმედ-ებს სჩადიოდენ.

აი, კვლავ ერთი ნომერი
მოსაგონარად თუ გნებავთ
სწორეთ იგივე სურათი,
სწორეთ იგივე შეგნება
დეპუტატი და მინისტრი
ერთგვარათ დაიდალება
უტიფრათ ქრთამის მიცემა
ქრთამის უტიფრათ აღება.

ხალხის ქონების გაფლანგვა
და ხალხის ზურგზე ქეიფი,
სახლში გარყვნილი ცხოვრება
ბანკში გამსილი სეიფი.
ო, როგორ, როგორ მაგონებს
მე ეს ჩვენს წარსულ ცხოვრებას,
აქაც ის გზაა სავალი
„მამუან სულის ცხონებას“.

ხოზიკა.

საქართველოს მეაბრეშუმეთა თათბირი

უკანასკნელი სხდომა

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. შ. ჩხეიძის საბოლოო სიტყვა აბრეშუმის კონტრაქტაციის შესახებ, რის შემდეგ თათბირმა განიხილა მიმდინარე წლის სამუშაო გეგმა.

გეგმის თანახმად მიმდინარე წელს საგრძნობლათ ფართოვდება აგრიკულტურული მუშაობა. წრევანდლამდე ტრესტს მაზრებში ჰყავდა 6 აგრონომი. წელს დამატებით მოწვეული იქნება კიდევ 6 აგრონომი და 4 დამხმარე ინსტრუქტორი; ინკუბაციის გაფართოების მიზნით გადადებულია 42.368 მან.; მიმდინარე წელს მოეწყობა ინკუბაციის კურსები 140 კაცისთვის რა მიზნითაც გადადებულია 10.487 მან., მეაბრეშუმეთა გადასამზადებელ კურსებზე მოწვეული იქნება 50 კაცი. ამ საქმისთვის გადადებულია 5.256 მან. სხვადასხვა პუნქტებში საჩვენებელი კვების მოსაწყობად გადადებულია 546 მან.; ბინების დეზინფექციის ჩასატარებლათ—7.000 მან.; საკონტროლო გამოკვების მიზნით—1000 მან., პრემიების გასაცემათ—5.000 მ.; 7 სანიმუშო ფაცხის მოსაწყობათ 7.000 მ. პოპულიარული ლიტერატურის გამოსაცემად—10.000 მ.; სამეცნიერო მივლინებისათვის—10.000 მან.; გარდა ამისა წელს მეაბრეშუმეებს დაურიგდება 25.000 თერმომეტრი, საფენ-საგები ქაღალდი და სხ. ამისათვის გადადებულია—349.396 მან.

წელს სულ დარიგებული იქნება 100.000 კოლოფი თესლი. პარკის მოსავალი განისაზღვრება 188.387 ფუთით, ხოლო დამზადებული უნდა იქნეს არა ნაკლებ—169.506 ფუთისა. აქედან ქართლში დამზადებული უნდა იქნეს არა ნაკლებ 2.813 ფუთისა, კახეთში—10.000 ფუთი, აფხაზეთში—8.663 ფ., ქუთაისის მაზრაში—52.650 ფუთი, ოზურგეთის მაზრაში—31.590 ფ., აჭარისტანში—1.680 ფუთი, ზუგდიდის მაზრაში—29.070 ფუთი, სენაკის მაზრაში—25.200 ფუთი, შორაპნის მაზრაში—5.400 ფუთი და რაჭა-ლეჩხუმში—2.194 ფუთი.

სამუშაო გეგმის განხილვის შემდეგ, თათბირმა განიხილა და დაამტკიცა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლუციები მოსმენილ მოხსენებების გამო, რის შემდეგ თათბირი დაიხურა.

გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმა

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა საქ. საგეგმო კომისიასთან ერთად შეიმუშავა გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების გეგმა.

გეგმის თანახმად, მარცვლეულ კულტურების სივრცე 1929 წელში გაფართოვებული იქნება 10 პროც. ბამბის კულტურების მოსავლიანობა განზრახულია გადიდებული იქნეს არა ნაკლებ 1,5—2 პროც.

საქონლის საკვებ ბალახების ნათესების სივრცე მიმდინარე საოპერაციო წელში გასულ საბიუჯეტო წელთან შედარებით გადიდებულია 20 პროც და 5.000 ჰექტარიდან აყვანილია 6.000 ჰექტარამდე.

საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრმა შეიმუშავა გეგმა კიდევ 75 ახალი კოლექტიური მეურნეობის მოწყობის შესახებ გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის; აქედან 50 საწარმოო გაერთიანება იქნება, ხოლო 25—სამანქანო ამხანაგობა.

ამჟამად არსებულ კოლექტიურ მეურნეობებთან და ამხანაგობებთან ერთად ეს შეადგენს სულ 657 გაერთიანებას. კოლმეურნეობათა ცენტრის გეგმა მოწონებული და დამტკიცებულია საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და საქ. საგეგმო კომისიის მიერ.

მგზავრის შთაბეჭდილებანი

IX

პარიზი არის ხელოვნების უდიდესი ქალაქი.

ძველი და ახალი ქანდაკება და მხატვრობა —აი რითი არის ის განსაკუთრებით მდიდარი.

აქ არის მუზეუმები: ლუქსემბურგისა, როდენისა და სხვ., ხოლო ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი ლუვრია.

ლუვრი წარმოადგენს უზარმაზარს, ხუთ სართულიანსა და ნალივით მოხრილ შენობას, რომელიც იმყოფება პარიზის საუკეთესო ნაწილში — ტიულერის ბაღის თავში.

ამ უზარმაზარ შენობაში მოთავსებულია ქანდაკებანი ძველი ასურეთ-ბაბილონიდან მოყოლებული ჩვენ დრომდე და იშვიათი მხატვრობა სხვადასხვა დროისა და მიმართულებისა.

ლუვრის შთაბეჭდილება მეტისმეტად დიდია, მაგრამ საგაზეთო წერილში მისი მოთავსება ყოვლად შეუძლებელია.

ლუვრი პარიზის სიამაყეა, კაცობრიობის გენიალობა და ხელოვნების მწვერვალი. ხელოვნება კლასიური მოვლენა არის, თუ არა?

ასეთი კითხვა ხშირად იწვევს გაურკვევლობას. იმ პირებს, რომლებსაც სრულიად ვერ შეუთვისებიათ მატერიალისტური მსოფლმხედველობა და იდეალიზმისაგან ვერ განთავისუფლებულან, ჰგონიათ, რომ არის ბევრი რამ ზეკლასიური, სხვათა შორის ხელოვნებაც.

აზრთა სრული არევ-დარევაა. სხვადასხვა კლასს ხელოვნების ასპარეზზე ბევრი რამე აქვთ საერთო, მაგრამ თვითონ ხელოვნება მთლიანად აღებული კლასიურია; ყოველ კლასს საკუთარი ხელოვნება აქვს, ისე, როგორც საკუთარი სურვილები, საკუთარი მისწრაფებანი, საკუთარი შეხედულება:

პარიზს აქვს საკუთარი თეატრი, საკუთარი კინო, საკუთარი სიტყვაკაზმული მწერლობა. პარიზში პროლეტარიატი დიდია და მასა აქვს საკუთარი ლიტერატურა, საკუთარი სიტყვაკაზმული მწერლობა.

მაგრამ რადგანაც ბატონობა და ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელშია, ამიტომ თეატრშიაც, კინოშიაც, მწერლობაშიც გაბატონებულია ბურჟუაზიული ხელოვნება.

საფრანგეთი განთქმულია კომედიით; ფრანგული კომედია სასაცილო ხასიათებითა. და რთული, გადახლართული, მოულოდნელი სასაცილო მდგომარეობით ყველასათვის ცნობილია.

საფრანგეთის კომედიამ ნიღაბი აჰხადა არისტოკრატიის ყოფა-ცხოვრებასა და ბურჟუაზიის ზნე-ჩვეულებას.

დღეს საფრანგეთის კომედია ჩამოქვეითდა მოხუცი ბურჟუაზიის გემოვნებამდე და მისი მიზანია არა ნიღაბის ახდა და მებრძოლი, გამანადგურებელი დაცინვა, საცინლად აგდება ყოველივე იმისი, რაც დრომოჭმულია და მავნებელი, არამედ ბურჟუაზიის გართობა, გაცინება, კარგ გუნებაზე დაყენება.

ამიტომ ყველა იმ კომედიებში, რომლებიც დღეს პარიზის სცენაზე იდგმებიან, გამეფებულია შაბლონი.

ცოლი და ქმარი, ცოლის საყვარელი და ქმრის საყვარელი — აი მთელი ჩონჩხი თითქმის ყოველი კომედიისა; მათი სასაცილო მდგომარეობა და შემდეგ მხიარული დაბოლოვება, — აი მთელი შინაარსი.

იგივე სურათია კინოშიც: ერთის მხრით რეკლამა, მეორეს მხრით ბურჟუაზიული მორალი და მეშჩანური შაბლონი.

სავაჭრო დაწესებულებანი აუარება ფულს ხარჯავენ კინო-რეკლამებში და ყოველი სეანსის მთელი ნახევარი რეკლამებს უნდება. თქვენ გიჩვენებენ ტანისამოსს, ფეხსაცმელს, სასმელებს, ავტომობილებს და იქვე ადრესი ფირმისა.

მაყურებელს რომ არ მოეწყინოს, ყოველი რეკლამა გადაბმულია რაიმე შემთხვევასთან.

მაგალითად, თქვენ წინ იშლება აფრიკის სურათი, მდინარე. ზანგი კრეჭითა და მანჭვა-გრეხით მოდის, გაჩერდება მდინარის ნაპირზე, წინდაწინვე სიამოვნებით იზმორება, ჩახტება და ბანაობს. ამ დროს სქელი და ხშირი ლერწამებიდან თავს გამოჰყოფს ნიანგი, მიეპარება ზანგს, წაავლებს თავში პირს და ჰყლაპავს. რომ უფრო გამხიარულდეს მაყურებელი, ნიანგის პირიდან ამოჩრილი ფეხები დიდხანს სავსაობენ ჰაერში, აი ნიანგმა გადაჰყლაპა თავისი მსხვერპლი, ფეხები დაიმალენ. ამ დროს ნიანგის პირიდან ამოვარდება ბუშტი და ზედ ჰკითხულობთ: ქალის საუკეთესო ფეხსაცმელები ნიანგის ტყავიდან იყიდება ამა და ამ ქუჩაზე, ამა და ამ მაღაზიაში და სხვადასხვა. ამის შემდეგ იწყება შაბლონური სურათი. ჩვეულებრივი შინაარსი ასეთი სურათებისა: სიყვარული, პაემანი, დაბრკოლებანი სიყვარულის გზაზე, შიში, გულის ფანცქალი, დიდი საზოგადოების გართობა, ცეკვა, სხვადასხვა დაბრკოლებათა გადალახვა და ბოლოს მშვიდობიანი დაბოლოვება, — შეყვარებულები ერთმანეთს იპოვიან და ან ავტომობილით მიჰქრიან, ან მატარებლით და გაუსხლტებიან ამრიგად მდევრებს. ყველაფერი ისე მიმდინარეობს და თავდება, როგორც ესიამოვნება ბებერ ბურჟუას: ლამაზი და მიმზიდველი ქალები, დაუსრულებელი კოცნა და ტუჩების ამოწუწვნა, ვნების გამაღიზიანებელი ცეკვა, სხვადასხვა ხიფათი, მხოლოდ უმსხვერპლოდ და ბოლო კეთილი.

ბურჟუა დატკბება, გაიცინებს და ნასიამოვნები დაბრუნდება სახლში.

კინო აქ ემსახურება აგრეთვე ბურჟუაზიული მორალის ქადაგებას.

ამ დღეებში აჩვენებდნენ აქ დიდ ამერიკულ სურათს „ბენ-ჰურს“. სურათში ნაჩვენებია რომის ბატონობა პალესტინაში, ქრისტეს დაბადება, ქადაგება და ჯვარცმა.

ბენ-ჰური მეტად მდიდარი ებრაელია. ის ხმალს იშიშვლებს, რომ ქრისტეს ამოუდგეს გვერდით და თავის ქვეყანა მოაწყოს ისე, როგორც მას უნდა; მაგრამ გოლგოთისაკენ მიმავალი ქრისტე არწმუნებს მას:

ნუ იუნჯებთ საუნჯეთა ქვეყანასა ზედა, არამედ იუნჯებდით საუნჯეთა ცათაშინაო. ბენ-ჰური გამოფხიზლდება, გონს მოვა, დარწმუნდება, რომ ამ ქვეყნად ყოველივე ამაოა, მარადიული ცხოვრება მხოლოდ საიქიოს არის, და ხმალს გადააგდებს.

ამას უქადაგებენ მშრომელ ხალხს ის ბურჟუები, რომლებიც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ მილიარდების გამრავლებაზე ოცნებობენ და ოქროს ბრჭყალებში ამერიკასა და ევროპას აღრჩობენ.

ტაკიმასხარები!

მუშებში აღარ არიან ისეთი გულუბრყვილონი, რომ ასეთ ანკესზე წამოეგონ.

თეატრების უმეტესი ნაწილი კერძო პირების ხელშია. კერძო პირი თეატრს უყურებს ვაჭრული თვალსაზრისით. ოღონდ შემოსავალი იყოს და ის ყველაფერს დადგამს. რადგანაც შემოსავალს ბურჟუაზია იძლევა, ამიტომ თეატრი სდგამს იმას, რაც ბურჟუაზიას ესიამოვნება; მისაღებია ყველაფერი, რაც კი ბებერი ბურჟუაზიის გემოვნებას დააკმაყოფილებს. ასეთს პირობებში ხელოვნება ფრთებს ვერ გაშლის და ვეღარც შლის ის პარიზში.

ზოგიერთი თეატრი სახელმწიფოა და აქ უფროა ისევ დარჩენილი საფრანგეთის კომედიის ტრადიციები. დიდი ოპერის შენახვაზე მთავრობა ხარჯავს ყოველ წლიურად ასი ათას მანეთზე ცოტა მეტს.

ეს გახლავთ ნახევარი და ნაკლებიც იმისი, რასაც ხარჯავს ოპერაზე პატარა საქართველოს მთავრობა ათჯერ უფრო პატარა თბილისში!

პარიზი არის ემიგრაციის დიდი ქალაქი. ყოფილი ადამიანები, ყოფილი მთავრობები, მინისტრობის, პრეზიდენტობისა და ტახტის მაძიებელნი, ყველა ხარისხის კონტრ-რევოლიუციონერი ყოფილი რუსეთის იმპერიიდან აქ არიან უმთავრესად თავმოყრილი.

თქვენ იქნება გიკვირთ, რადა მაინცა და მაინც კინოსთან ერთად გაგახსენდაო.

უბრალო შემთხვევა არ გახლავთ, არამედ შინაგანი მსგავსება, იდეათა ასსოციაცია.

ემიგრაცია იგივე კინოა.

არა გჯერათ?

აბა თქვენ თვითონ კარგად დაუკვირდით.

კინო — სწრაფი მოძრაობაა, მოულოდნელი ცვალებადობა.

ემიგრაციის წევრთა ახლობელი წარსულიც იგივეა — სწრაფი მოძრაობა, მოულოდნელი ცვალებადობა და სხვა.

უცებ, ერთ მშვენიერ დღეს ადამიანი გახდა მინისტრი, პრეზიდენტი, მთავრობის თავმჯდომარე, სარდალი. წყეულმა კომუნისტებმა „მოულოდნელად“ მოახდინეს რევოლიუცია, მოულოდნელად გამოცვალეს, გადაატრიალეს ყოველივე და მოულოდნელი მინისტრი, სარდალი, პრეზიდენტი, და სხვ. მოულოდნელადვე გადაიქცენ ჩვეულებრივ მომაკვდავებად, უბრალო მოხეტიალედ, ნოქრად, ავანტიურისტად და სხვა.

კინოში თამაშობენ?

ემიგრაციის წევრები კი არ თამაშობენ განა?

ერთი არარსებული ტახტის მემკვიდრეს თამაშობს, მეორე იმის მინისტრს, მესამე იმის ადიუტანტს, მეოთხე — პრეზიდენტს, მეხუთე —ელჩს და სხვ.

კინოში მოქმედება სწარმოებს ლონდონში და აგერ ხელად გადაფრინდება ნიუ-იორკში.

ემიგრაციაშიაც ასე არის: მოქმედება სწარმოებდა მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში, თბილისში, ერევანში; ახლა სწარმოებს პარიზში, ბერლინში, ლონდონში და სხვ.

აქაური ემიგრაცია ინტერნაციონალურია; რუსი, სომეხი, თათარი, ქართველი, უკრაინელი, ჩერქეზი— ვინ გინდათ, რომ აქ არ იყოს.

რათ უყვარს მაინცა და მაინც პარიზი ემიგრაციას?

იმიტომ, რომ პარიზი დიდი თეატრია, დიდი წარმოდგენა, დიდი სანახაობა.

ემიგრაცია თვითონ წარმოდგენაა, სანახაობა. მარტო კერენსკი რათა ღირს ან კირილე, რომელსაც რუსეთის გლეხობა სულ მოკლე ხანში უპირებს თურმე იმპერატორის ტახტზე დაბრძანებას!

პარიზი ზღაპარია, ლამაზი ზღაპარი.

ემიგრაციასაც ზღაპარი უყვარს, ტკბილი, მომხიბლავი ზღაპარი, რომ ერთ წამს მაინც დაივიწყოს მწარე სინამდვილე და სანატრელ მხარეში წარმოიდგინოს თავი.

აი ამიტომ უყვარს პარიზი ემიგრაციას, რომლის სინამდვილე მართლაც საშინელია, უნუგეშო.

რაიმე დიდი უბედურების დროს ადამიანი ბევრჯერ იმდენად გაოგნებულია, გაბრუებული, რომ თავის უბედურებას ვერა ჰხედავს, მთელი სიღრმე-სიგანით.

გარეშე მაყურებელი უფრო სისწორით ჰხედავს მას.

აი, ახლაც მე განზე ვარ აქ, შორიდან ვეცნობი, ვუკვირდები ემიგრაციის ცხოვრებას, მდგომარეობას და გულწრფელად ვაღიარებ: ამაზედ საშინელი არაფერია. ყველაზედ მრავალრიცხოვანია აქ რუსის ემიგრაცია. აქ არიან ყოფილი მინისტრები, დროებით მთავრობის წევრები, გენერლები, ვაჭრები, ინტელიგენცია, სასულიერო და საერო პირები, ყოფილი დიდი მთავრები, „კნიაზები“ და სხვადასხვა.

ემიგრაცია დაყოფილია სხვადასხვა პარტიებათ, ჯგუფებად. იკრიბებიან აქვთ ერთმანეთში დავა, დავიდარაბა, კამათი, კინკლაობა, ჩხუბი, აყალმაყალი.

ემიგრაციის მდგომარეობაში, უსაქმობაში, უმუშევრობაში, დაუსრულებელ მოლოდინში, ნერვიულობასა და გულისწუხილში ყოველივე ეს ბუნებრივია და აუცილებელი.

მცირე ნაწილი შედარებით კარგად არის მოწყობილი სამსახურში, სავაჭრო ან საკომისიო დაწესებულებაში და სხვ., ამიტომ არ უჭირს.

მეორე ნაწილს შეადგენენ ალფონსები და მდიდარი ბურჟუების საყვარლები. ეს ნაწილი სრულებით უზრუნველყოფილია, მუდამ გამოწყობილია, მოკაზმული, ქეიფობს, დროს ატარებს, ავტომობილით დასეირნობს.

მესამე ნაწილი ჩვეულებრივი რისკიპობით ირჩენს თავს.

მეოთხე ნაწილს შეადგენენ მუშა-მოსამსახურენი ფაბრიკებში, საყავეებში, რესტორანებსა და სასტუმროებში: ყოფილ გენერლებსა და თავადებს ჰნახავთ კარის კაცებად, შავ მუშებად, მაგრამ თავადობას მაინც არ ივიწყებენ და ასეთი მუშაობის დროს ერთმანეთს მიმართავენ:

— თქვენო ბრწყინვალებავ!
— თქვენო აღმატებულებავ!
— თავადო! და სხვ.

ამათი მდგომარეობა მძიმეა, რადგანაც მუშაობენ 12—16 საათს დღეში და იღებენ ძალიან ცოტას.

ეს ნაწილი ემიგრაციისა დიდ კონკურენციას უწევს ფრანგ მუშა-მოსამსახურეებს, რადგანაც უფრო დაბალ ფასებში დგება სამუშაოზე უსახსრობისა გამო.

მეხუთე ნაწილს შეადგენენ მრეცხავი და მკერავები. ინტელიგენტი ქალები ზოგი მრეცხაობს, ზოგი ტანისამოსს, საცვლებს ჰკერავს.

ეს ნაწილი მუშაობს 16—17 საათს და ძლივს გაჭირვებით ირჩენს თავს.

მეექვსე ნაწილს შეადგენენ მწერლები, პოეტები და თავისუფალი პროფესიის ხალხი. ესენი თავისი შრომით დღიურ ლუკმასა სჭამენ.

მეშვიდე ნაწილია სრულებით უმუშევარი, რომელიც ხან მშიერია, ხან ვისთანმე შევა და პურს შეჭამს.

მერვე ნაწილი მთლად მათხოვრად არის გადაქცეული.

არის თითო-ოროლა ვაჭარი, რომელსაც სავაჭრო გაუხსნია და ზედს არ ემდურის, ზოგი კიდეც გამდიდრებულა.

საერთო რიცხვი რუსის ემიგრაციისა პარიზში, როგორც ამბობენ, — 200,000 აღემატება.

მე ვერსად ვიპოვე ცნობები იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად სწორია ეს რიცხვი.

სწორი რომ უნდა იყოს, იქიდანაცა სჩანს, რომ ქუჩაში, ტრამვაიში, მეტროში (მიწის ქვეშე რკინისგზას უძახიან), მაღაზიაში, ბაზარში, კინოში—ყველგან გესმით რუსული ლაპარაკი.

არის ზოგჯერ ასეთი შემთხვევა: მიდიხართ ორი ქუჩაში, ერთმანეთს რუსულად ელაპარაკებით.

უცებ მოირბენს თქვენთან ქალი, ან კაცი; სახე გაბრწყინებული, თვალები ოდნავ სველი და ბრწყინვალე. გაგაჩერებსთ.

— მაპატიეთ! თქვენ რუსეთიდანა ხართ? რომელი კუთხიდან? როდის ჩამოხვედით? რა ამბავია იქ? როგორ გეპყრობიან? როგორა ცხოვრობთ?

გამოგკითხავსთ ყველაფერს და შემდეგ ამოოხვრით დაუმატებს:

— ეჰ, რა ბედნიერი ხართ!

როგორ მენატრება, როგორ მინდა ჩემი რუსეთი!

ერთი ამგვარი შემთხვევის დროს წარმოვიდგინე ჩემი თავი იმ ემიგრანტის ალაგას, რომელიც მე შემომნატროდა, და ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

— არა, არა! ემიგრანტობა საშინელება რამ არის, საშინელება!

გამოდის აქ ორი რუსული გაზეთი: მილიუკოვის „Последние новости“ და მონარქისტების „Возрождение“.

მილიუკოვის გაზეთი ოცნებობს, რუსეთი სულ მოკლე ხანში დაიჩოქებს კადეტების წინაშე და ეტყვის: მობრძანდი და დაგვეუფლეო. მონარქისტებს ეკამათება მეგობრულად, მეზობლურად და თან რევერანსებს უკეთებს: მთელ ფელეტონებსა სწერს რუსეთის უკანასკნელ დედოფალზე, რომელიც ახლახან გარდაიცვალა, და თან ქება დიდებით იხსენიებს.

მონარქისტების გაზეთი არწმუნებს რუსეთიდან გამოხვეწილ ყოფილ თავადებს, მემამულეებს, გენერლებსა და მიტროპოლიტებს, რუსეთში სულ მალე დასკუპდება მეფეო.

მონარქისტები ისეთის დარწმუნებით სწერენ ამას, თითქოს ეშინიათ, ვაი თუ ჩამადნების ჩალაგება ვერც კი მოვასწროთო.

პირადათ მე მგონია, რომ ასეთი აჩქარება არ არის მაინცა და მაინც საჭირო; მეფის ღირსება მოითხოვს, რომ მონარქისტებმა უფრო დინჯათ, აუჩქარებლად ჩაალაგონ ჩამადნები!

მონარქისტებს ამ წმინდა საქმეში იმედი აქვთ მუჟიკისა და ღვთისა. ამიტომ აცხობენ და აცხობენ ცნობებს გლეხების აჯანყების შესახებ რუსეთში და აღავლენენ მხურვალე ლოცვას ზეცისაკენ.

გაზეთი ყოველდღე აცხადებს, როდის და რომელ ეკლესიაში არის წირვა და ლოცვა, ან სად არის მწირველი მიტროპოლიტი.

მონარქისტების ღვთის ვედრებას კადეტებიც შეუფიქრიანებია: ვაი თუ ღმერთმა მართლა გაუმარჯოს მონარქისტებს და მოდი ჩვენც მოვიმადლიეროთ: თუ არ გვარგებს, რას გვაწყენსო.

ახლა მილიუკოვის გაზეთიც იცავს მართლმადიდებელ ეკლესიას და აცხობს განცხადებებს მიტროპოლიტის ლიტურღიების შესახებ.

მახლას! რაკი თვითონ ღმერთი ჩადგომია სათავეში კადეტებ-მონარქისტების საქმეს, ჩამოეცალეთ აწი!

ყველაფერი საუცხოვოდ მიმდინარეობს, პატარა ის აბრკოლებს საქმეს, რომ ბევრია რუსეთის ტახტზე დაბრძანების მსურველი.

კირილე, ჰო, ნამდვილია, ზედ გამოჭრილი როგორც თვითონ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ბრძანებს, რუსის გლეხები დღეს თუ ხვალ მას ტახტზე აიყვანენ!

მაგრამ აგერ ათი თუ თორმეტი სხვა ჰყვირის: არა, კირილე კი არა, მე უნდივარ რუსის გლეხებსო. ორივე გაზეთში ხშირად ამოიკითხავთ სევდას, სევდას და ისევ უსაზღვრო სევდას.

დაბრუნება რუსეთში ოცნებაა უმრავლესობისა, მაგრამ ზოგს შიში, ზოგს დარცხვენილობა, ზოგს მორიდება, შელახული თავმოყვარეობა და სხვა აჩერებს.

ემიგრაციის გენერლებს არ უნდათ, რომ ემიგრაცია დაიშალოს.

რატომ არ უნდათ?

ამისი გაგება ძნელი არ არის.

ემიგრაციის საშუალებით პირადათ ისინი კარგად არიან მოკალათებული და სხვადასხვა მთავრობიდან დახმარებას იღებენ.

ისინი ცდილობენ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს დიდ ძალას წარმოადგენდნენ და, თუ ემიგრაცია დაიშალა და გენერლები განმარტოებული დარჩნენ, ვინ რას მისცემს.

ამიტომ ემიგრაციის გაჩერება შიშით, ჭორით, მუქარით, ყოველგვარი საშუალებით მათი პირდაპირი მიზანია. თუ ვინმე მოკვდა საბჭოთა მიწა-წყალზე, ეს კომუნისტებმა დახვრიტეს; თუ ვინმემ ქეიფის დროს რევოლვერი გაისროლა საბჭოთა ტერიტორიაზე, ეს აჯანყებაა; თუ სახლს ცეცხლი გაუჩნდა, ეს აჯანყების ხანძარია და სხვა.

ერთი გამოაფრენს ჭორს, მეორე გაზრდის, გაბერავს, მესამე გაავრცელებს და ნიადაგი საუცხოვოა: ემიგრაციის განწყობილება და ნერვიულობა, ჭორს აქ დიდი გასავალი აქვს. ამ დღეებში პარიზის საუკეთესო ნაწილში ჩამოინგრა 6 სართულიანი სახლი და ოცი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ეს რომ სადმე საბჭოთა ტერიტორიაზე მომხდარიყო, ოჰო! რა ამბავი ატყდებოდა აქაური ემიგრაციის გაზეთებში: ხომ ხედავთ, ბატონებო, მთელი ქალაქები ინგრევა, ათასობით ხალხი ნანგრევებში იღუპებაო და სხვ. ამისთანები.

თუ თქვით, რომ საბჭოთა კავშირში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება, მზათ არის ჭორი: კომუნისტების აგენტია, ერიდეთ ბიჭებოო.

ჩვენს მკითხველს აინტერესებს ქართული ემიგრაცია.

რაცა ვსთქვი რუსული ემიგრაციის შესახებ, იგივე უნდა გავიმეორო ქართულის შესახებაც.

საერთო მდგომარეობა ეკონომიური, ფსიხოლოგიური ერთნაირია, ამიტომ განწყობილებაც ერთი და იგივეა.

ქართული ემიგრაცია ბევრგან არის გაბნეული, მაგრამ ის უფრო მრავალრიცხოვანია პარიზში. დღეს, ემიგრაციის არისტოკრატიაც კი გაჭირვებულია ნივთიერად, მაშ რაღა უნდა ითქვას ემიგრაციის ფართო ნაწილის შესახებ.

ზოგი მოსამსახურეობს მაღაზიებში, რესტორანებსა და კაფეებში, ზოგი მუ-

ჭიათურა

ახალი ქარხანა-მაღაროები

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის შავი ქვის ტრესტის მთავარი ინჟინერის ცნობით, მოკლე ხანში ამუშავებული იქნება შემდეგი ქარხნები: № 4 ა, № 11, № 14 და № 27, რემონტი ამ ქარხნებში დამთავრებულია, გადახალისებულია ქვის სარეცხი მანქანები.

ეს ოთხი ქარხანა ყოველდღიურათ (7 საათის განმავლობაში) მისცემს ტრესტს 500 ტონა გარეცხილ მადანს.

ამ რიგად ტრესტის დღიური პროგრამა (დღეში 2000 ტონა გარეცხილ შავი ქვა) შესრულებული იქნება, რადგან არსებული ქარხნები იძლევიან დღეში 1500 ტონა შავი ქვის მადანს.

ამ დღეებში დარკვეთში დაიწყო მუშაობა ქარხანამ № 33. მზად არის ასამუშავებლად ქარხანა № 35.

განზრახულია ქარხანა № 25 გადიდება - გაფართოვება იმ მიზნით, რომ ამ ქარხანამ მოასწროს პერევისის მაღაროებიდან ამოღებული შავი ქვის მადანის დროზე გადამუშავება.

ამასთანავე ტრესტმა, ქარხნების შეკეთებასთან ერთად, შესძლო იმ მაღაროების აღდგენა, რომლებმაც უნდა მიაწოდონ ახლად აღდგენილ ქარხნებს გასარეცხი შავი ქვის მადანი.

შეკეთებულია მაღაროები დარკვეთში, რგანში, წირქვალში, აღდგენილია ყოფ. თოფურია - ანჯაფარიძისეული მაღაროები.

ახალი ქარხანა - მაღაროების ამუშავებასთან დაკავშირებით, ტრესტის წინაშე დაისვა საკითხი: შესაძლებელი იქნება თუ არა შავი ქვის გადაზიდვა ქარხნებიდან სადგურამდე შეუფერხებლად?

უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსპორტი ჭიათურაში ძალიან სუსტია. ტრანსპორტის განვითარებას ხელს უშლის უგზოობა.

ის ურმები, რომლებიც მუშაობენ ჭიათურაში, ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. საჭიროა მათი რიცხვის გადიდება.

ჯერ-ჯერობით ტრესტი ვერ შესძლებს ავტომობილების გამოყენებას, რადგან საჭიროა, ერთის მხრივ გზების საფუძვლიანი შეკეთება, და მეორე, მხრივ, სპეციალური ავტომობილების დამზადება.

ამჟამად ტრესტი აწარმოებს მოლაპარაკებას მეფურგუნეებთან და მალე, ჭიათურაში დაიწყებს მუშაობას 100-150 ფურგონი. გადიდებულ იქნება აგრეთვე ურმების რიცხვიც.

გამოწვეულია გზატკეცილების სამმართველოს წარმომადგენელი, რომელიც გაეცნობა გზებს და შეიმუშავებს გეგმას გზების გასაფართოებლად.

შავი ქვის გადაზიდვის გაიაფების მიზნით ტრესტი აწყობს მავთულის გზებს ზოგიერთ ქარხანასთან. პირველ რიგში, განზრახულია, მავთულის გზის მოწყობა ქარხანა № 27-თან.

საჰაერო გზის მოწყობა რგანის ღელეში დაიწყება ახლო მომავალში. ინჟინერმა მიულერმა, რომელიც მოწვეული იყო ჭიათურაში ტრესტის მიერ დაათვალიერა რგანის ღელე და შეიმუშავა გზის პროექტი.

ი. ხუციშვილი.

ჭიათურა.
22 დეკემბერი.

ჭიათურის ქრონიკა

ურმების ნაკლებობა

ჭიათურაში შემჩნეულია ურმების ნაკლებობა შავი ქვის გადასაზიდათ ქარხნებიდან რკინის გზამდე, რაც აფერხებს შავი ქვის გაზიდვას ჭიათურიდან.

ყოველ დღიურათ საჭიროა 1000-მდე ურემი, ეხლა კი მუშაობს 400-მდე ურემი.

ახალი ქარხანა

ამ დღეებში რგანის ღელეში დაიწყებს მუშაობას ქარხანა № 9, რომელიც შეკეთებული იქნა შავი ქვის ტრესტის მიერ, ქარხნისათვის მანქანები უკვე მიღებულია.

კინო - სურათები მუშათა კლუბებისათვის

ჭიათურის მუშათა კლუბმა დასდო ხელშეკრულება სახ. სახკინმრეწვთან, რომლის ძალით სახკინმრეწვი ვალდებულია სისტემატიურად მიაწოდოს ჭიათურის მუშათა კლუბებს ახალი კინო-სურათები.

უცოდინართა აღრიცხვა

ქარხანა - მაღაროებში ამჟამად ხწარმოებს უცოდინარ და მცირე მცოდნე მუშების აღრიცხვა.

ახალი წრეები

ჭიათურის მუშათა კლუბთან დაარსდა შემდეგი წრეები: რადიო, სალიტერატურო, კოოპერაციის შემსწავლელი და პოლიტიკური წრე. წრეებში მუშაობა დაიწყება 17 დეკემბრიდან.

კულტმუშაობა ქარხანა - მაღაროებში

სამთამადნო კავშირის ჭიათურის რაიკომს განზრახული აქვს ჭიათურის წარმოების დაყოფა 4 რაიონად. თვითეულ რაიონში რომლებშიაც შევლენ, როგორც ქარხნები, ისე მაღაროები, იქნება ერთი ამხანაგი, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას მთელ კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობას.

მოწყობილი იქნება საჯარო ლექციების კითხვა მაღაროების კლუბებში. ლექტორებათ გამოყენებული იქნებიან ადგილობრივი ინტელიგენტური ძალები და სპეციალისტი ინჟინერ-ტეხნიკოსები.

პროფცოდნის გავრცელება

პროფესიონალურ ცოდნის გავრცელების მიზნით, ქარხანა - მაღაროებში ჩამოყალიბებულ იქნება 26 პროფ წრე.

ქრონიკა

ამხ. ფ. მახარაძის გამგზავრება მოსკოვში

დღეს საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე მიემგზავრება მოსკოვში. მისი მოვალეობის ასრულება დროებით დაეკისრა ამხ. ვ. სტურუას.

ამხ გ. ყურულაშვილის და ბ. ჭიჭინაძის დაბრუნება

დასავლეთ საქართველოდან დაბრუნდნენ ს.მ.უ.ს. თავმჯდომარე ამხ. გ. ყურულაშვილი და ინჟ. ბ. ჭიჭინაძე, რომლებმაც დაათვალიერეს აჭარისტანის ჰიდრო-ელსადგურისა და სხვა საამშენებლო სამუშაოები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობს.

სახელმწიფო პოლიტსამმართველოს პროკურორი

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს პროკურორად დაამტკიცა ამხ. ნიკოლოზ ენუქიძე.

მშენებელ მუშების მომზადება

საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კ. შრომის ორგანოებს გააძლიერონ მუშაობა კვალიფიციურ მშენებელ მუშების მოსამზადებლად. 1928—26 წლის განმავლობაში ა.-კ. მომზადებული უნდა იქნეს 1.200 მშენებელი მუშა.

სტატისტიკოსთა გადასამზადებელი კურსები

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირთან არსებული აღრიცხვის მუშაკთა ბიურო 1929 წლის 3 იანვარს თბილისში ხსნის სტატისტიკოსთა გადასამზადებელ კურსებს.

„შობის“ წინააღმდეგ

თბილისის საქონლის სადგურის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგმა, რომელსაც დაესწრო 400 კაცი, დაადგინა არ იუქმონ „შობა“ და 25 დეკემბერს და 7 იანვარს („შობა“ ძვ. სტილით) იმუშაონ ჩვეულებრივათ, ხოლო სამაგიეროთ დაისვენონ 31 დეკემბერს.

— საქ. სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა საერთო კრებამ დაადგინა 25 დეკემბერს აკადემიაში მეცადინეობა სწარმოებდეს ჩვეულებრივად, სამაგიეროთ დაისვენონ 31 დეკემბერს.

1 და 2 საფეხურის მასწავლებელთა ხელფასი

ა.-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პირველი და მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ხელფასის შესახებ დაადგინა: ა.-კ. სახკომსაბჭოს და სათანადო ორგანოების დადგენილების თანახმად 1 საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ხელფასი მიმდინარე საბიუჯეტო წელშივე აყვანილი უნდა იქნეს—48 მანეთამდე, მე-2 საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ხელფასი კი — 70 მანეთამდე.

დაზღვევის სააგენტო

„სოფლის კავშირის“ შენობაში შესდგა დაინტერესებულ კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც დაადგინა „სოფლის კავშირთან“ დაარსებული იქნეს გაერთიანებული დაზღვევის სააგენტო და ამ სააგენტოსთან დაზღვევის საბჭო, საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. გ. ნაფეტვარიძე.

თბ. აღმასკომში

◆ **ტუბერკულოზის კაბინეტი.** ქალაქის ცენტრ. პოლიკლინიკასთან გაიხსნა სატუბერკულოზო კაბინეტი.

◆ **ღამის სანატორიუმი.** 15 იანვრიდან ჯანმრთელობის განყოფილება ხსნის 20 საწოლიან ღამის სანატორიუმს ტუბერკულიოზით დაავადებულთათვის.

კრებები და მოხსენებები

◆ საქართველოს მთიელთა კულტურული საზოგადოება, კვირას, 23 დეკემბერს, 1-ლ საათზე მთ. საბ. სახ. საკრებულოში იწვევს ახალგაზრდობის კრებას, რომელზედაც წაკითხულ იქნება მოხსენება ხმარით-ძალადობის შესახებ.

სხვადასხვა

◆ **გლეხთა ცენტრ. სახლის საბჭოს პლენუმი.** 27 დეკემბერს შესდგება გლეხთა ცენტ. სახლის საბჭოს პლენუმი.

◆ **მუშკოოპი** თეთრეულზე ორდერების გაცემას დაიწყებს 27 დეკემბრიდან.

◆ **სამკურნალო იარაღები.** მაზრების სამკურნალო დაწესებულებებისათვის ჯანმრთ. კომისარიატმა შეიძინა 6.500 მ. სამკურნალო იარაღები.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

კომუნალურ წარმოებების 5 წლიანი გეგმა

გუშინ, დილის 10 საათზე, ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც კომუნალურ წარმოებების 5 წლიანი გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ბაბაშელმა, მომხსენებელი შეეხო კომუნალურ წარმოების შემდეგ დარგებს:

აბანოები

უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში გარდა არსებულ აბანოების გაფართოება-გამშვენიერებისა, ქალაქის გარე უბნებში აგებული იქნება ახალი აბანოები, ნაძალადევში უკვე შენდება აბანო, მეორე აბანოს აგება დაიწყება ახლო ხანში საბურთალოზე.

აბანოების ექსპლოატაციისა და მათი სარგებლობის შესახებ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. დოლიძემ, ვ. ბოლქვაძემ, სიხარულიძემ, ქაცარავამ, გლეხმა ფარნიევმა და სხ.

კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად შეეხენ არადამაკმაყოფილებელ სანიტარულ პირობებს აბანოებში, ტარიფის სიდიდეს და სხ.

ამხ. ვ. ბოლქვაძეს საჭიროდ მიაჩნია ამჟამად არსებული აბანოების ტარიფი დაყვანილი იქნეს ომის წინა ხანებში არსებულ დონემდე. ეხლა საერთო საბანაო ოთახში შესვლა ღირს 30 კაპ., ომის წინა ხანებში კი ღირდა 15 კაპეიკი და თუ გვინდა, რომ აბანოებს ჰქონდეს მასიური მოხმარების ხასიათი, საჭიროა უპირველეს ყოვლისა მათში სანიტარული პირობების ზედმიწევნით დაცვა და ტარიფის შემცირება. ამხ. ბოლქვაძე აგრეთვე წინადადებას იძლევა, რომ თუ საერთოდ წარმოების ინტერესებისათვის შეუძლებელი იქნება ტარიფის შემცირება, მაშინ მუშა-მოსამსახურეების ოჯახის წევრებისათვის შემოღებული იქნეს შეღავათიანი ტარიფი განსაზღვრულ საათებში, მაგალითად დილის 9 ს. ნაშუადღევის 3—4 საათამდე. როცა აბანოები თითქმის სანახევროდ ცარიელია.

ამხ. მესხს საჭიროდ მიაჩნია მიღებული იქნეს სათანადო ზომები აბანოების შუა მდებარე ღელეში სისუფთავის დასაცავად, სადაც ყრიან ნაგავს და ქურთის ქალები რეცხავენ სარეცხს.

სხდომამ დაადგინა დამტკიცებული იქნეს აბანოების მეურნეობის 5 წლიანი გეგმა. ხოლო ტარიფის შემცირებისა და შეღავათიან ტარიფის შემოღების საკითხი დამუშავებული იქნეს ცალკე.

ქალაქის სასაკლაო

შემდეგ პრეზიდიუმმა დაამტკიცა ქალაქის სასაკლაოს მუშაობის 5 წლიანი გეგმა. ამ გეგმის მიხედვით სასაკლაოს კაპიტალურ შეკეთებაზე 5 წლის განმავლობაში დაიხარჯება 210 000 მანეთი.

თუ გასულ წელს სასაკლაოს ჰქონდა დეფიციტი. მომავალ წლიდან მას დარჩება მოგებაც შრომის ნაყოფიერების გადიდების გამო, გარდა ამისა განზრახულია სასაკლაოსთან არსებულ საცივრის ამუშავება, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს სასაკლაოს მუშაობის ნაყოფიერებას და ქალაქის ხორცით უზრუნველყოფას.

ტრამვაი

მომხსენებლის ცნობით, ამჟამად თბილისში მუშაობს 105 ვაგონი აქედან ნახევარზე მეტი მოტორიანია. 5 წლიანი გეგმით ყოველწლიურად შეძენილი იქნება 30 ახალი მოტორიანი ვაგონი. ახალი ხაზები გაყვანილი იქნება პოლიტეხნიკურ ინსტიტუტამდე, კლარა ცეტკინის ქუჩაზე და ჟორესის ქუჩაზე, სულ უახლოეს 5 წლის განმავლობაში თბილისში ტრამვაის ახალი ხაზები გაყვანილი იქნება 10 კილომეტრის მანძილზე. ავლაბარსა და დიდუბეში აგებული იქნება ტრამვაის ქვესადგურები. აგრეთვე გეგმა ითვალისწინებს მუშაობის ნაყოფიერების ზრდას იმ ვარაუდით, რომ ტრამვაიმ საკუთარი საშუალებით შესძლოს წარმოების გაძღოლა და ქალაქის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

კამათი ტრამვაის შესახებ და სხვა დარგის წარმოებების გეგმების განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„დაისი“—ოპერა ზ. ფალიაშვილის.

ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ მიმდინარე სეზონში პირველად დაიდგა 21 დეკემბერს. თვით ოპერაზე არ შევჩერდებოდი, რადგან მას ისედაც კარგად იცნობს თეატრში მოსიარულე საზოგადოება. ი. ფალიაშვილი ოპერას დიდი ხელოვნებით დირიჟორობდა. „დაისი“-ს ლამაზი უვერტიურა, ინტროდუქცია მესამე მოქმედების წინ (რომელშიაც დამუშავებულია თემა „თავო ჩემო“) და მეორე მოქმედების ფინალური ანსამბლი ჩატარებულ იქნა დახვეწილი ნიუანსებით, ხოლო ანსამბლი—გატაცებით მშვენიერად მღეროდა გუნდიც.

მამაკაცების მთავარ როლებს—მალხაზის და კიაზოს პარტიას შესანიშნავად ასრულებენ ქუმსიაშვილი და ინაშვილი. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ქუმსიაშვილი, რომელიც როლის დრამ. მხარეს ხშირად ჩრდილში სტოვებს, მალხაზის როლში ამ მხარეს დიდ ყურადღებას აქცევს და მგრძნობიარე სიმღერის გარდა ცდილობს—და საკმაოდ ნაყოფიერად—გამოხატოს მალხაზის განცდები აგრეთვე თამაშშიაც, [illegible] მძლავრად მღეროდა ინაშვილი, რომელმაც შექმნა კიაზოს მკაფიო სახე. მსახიობმა მშვენიერად შეასრულა თავისი არიები და რეჩიტატივები. სამწუხაროდ, ასეთივე ქებით არ შეგვიძლია მოვიხსენიოთ ქალის ცენტრალური როლის (მარო) შემსრულებელი მოზოვეცკაია. ის მუსიკალური მსახიობია, კეთილსინდისიერად ეკიდება საქმეს, აქვს ერთგვარი გამოცდილება, დეტალურად ამუშავებს მისთვის დაკისრებულ როლების სცენიურ მხარეს (მან შექმნა მაროს სცენიურად მიმზიდველი სახე), მაგრამ მაროს პარტია ვოკალური მხრით მის ძალღონეს აღემატება. საკმაოდ კარგად ჟღეროდა მოზოვეცკაია ანსამბლებში, მაგრამ მეორე მოქმედების დიდი და ძნელი არიის და მაროს ტრიოლის (მესამე მოქმედებაში) შესრულებას არ შეეძლო დაეკმაყოფილებია მაყურებელი.

მეორე ხარისხოვანი შემსრულებელნი: ნეიმანი (ნანო), ქურხული (ცანგალა) და სვანიძე (ტიტო) სავსებით აკმაყოფილებდნენ თავის დანიშნულებას.

ეფექტიურად ჩატარდა ბალეტის (დადგმული სერგეევის მიერ). კარგად იცეკვა ლეკური სულხანიშვილმა (ცეკვა გაამეორებინეს).

დ.

ახალი მომღერლების ჩამოსვლა

სახელმწიფო ოპერაში დაიწყო რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის **ა. მ. ბრაგინის** გამოსვლები.

დღეიდან იწყება აგრეთვე **ფ. მუხტაროვას** განმეორებითი გასტროლები.

იანვრის პირველ რიცხვებში დაიწყება ცნობილი ბანის **გრ. სტ. პიროგოვის** გასტროლები. მისი მონაწილეობით დადგმული იქნება „ბორის გოდუნოვი“, „ფაუსტი“ და „სევილიელი დალაქი“.

20 იანვარს ჩამოვა მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერი კოზლოვსკი (ლირიული ტენორი), რომელიც იმღერებს „რიგოლეტო“-ში, „ევგენი ონეგინ“-ში და „რომეო და ჟულიეტა“-ში. 1-ლი თებერვლიდან დაიწყება მიგაის და სტეპანოვას გასტროლები.

თბილისის სახელმწიფო ოპერის დირექციამ მიიღო წერილი მომღერალ **დ. გოლოვინისაგან**, რომელიც იტყობინება, რომ თებერვლის განმავლობაში იგი დაამთავრებს გასტროლებს საფრანგეთში და გამოემგზავრება პირდაპირ თბილისში. ამჟამად დ. გოლოვინი მღერის მონტე-კარლოში. მისი გამოსვლები თბილისში დაიწყება მარტში.

მარტში გათვალისწინებულია აგრეთვე მოწვეული იქნეს საზღვარგარეთიდან ლატვიის ნაციონალური ოპერის პრემიერი ქალი ბრეხმან-შტენგელი, რომელიც რამოდენიმე საგასტროლო წარმოდგენას გამართავს მოსკოვის დიდ თეატრში და შემდეგ ჩამოვა თბილისში.

მზადდება დასადგმელად პუჩინის „პრინცესა ტურანდოტი“, რომლის პირველი წარმოდგენა დანიშნულია 12 იანვრისათვის. პირველ წარმოდგენაზე ბილეთები გავრცელებული იქნება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მიერ ლატარიის წესით.

მეორე პრემიერად წავა ბალეტი „წითელი ყაყაჩო“, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს სპეციალურად მოწვეული მოსკოვის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა აბრამოვა.

ამას გარდა, თებერვალში დადგმული იქნება **კ. მეღვინეთ-უხუცესის** ახალი ქართული ოპერა „ამირანი“. ოპერას სდგამს რეჟ. კ. **მარჯანიშვილი.**

მუშათა თეატრი

„ცეცხლის ხიდი“.—ბ. რომაშოვის.—დადგმა რეჟ. ვ. ტატიშჩევის.—მხატ. ვ. ივანოვი

თბილისის მუშათა თეატრმა უარჰყო შარჟის გროტესკის და პლაკატის, როგორც სტილის გამოყენება რევოლიუციონურ პიესებში და მთლიანად რეალისტურ მეთოდზე დაიყრდნო. ეს დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს პიესის საერთო გაფორმებისათვის. მართალია, ამ გზაზე ზოგიერთ დადგმებში ერთგვარ გაუბედაობას ჰქონდა ადგილი. მაგრამ ეს უმთავრესად პიესების უვარგისობით აიხსნება. რომ ეს ასეა, ამას „ცეცხლის ხიდი“-ს დადგმა გვიჩვენებს. რამდენად მტკიცედ დაუცავს რეჟ. ტატიშჩევს რეალისტური ხაზი. იმდენად ძლიერად მოქმედობს მაყურებელზე.

პიესაში არ არის ერთი მთლიანი სიუჟეტი, ის უფრო „რევიუს“ ტიპისაა. მოქმედება ვითარდება სამი პლანით და შეიცავს ათი წლის ამბებს, 1917—1927-მდე.

მაყურებელი სამი კუთხიდან ხედავს ამ ათი წლის მანძილზე მომქმედ სოციალურ ტიპებს. მის თვალწინ ცოცხალ ეპიზოდებად ვითარდება მეშჩანინის „შკურნიკობა“. წითლების თავდადებული ბრძოლა და არა ნაკლები თავდადებით კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგობა. სამივე ხაზის საწყისი ერთ ოჯახშია ჩასახული. მშობლები მეშჩანები. ვაჟი იდეური კონტრ-რევოლიუციონერი ოფიცერი. ქალიშვილი-კი მტკიცე ბოლშევიკი. მაყურებლის თვალწინ მეტად მკაფიო და დამაჯერებელ ფერებში მიმდინარეობს სამივე ხაზი.

ოჯახის მეთაურია მოსკოვის შეძლებული ვაჭარი დობროვინი (ლავრეცკი). მსახიობმა არაჩვეულებრივი ოსტატობით განასახიერა ჯერ როგორც ვაჭარი და მერე მეშჩანინი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ყოველგვარ წვრილმანთან. მისი ტვინი ხედავს მხოლოდ ყოველდღიურ წვრილმან ფაქტებს. ის უძლურია შეიგნოს იდეალის გაჩენა პიროვნების და „ერის“ იქით.

ტრაგიულია ფიგურა მისი ვაჟის გენადისა (ხასანდამიროვი), თეთრი იდეისათვის იბრძვის სამშობლოში. წითლებისადმი ზიზღი არც ემიგრაციაში ასვენებს და ბოლშევიკურ ქვეყანას ეცლინება ინჟინერის სახით და მავნებლის სურვილებით. ყოფილი ოფიცერი ახალ ფრონტს უმართავს ბოლშევიკურ აღმშენებლობას. მაგრამ ამ ფრონტზედაც იმავე ფოლადისებური სიმტკიცით დახვდებიან, როგორც სამოქალაქო ომების ფრონტზე. ისევ შეეჯახება ურყევ და უცვლელ პოლიტ-კომისარს შტანგეს (კოლომენსკი), წითელი გვარდიის ყოფილ მეთაურს. ეხლა კი წითელი ქარხნის დირექტორს ხომუტოვს (თორდინსკი), ბოლშევიკებთან კეთილსინდისიერად მებრძოლ ირინას (ოგონ-დოგანოვსკაია) და ყოფილ წითელ გვარდიელს კუზმას ([illegible])—ეხლა ამ ქარხნის ტეხნიკოსს.

მართალია, ხსენებულ [illegible] ზოგიერთების თამაშში ადგილი ჰქონდა ერთგვარ სქემატიზმს, მაგრამ საერთოდ მათ დამაჯერებლად განასახიერეს სოციალისტურ ფრონტზე მომუშავეთა მტკიცე ნებისყოფის ტიპები. დანარჩენ მსახიობთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ: ხემიონოვი, ლიპნიცკი, მარცევიჩი, არკადინი და სმირნოვა.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ ის სასიამოვნო მოვლენა, რომელიც მუშათა თეატრს სისტემად შემოუღია ანკეტების დარიგების სახით. ჩვენის აზრით, ამ მაგალითს უნდა მიბაძონ თბილისის სხვა თეატრებმაც. ნაკლოვანებათა გამოსწორებაში მაყურებლის აზრს ექნება დიდი მნიშვნელობა.

ბ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ლიტერატურული საუბარი.** კვირას, 23 დეკემბერს, ამხ. ქიქოძის სახელობის შინამრეწველობის ქალთა საინსტრუქტორო სკოლაში პროლეტ. მკითხველთა წრე მართავს ლიტ. საუბარს: 1) მოხსენება ამხ. ვ. [illegible]—თემაზე: „პროლეტარული ლიტერატურა და ახალი ყოფის პრობლემები“;

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** კვირას, 23 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე შესდგება კომკავშირელ მწერალთა წრის მორიგი კრება.

◆ **მოზარდ მაყურებელთა თეატრში** აბონემენტის გარეშე დღეს წარმოდგენილი იქნება „რობინ გუდ“.

„სააღდგომო“ ზარების გუგუნი სახელმწიფო ოპერის სცენიდან

„საშობაო“ დღესასწაულებთან დაკავშირებით ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს ანტი-რელიგიური კამპანია. მუშებს, მოსამსახურეებს, მოწაფეებს გამოაქვთ დადგენილებები, რომ საეკლესიო დღესასწაულება გამოცხ. დღეს სამუშაო დღედ და სხვ. ამ კამპანიაში ჩაბმულია ფართე საბჭოთა საზოგადოებრიობა. ეკლესიას, გარდა სამარის პირას მდგომ შეუგნებელ ბებრუხანებისა, რევოლიუციის მეთორმეტე წელს თითქოს არ უნდა ჰყავდეს მოკავშირე. მაგრამ ნუ იტყვით—მას ასეთი მოკავშირე გამოუჩნდა და ისიც ვისი სახით? ჩვენი **სახელმწიფო** კულტურული დაწესებულების — სახელმწიფო აკადემიური ოპერის სახით.

რომ აქ ჩვენს მტკიცებაში არ არის გადაჭარბება, ამაში დარწმუნდებოდა ყველა, ვინც 21 დეკემბერს დაესწრო „დაისის“ დადგმას. ის წირვა-ლოცვა და ზარების „სააღდგომო“ გუგუნი, რომელიც მეოთხე აქტში გაისმოდა სახელმწიფო აკადემიური ოპერის სცენიდან, „ძველი სიონის“ ბევრ მღვდელ-ბლაღოჩინს და მათ სამწყსოს“ წარმომადგენლებს შეშურდებოდა. ის მჟავე პატრიოტული ფრაზები კი, რომლითაც „დაისის“ ავტორი ალაპარაკებს თავისი ოპერის გმირებს, რომელ კედია ამირეჯიბებს არ აუტოკებდა გულს.

გასაკვირია ორი რამ:

„ბუნებრივად“ შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მჟავე პატრიოტიკა და რელიგიური განწყობილებები გვხვდება რევოლიუციამდე დაწერილ ოპერებში. მაგრამ, ნუ თუ კომპოზიტორმა რევოლიუციის შემდეგ ვერაფერი ახალი ვერ დაინახა, რომ თავის შემოქმედებაში ზარების რეკვასა და წირვა-ლოცვას ვერ დააღწია თავი? ნუთუ მისთვის შეუმჩნევლად გაიარა რევოლიუციის მთელმა ქარტეხილმა და უხილავია ის დიდი აღმშენებლობითი მუშაობა, რომელიც გარშემო მიმდინარეობს (ამ უკანასკნელ ფაქტს ხაზს ვუსვამთ შემდეგი გარემოების გამო—„დაისის“ უკანასკნელი ორი მოქმედება ავტორს გადაუმუშავებია, მაგრამ გადაუმუშავებია იმგვარად, რომ წირვა-ლოცვის და მჟავე პატრიოტული სასიმღერო „რეჩების“ სცენა „გაღრმავებული“ და გაფართოებულია)?

მეორე, თუ კომპოზიტორს არ სურს დაინახოს თუ ვის წისქვილზე ასხამს წყალს ზარების „სააღდგომო“ გუგუნით, განა ჩვენი, სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაცია ვალდებულია „ძველი სიონი“ სცენაზე გადმოიტანოს?

ვისთვის ან რისთვის არის ეს საჭირო?

მაყურებელი.

შრომის დაცვა წარმოებებში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება შრომის დაცვის შესახებ საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს წარმოებებში.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1927—28 წელში შრომის დაცვის ღონისძიებების გასატარებლად ს.მ.უ. საბჭოს წარმოებებში გადადებული იყო 210.000 მანეთი.

ცალკე ტრესტებში შრომის დაცვაზე დახარჯულია: სატყეო მრეწველობის ტრესტში გადადებული იყო 65.350 მანეთი, ფაქტიურად დახარჯულია 3.645 მანეთი; საფეიქრო მრეწველობაში და საპნის წარმოებაში გადადებული იყო 35.000 მან., ფაქტიურად დახარჯულია 22.000 მ. ლითონის ტრესტში გადადებული იყო 18.725 მანეთი; საფეიქრო 7.620 მანეთი; ზედმეტი თანხის დახარჯვას ადგილი აქვს მხოლოდ პოლიგრაფიულ მრეწველობის ტრესტში, სადაც გადადებული იყო 7.922 მანეთი, ხოლო დაიხარჯა 8.379 მანეთი

თამბაქოს ტრესტში გადადებული იყო 72.000 მანეთი, დაიხარჯა 32.000 მანეთი; ტყავის ტრესტში გადადებული იყო 11.728 მანეთი, ფაქტიურად დაიხარჯა 4.880 მანეთი.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მიღებული იქნეს ზომები, რომ იანვრამდე დაიხარჯოს დარჩენილი თანხები; თუ ეს თანხები დაუხარჯავი დარჩა, მაშინ იგი უნდა მიემატოს იმ თანხებს, რომლებიც გადადებული იქნება შრომის დაცვის ღონისძიებებისათვის 1928—29 წელში.

შათ არის, ზოგი ხელსაქმობს, ჰკერავს და სხვა.

ყველა ამათი სამუშაო დღე უდრის 12-16 საათს. ასეთს შრომაში იღებენ იმდენს, რომ პურსა სჭამენ.

ზოგი ხან საქმეზეა, ხან უსაქმოდ არის და ნახევარჯერ მშიერია.

ზოგი ხელოსანია, ზოგსაც შოფერობა შეუსწავლია.

შოფერობა ამოდენა ქალაქში ასეთი ზღაპრული მოძრაობით უცხო ადამიანისათვის ადვილი არ არის. უნდა იცოდეთ ენა, მთელი პარიზი და მისი მდებარეობა ხელის გულივით უნდა გქონდეთ შესწავლილი, შესაფერი გამოცდა უნდა ჩააბაროთ.

ემიგრანტი შოფერები მუშაობენ 12-18 საათი, მაგრამ სხვებთან შედარებით უზრუნველყოფილი არიან.

არის ერთი კატეგორია მოცეკვავეთა. სანამ ლეკური აქაურ კაფე-რესტორანებში ახალი ხილი იყო, რიგიანი მოლეკურე აქ ფულს შოულობდა: იცეკვებდა რესტორანში, დამსწრენი ფულს აჩუქებდენ.

ლეკურის მოდა აქ უკვე წავიდა უფრო იმიტომაც, რომ ვინც იცოდა და არ იცოდა, სულ ყველა აჭუნძულდა. ევროპიული ცეკვით კი ემიგრანტი აქ კუჭს ვერ გაიძღებს, რადგანაც აქ ყოველი ფრანგი ცეკვავს.

ემიგრაციაში დიდი უთანხმოება სუფევს, აზრთა არევ-დარევა, კინკლაობა, კამათი, ჯგუფებად დაყოფა და სხვა.

გაზეთები „ბრძოლა“ „თეთრი გიორგი“ უფერულია, უშინაარსო. პოლიტიკის ნაცვლად ჭორი და ნაცარქექიაობაა.

დიდ უმრავლესობას მობეზრებული აქვს ასეთი ცხოვრება, ასეთი მდგომარეობა, დაუსრულებელი და უნიადაგო მოლოდინი. ამიტომ სახლში დაბრუნება სწყურია.

ემიგრაციის ბელადები ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, რომ ემიგრაცია არ დაიშალოს და დარჩეს.

მოსაზრება იგივეა, რაც რუსულ ემიგრაციაში: ბელადები ემიგრაციის საშუალებით სხვადასხვა დახმარებას ღებულობენ; ემიგრაცია რომ დაიშალოს და მარტო ბელადები-ღა დარჩნენ, ეს დახმარება უთუოდ მოისპობა, ან მეტის მეტად შემცირდება.

ამიტომ ყოველი ჯგუფი ცდილობს თავისი რიცხვის გაზრდას ჭორითა და აგიტაციით.

ჭორის მიზანია, შექმნას აქ ისეთი განწყობილება, თითქოს დღის თუ ხვალ საბჭოთა წყობილება გაქრება და წინ—საპატიო დაბრუნება სამშობლოში.

აგიტაცია სწარმოებს აქაურ ახალგაზრდობაში: ყოველი ჯგუფი ცდილობს მასში ფეხის მომაგრებას. ეს ახალგაზრდობა აქ მცირერიცხოვანია, მაგრამ სულ არაირაობას ცალი უღელი ხარი ჯობია.

სასწავლებლად ჩამოსული ჩვენი ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა შიგ პარიზში არასფერს არ აკეთებს. მისი აქ დატოვება იმის დაღუპვას უდრის.

გერმანიაში, ბერლინში არის ისეთი ატმოსფერა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მეცადინეობს, იძენს ცოდნას.

შესაძლებელია, საფრანგეთის სხვა ქალაქებშიაც რასმე აკეთებს ჩვენი ახალგაზრდობა, მხოლოდ პარიზში ის არა სწავლობს და ვერც ისწავლის, რადგანაც უსაქმო ხალხი ბევრია და არ მისცემს საშუალებას მეცადინეობისას.

ჩვენში მოსახერხებელია, რომ ახალგაზრდობამ კიდეც იმსახუროს, კიდეც ისწავლოს, რადგანაც სამსახურის შემდეგ მას კიდევ რჩება მეცადინეობისათვის საკმაო თავისუფალი დრო. პარიზში ახალგაზრდას სამსახური აძლევს მეტად ცოტას და სამაგიეროდ ართმევს იმდენ დროს, რომ მეცადინეობა მას სრულებით აღარ შეუძლია.

ზოგიერთის აზრით: როგორმე საზღვარზე გადიპარე, პარიზში ამოჰყავი თავი და მერე რაღა გიჭირს. მეტის მეტად შემცდარი აზრია, რასაც არა ერთი და ორი დაუღუპავს და მომავალშიაც დაღუპავს, თუ ასეთი ყალბი წარმოდგენა არ გაიფანტა.

არის აქ სომხეთის ემიგრაცია, აზერბეიჯანის. მათი მდგომარეობა ისევე უნუგეშოა, როგორც „ჩვენი“ ემიგრაციის.

როგორი დამოკიდებულება არსებობს საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის?

საფრანგეთის ბურჟუაზია იმდენად მოტეხილია, რომ მას რევოლიუციის აჩრდილისაც-კი ეშინია. აიღეთ ასეთი საოცარი ფაქტი: პარიზში არც ერთი ქუჩა რობესპიერისა და მარატის სახელს არ ატარებს, არც ერთ მოედანზე მათი ძეგლი არ არის.

რა თქმა უნდა, იმ ბურჟუაზიას, რომელსაც რობესპიერისა და მარატის ეშინია, კომუნისტები თავზარსა სცემენ. საფრანგეთის მთავრობა ყოველგვარ ზომას ხმარობს, რომ კომუნიზმმა შიგ საფრანგეთში ფეხი არ მოიკიდოს.

მიუხედავად ასეთი მეცადინეობისა, კომუნიზმის იდეა სისტემატიურად ვრცელდება და პარიზში მას დიდი ნიადაგი აქვს.

მაგრამ საფრანგეთის საქმიანი ხალხი მომხრე არის საბჭოთა მთავრობასთან მეგობრული ურთიერთობისა და საერთო ენის გამონახვისა.

რაც შეეხება დანარჩენ ხალხს — წვრილ მოხელეებს, ხელოსნებს, მუშებს, მათი სიმპატიები აშკარად არის საბჭოთა კავშირისაკენ.

თუ ასეა, რათ ინახავს საფრანგეთის მთავრობა თავის ტერიტორიაზე ამდენ ემიგრაციას? აი ასეთი კითხვა ებადება ზოგიერთ მკითხველს.

ეს გახლავთ ძველი ტრადიცია. ემიგრაცია ყველგან არის, მაგრამ თუ ის განსაკუთრებით ეტანება საფრანგეთს, ამას აქვს ბევრი მიზეზი და სხვათა შორის ისიც, რომ დიდი რევოლიუციის შემდეგ საფრანგეთს თვლიან თავისუფლების ქვეყანად, რომელიც პოლიტიკურებს თავშესაფარს აძლევს და არ გასცემს. ამას გარდა ემიგრაცია იძლევა იაფ მუშა-ხელს, რაც საფრ. ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია. არსებობს თუ არა აქ საქართველოს საკითხი.

არავითარი საქართველოს ან საერთოდ ამიერ-კავკასიის საკითხი არ არსებობს არა თუ საფრანგეთში, მთელს ევროპაშიაც.

ყოველმა ქართველმა, რა რწმენისაც უნდა იყოს ის, უნდა შეიგნოს შემდეგი:

ევროპაში არ არსებობს არც ერთი მთავრობა, რომელსაც კერძოდ საქართველო აინტერესებდეს.

ევროპაში არ არსებობს არც ერთი მთავრობა, რომელიც საქართველოსათვის თავს გამოიდებს. ევროპაში არ არსებობს არც ერთი მთავრობა, რომელიც საქართველოს გულისათვის საბჭოთა მთავრობას შეედავება.

ევროპაში არ არსებობს არც ერთი მთავრობა, რომელიც საქართველოს ან საერთოდ ამიერ-კავკასიის ცალკე გამოყოფას მხარს უჭერდეს.

რაც ადრე გაიწმინდება ყოველი ქართველი ყოველგვარი ყალბი და უნიადაგო ილიუზიებიდან ამ მხრივ, მით უმჯობესია ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის.

ორიენტაცია საბჭოთა ფედერაციაზე გარკვეული და მტკიცე, დაყრდნობა საბჭოთა პლატფორმაზე შეურყევლად და მტკიცედ,—აი რა არის სავალდებულო ყოველი ქართველისათვის, რომელსაც კი თავისი ერის ბედი და მომავალი აინტერესებს.

საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი არც თანაუგრძნობს, არც იზიარებს ქართული ემიგრაციის პოზიციას საბჭოთა კავშირისადმი.

— ეს პოზიცია უნდა შეიცვალოს! აი რას ამბობენ ისინიც კი, ვისაც ემიგრაციის მეგობრებად მოაქვს თავი.

ივ. გომართელი.

პარიზი.

კომუნისტი
დიდი პოლიტიკური გაზეთი
საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის
და თბილისის კომიტეტის და სრ. საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის
გაზეთის წლიურ ხელისმომწერთ 1929 წელს დაურიგდება

კ. მარქსის „კაპიტალი“ ქართულ ენაზე
ტომი I-ლი, ათას გვერდამდე ყდაში, სახელგამის გამოცემა
თარგმნილი გერმანულიდან ქართულად—დ. ი. ონიაშვილის მიერ.
ქართული თარგმანის პასუხისმგებელი რედაქტორი—სახ. უნივერსიტეტის რექტორი მ. ტოროშელიძე.
გაზეთი წლიურად „კაპიტალი“-ს დამატებით ეღირება:
შეღავათიან ხელისმომწერთათვის 15 მ. 50 კ.
დაწესებულებების ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის 19 მან.
დაწესებულებანი და კერძო პირები 19 მანეთს იხდიან ერთდროულად, ხელისმოწერისთანავე.—
შეღავათიან ხელისმომწერლებს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილ შემოიტანონ ხვედრი (15 მ. 50 კაპ.) ფული შემდეგ ვადებში: ორი მანეთი ხელისმოწერისთანავე (წლიური ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ 5 იანვრამდე), დანარჩენი კი თვიურად მანეთნახევარი, 9 თვის განმავლობაში იანვრიდან დაწყებული.
ხელისმოწერა მიიღება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში, რკინიგზის კიოსკებში, „კომუნისტი“-ს გამომცემლობის კონტრაგენტებთან და გამომცემლობის მთავარ კანტორაში რუსთაველის პრ. № 34.

ჟურნალი „დროშა“
„კომუნისტი“-ს გამომცემლობა იწყებს 1929 წლიდან დასურათებული ორკვირეული ჟურნალის გამოცემას
I-ლი №-რი გამოვა იანვრის შუა რიცხვებში
მიიღება ხელისმოწერა 3 თვით და ნახევარი წლით. 3 თვით ჟურნალი ეღირება 85 კ. ნახევარი წლით 1 მ. 70 კ. ცალკე №-ი 15 კაპ.
გამომცემლობა იტოვებს უფლებას შესცვალოს „დროშა“-ზე ხელისმოწერის პირობები, როდესაც ჟურნალი ყოველ კვირაულად გამოვა

„კომუნისტზე“ ხელისმოწერის პირობები
დამატების გარეშე გაზეთი ეღირება

მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მ. — კ.	7 თვით	6 მ. 70 კ.
2 „	2 მ. — კ.	8 „	7 მ. 65 კ.
3 „	2 მ. 90 კ.	9 „	8 მ. 60 კ.
4 „	3 მ. 85 კ.	10 „	9 მ. 55 კ.
5 „	4 მ. 80 კ.	11 „	10 მ. 50 კ.
6 „	5 მ. 75 კ.	ერთი წლით	11 მ. 50 კ.

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1 მ. 30 კ.	7 თვით	8 მ. 80 კ.
2 „	2 მ. 60 კ.	8 „	10 მ. — კ.
3 „	3 მ. 80 კ.	9 „	11 მ. 30 კ.
4 „	5 მ. — კ.	10 „	12 მ. 60 კ.
5 „	6 მ. 25 კ.	11 „	13 მ. 0 კ.
6 „	7 მ. 55 კ.	ერთი წლით	15 მ. — კ.

ხელისმოწერა მიიღება
ქუთაისში — „კომუნისტი“-ს განყოფილება.
[illegible] — კონტრაგენტ [illegible]თან
ახალსენაკში — კონტრაგენტ [illegible]
[illegible] — კონტრაგენტ [illegible]თან
ჭიათურაში — კონტრაგენტ ჯალაღანიასთან
ყვირილაში — კონტრაგენტ ისმაილიძესთან
[illegible] — კონტრაგენტ [illegible]ძესთან
[illegible] — კონტრაგენტ [illegible]ძესთან
ბორჯომში — კონტრაგენტ კობახიძესთან
ფოთში — კონტრაგენტ ლორიასთან
ხონში — კონტრაგენტ გენძეხაძესთან
თელავში — კონტრაგენტ რევაზოვთან
ცხინვალში — კონტრაგენტ [illegible]ალოვთან
გორში — კონტრაგენტ მაისურაძესთან
გურჯაანში — წიგნის მაღაზიაში
სიღნაღში — კონტრაგენტ მდივანოვთან
აბაშაში — კონტრაგენტ მიქაძესთან
ლანჩხუთში — კონტრაგენტ ღლონტთან
ბათომში — ფ/ტ. კანტორაში
ხაშურში — კონტრაგენტ ლორთქიფანიძესთან
ბაღდადში — კონტრაგენტ აბულაძესთან
ონში — კონტრაგენტ ზეროშვილთან
ჭრებალოში — კონტრაგენტ ცხვედიანთან

გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარი კანტორა თბილისი—რუსთაველის, პრ. № 34.

სასამართლო

მიხ. ფალავას გასამართლება

(საჩვენებელი პროცესი)

დანარჩენ მოწმეების დაკითხვა კიდევ ზედმეტად ადასტურებს იმას, რომ ნაძირალი ფალავა ტრამვაის დირექციის საქმეებს კი არ მართავდა (როგორც „საქმეთა მმართველი“), არამედ მართავდა ვაჭრებს, მართავდა კამპანიას და უხვად ასაჩუქრებდა „ბანოვანთ“ ტრამვაის სალაროს ხარჯზე.

იმდენად აწეწილ-დაწეწილი ყოფილა საქმის წარმოება ტრამვაის დირექციაში, რომ შეუძლებელი ხდება იმ თანხის გამორკვევა, რომელიც ფალავას გაფლანგული აქვს.

მართალია, საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით ფალავას მიერ გაფლანგული თანხა 2.500 მანეთამდე აღწევს, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია იმ თანხის, რომელიც ნამდვილად გაფლანგულია და რომლის აღმოჩენა შეუძლებელია ტრამვაის დირექციის სამმართველოში იმ ხანებში გამეფებულ ქაოსის გამო.

მოწმეთა დაკითხვის შემდეგ სიტყვა ეძლევა პროკურორ ძაძამიძეს, რომელიც ახასიათებს ბრალდებულს, როგორც საბჭოთა დაწესებულებაში შემძვრალ მავნე ელემენტს და მოითხოვს მის დასჯას წარდგენილ ბრალდების თანახმად.

საღამოს 10 საათზე სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად.

ტრამვაი-ს მუშა-მოსამსახურეთა კლუბის შენობაში ზღვა ხალხი უცდის განაჩენს.

სასამართლოს განაჩენი გამოაქვს ღამის 11 საათზე.

მიხ. ფალავას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით სასტიკი იზოლიაციით და გაფლანგულ თანხის ანაზღაურება თბილისის ტრამვაისათვის.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—რ. კალანდაძე. სახალხო მსაჯულები: ზეიკიძე და ხაშვიაშვილი. პროკურორი ძაძამიძე.

ებრაელთა კოოპერატივის თანამშრომლების გასამართლება

სამი დღის განმავლობაში სასამართლომ მოასწრო შვიდივე ბრალდებულის და ათამდე მოწმის დაკითხვა.

ბრალდებული აჯიაშვილი (მაღაზიის გამგე), რომელსაც 4.000 მანეთზე მეტი აქვს გაფლანგული, თავს დამნაშავედ არ სცნობს ფულების გაფლანგვაში და ლაპარაკობს, რომ მას ვიღაცამ მოჰპარა (!) 2.800 მანეთამდე ხოლო დანარჩენი თანხის შესახებ მან არაფერი იცის.

ბრალდებული დავით ბააზოვი თავს სრულებით არაფერში არ სცნობს დამნაშავედ, პირიქით, ლაპარაკობს, რომ იგი დიდი მადლობის ღირსია, რადგან ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს მაღაზიის მუშაობას (!).

დანარჩენი ბრალდებულებიც არ სცნობენ თავს დამნაშავედ.

მოწმეების დაკითხვიდან ირკვევა, რომ მაღაზიის გამგე აჯიაშვილი სრულებით ანგარიშს არ უწევდა სექციების გამგეებს, ართმევდა მათ დღიურ ნავაჭრს, თვითონ აბარებდა ცენტრალურ სალაროში წარსადგენ ანგარიშებს, არღვევდა ამ შემთხვევაში სავალდებულო წესებს, თავის გავლენის ქვეშ ჰყავდა დაყენებული დანარჩენი თანამშრომლები, რომლებსაც სიტყვის შებრუნების უფლებას არ აძლევდა.

კიდევ დასაკითხავია 30-დე მოწმე. პროცესი დიდხანს გასტანს.

—:—

ყაჩაღების გასამართლება

თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. კუპრაშვილის თავმჯდომარეობით გაასამართლა ყაჩაღები: პეტრე სტეფანეს ძე ცაბოლოვი, თაგორ ვასილის ძე ჩიჩიევი და ანტონ რაჟდენის ძე ფუხაშვილი.

აღნიშნულმა პირებმა ერთმანეთთან შეთანხმებით შეადგინეს თავდასხმების მოწყობის გეგმა.

გასული წლის 5 ოქტომბერს საქართველოს სამხედრო გზაზე გველეთის ხიდის ახლოს ისინი თავს დაესხნენ კავკავში მიმავალ გლეხებს შაქრო და ბაგრატ ჯავახიშვილებს და ალექსანდრე ბიბილაურს.

თავდამსხმელებმა გლეხებს გახადეს ტანისამოსი, შეკრეს თოკებით და დააგდეს ხევში. წაართვეს 400 მანეთამდე ფული, ორი ცხენი, სხვადასხვა ნივთები და მიიმალნენ.

ხელისუფლების მიერ მიღებული ზომებით ყაჩაღები მალე შეპყრობილ იქნენ.

თვითეულ ბოროტმოქმედს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათ-ათი წლით.

—:—

მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე

ა. წ. აგვისტოში თბილისში მცხოვრებ მოქ. ამზრო შამოევს ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე განშორდა ცოლი ქუვარა ისაევის ასული, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ ცოლად გაჰყვა მოქ. ჯანდო ხაფაროვს.

ამზრო შამოევმა დიდხანს უგზავნა მოციქულები თავის ცოლს, რომელსაც სთხოვდა მასთან დაბრუნებას, მაგრამ ქალი ყოველთვის ცივ უარს უთვლიდა.

შამოევმა გადასწყვიტა შური იძია საფაროვზე, რომელმაც მისი ცოლი გადაიბირა. შამოევმა მიიმხრო ქალის ძმა ვაზირ ისაევი, რომელიც უკმაყოფილო იყო მისი დის საქციელით.

ერთ დღეს ამზრო შამოევი და ვაზირ ისაევი გზაში ხვდებიან ჯანდო საფაროვს, რომელსაც თავს დაესხმიან დანებით და ჰკლავენ მხეცურად.

შამოევი და ისაევი დაპატიმრებული არიან.

საქმეს ამ დღეებში გაარჩევს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო.

ვერ.

რკინის გზებზე

ტექნიკოსების ახალი კადრი

იანვარში ამხ. შ. ელიავას სახელობის რკინის გზის ტექნიკუმის საექსპლოატაციო განყოფილება უშვებს 27 ახალ ტექნიკოსს.

აქედან ჩვიდმეტ კაცს სამუშაოდ გაგზავნიან რკინის გზის წარმოებებში.

მოწმობების ვადის გაგრძელება

1928 წლისათვის რკინისგზელებისათვის მიცემული პირადობის მოწმობების ვადა, გზის გამგეობის ცნობით, გაგრძელებულია კიდევ 1 წლით.

260.000 მან. შრომის დაცვისათვის

ა.-კ. რკ. გზებზე მიმდინარე წელში შრომის დაცვის ღონისძიებათა გასატარებლად გზათა სახ. კომისარიატმა გასცა 260.000 მანეთი.

ამ თანხიდან 220.000 მანეთი უკვე განაწილებულია, ხოლო დანარჩენი თანხა განაწილებული იქნება მარტში.

ახალი ორთქლმავლები

ჩრდილოეთ - კავკასიის რკინისგზამ ა.-კ. რკ. გზას გადასცა ათი მძლავრი ორთქლმავალი.

ფიზკულტურა და სპორტი

ამიერ-კავკ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობა

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ამიერ-კავკ. ცაკთან არსებულ ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობა.

პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხ. რუბენი (თავმჯდომარე), ახუნდ-ზადე (თავმჯდომარის მოადგილე), გ. ქავთარაძე, იაკუბოვი, ერგარდი, ალაფუზო, ელიავა, ხოჯამირიანი, ბარკაია, ივანჩენკო, კულიევი, თონოვი, გავრიში, ტესტელეცი, ტაგიევი და ტაგიევა.

პლენუმში გარდა აღნიშნული ამხანაგებისა, არჩეული არიან ამხ. ალანაკიანი, ალიმამედოვი, არუთინოვი, ბაბაჯანიანი, გარდაშიანი, დანიელიანი, ეგიკოვი, ესაიანი, ზარემბო, ქართველიშვილი, კვინიხიძე, კიკნაძე, კოტაევი, რუსაძე და საენკო.

სასპორტო თამაშობანი „დინამო“-ს სტადიონზე

გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს 11 წლის თავის შესრულების გამო დღეს, 23 დეკემბერს, „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართება სპორტთამაშობანი: კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი და აგრეთვე თავისუფალი ვარჯიშობა და შეჯიბრება სროლაში.

შეჯიბრება ფეხბურთში გაიმართება ნაშუადღევის 2 საათზე. თამაშობენ „დინამო-პირველი“ და სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ჯარების ნაკრები გუნდი.

ფოთის „დინამო“-ს დამარცხება ბათომში

ამ დღეებში ბათომს ეწვია ფოთის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“, რომელმაც იქ ჩაატარა ორი შეჯიბრება.

პირველი მატჩი გაიმართა ბათომის მილიციონერებთან შაბათს, 15 დეკემბერს. შეჯიბრება დამთავრდა 2:2.

მეორე დღეს ფოთის წინააღმდეგ გამოვიდა ბათომის „დინამო“. თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა ბათომის უმნიშვნელო უპირატესობით—1:0.

მეორე ტაიმში ბათომელებმა ისე შეავიწროვეს სტუმრები, რომ ეს უკანასკნელები, როგორც ბათომის გაზეთი „ფუხარა“ იტყობინება, ვეღარც კი ახერხებდნენ ბურთის მიტანას ბათომის კარებამდე.

შეჯიბრება დამთავრდა 8:1 ბათომის სასარგებლოდ. ამ შეჯიბრებაში „ფუხარა“-ს სიტყვით, ბათომის მხრიდან განსაკუთრებით კარგათ თამაშობდნენ გასპარიანი, პოლოსოვი, ანიკინი და რ. ფალავანდიშვილი (ეს უკანასკნელი ამ ერთი თვის წინად გადავიდა თბილისის მილიციის გუნდიდან ბათომის „დინამო“-ში).

შემთხვევები

მკვლელობა

— გუშინწინ ღამით რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა (ერისთავის და სტრელკოვის ქუჩის კუთხეში) გამვლელებმა აღმოაჩინეს მოკლული კაცის გვამი. მკვლელობის შესახებ ცნობის მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები, მორიგე გამომძიებელი შ. ზედგინიძე და სასამართლოს ექიმი.

გვამი პირაღმა იყო ჩაფლული დიდ ტალახში. მოკლულის ტანსაცმელზე ბლომად იყო სისხლის წვეთები.

მოკლულს აქვს რამდენიმე ჭრილობა ხანჯლით—თავზე, სახეზე და მუცელში.

თუ როგორ და რა პირობებში მოხდა მკვლელობა, ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, მხოლოდ წინასწარი გამოძიება ცხადჰყოფს, რომ მკვლელობა მომხდარა 19—20 დეკემბერს, ღამით.

ექიმ-ექსპერტების დასკვნით, მოკლული 20—22 წლისაა.

მიღებულია ზომები მოკლულის ვინაობის გამოსარკვევად და ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად.

თვითმკვლელობის განზრახვა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიღებული ცნობების თანახმად, ვასო ივანეს ძე სოლაშვილმა (სოფ. ჩორდ-ძეში მცხოვრებმა) თვითმკვლელობის მიზნით სამართებელი დანით გამოიჭრა ყელი. სოლაშვილი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

. . . . . .

ა. წ. ნოემბერში უგზო-უკვლოდ დაიკარგა ვარსენიკა ალექსის ასული გოგიაშვილი (მცხ. პრიუტის თემში). მანგლისის მილიციამ ეჭვით დააპატიმრა გოგიაშვილის ქმარი—ვანო ბეჟაური.

მილიციაში ბეჟაური გამოტყდა დანაშაულში და განაცხადა, რომ მან ცოლი გაიტყულა მტკვრის პირას, ხანჯლით მოჰკვეთა თავი და გვამი გადააგდო მტკვარში.

ქურდების ბანდის ლიკვიდაცია

ა. წ. მარტში ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახლოს გამოქვაბულში იპოვეს მოკლულის გვამი. მკვლელებს ბოროტმოქმედების დაფარვის მიზნით გვამი დიდ ტალახში ჩაეფლათ. 16 მაისს იქვე იპოვნეს დანით მოკლული მეორე კაცის გვამი.

გვამი გადაგზავნეს თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში. თითების ანაბეჭდების საშუალებით მოკლულის ვინაობა გამოირკვა. იგი აღმოჩნდა ქურდი-რეციდივისტი ვაგან არაქელიანცი.

სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ ორთავე მკვლელობა ჩაუდენიათ მცირეწლოვან ქურდებს. როგორც გამოირკვა, თბილისში არსებობდა მცირე-წლოვან ქურდ-რეციდივისტთა ორგანიზაცია, რომლის წევრები რამდენიმეჯერ იყო მიცემული პასუხისგებაში ქურდობისათვის.

გამოირკვა, აგრეთვე, რომ ბანდის წევრები ხშირად თამაშობდნენ ბანქოს. არაქელიანცი ყოველთვის იგებდა ფულს. შურისძიების მიზნით ქურდებმა მოჰკლეს არაქელიანცი.

ამ დღეებში სისხლის სამართლის მილიციამ ლიკვიდაცია უყო ქურდების ამ ბანდას და დააპატიმრა მისი ხელმძღვანელი სამსონ სიმონის ძე სარქისიანცი (მეტსახელად „ჯიმბო“. 12 წლისა).

დაპატიმრებულია აგრეთვე ავეტიკ მიკირტიჩის ძე ანტონიანცი (მეტ სახელად „ავო“) რომელმაც დაფარა სარქისიანცის და სხვ. მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება.

ქურდობა

გაქურდეს ანა ლინკოვას ბინა (უნივერსიტეტის ჩიხი).—წაიღეს 972 მანეთის საოჯახო ნივთები;—გარდა ამისა, 21 დეკემბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის ოთხი შემთხვევა.

სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბი

გუშინწინ ამხ. ვ. ავაქოვის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის საქმიანი კლუბის მომწყობ საორგანიზაციო ბიუროს სხდომა, რომელზედაც გადაწყდა თბილისის საქმიან კლუბს, რომელიც უნდა გახსნილიყო ამ დღეებში, შეეცვალოს სახელი და მის მაგიერ დაარსდეს სახალხო მეურნეობის დარგში მომუშავეთა კლუბი.

აღნიშნული კლუბი გაიხსნება რუსთაველის თეატრის სარკიან დარბაზში, რომლის რემონტიც ამჟამად მიმდინარეობს. კლუბის შენობის შეკეთება დამთავრდება 27 დეკემბრისათვის, ხოლო კლუბის ოფიციალური გახსნა შესდგება 5 იანვარს.

ჯერ-ჯერობით კლუბის წევრებათ ჩაწერილია 56 ინჟინერი, 63 პასუხისმგებელი პროფ-მუშაკი და 200-ზე მეტი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე სპეციალისტი. საწევრო გადასახადის სახით შეგროვილია—12.000 მანეთი.

რადიო-გადაცემა

კვირა, 23 დეკემბერი

დღეს, 23 დეკემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

დილით: პიონერთა რადიო-გაზეთი—ქართულ და რუსულ ენებზე; გლეხთა რადიო-გაზეთი; ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ტრანსლიაცია.

საღამოს: კომკავშირის რადიო-გაზეთი; საუბარი ციკლიდან—„გლეხის დასახმარებლად“: მაგარი ხორბლის და ციხკვადაკრულის მავთულის დამზადება ვენახისათვის; ტექნიკური კონსულტაცია; ოპერა „კარმენ“-ის მუსიკალური განმარტება; „კარმენ“-ის ტრანსლიაცია; ამინდის ბიულეტენი და 24 დეკემბრის პროგრამის გადაცემა.

ორშაბათი, 24 დეკემბერი

წითელარმიელთა რადიო-გაზეთი; მუშათა რადიო-გაზეთი; ჯანსახკომის საუბარი—„გრიპი“; ამხ. ბოლოტნიკოვის მოხსენება: „შობის დღესასწაული ქრისტიანულ და სხვა რელიგიებში“; საერთაშორისო მიმოხილვა; დიდი კონცერტი მრავალფეროვანი პროგრამით; კონცერტის პირველ და მეორე განყოფილების შორის ოპერა „სევილიელი დალაქი“-ს მეორე აქტის ტრანსლიაცია; ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ამინდის ბიულეტენი; 25 დეკემბრის პროგრამის გადაცემა.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ, 24 დეკემბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: არქიპო მეტონიძე, ვოსკან დარჩიევი, ლუკა ჩაგუნაშვილი, შალვა პატარიძე, ალექსანდრა კაპიტონოვა, გიორგი საინიკოვი, იაგორ ანთაშვილი, ქსენია საველევა, სუსანა ვართანოვა, ვლადიმერ უდუმაშვილი, ნატალია სისოევა, სერგო ზალიევი, გრიგოლ პეტროსიანი, სერგო სიმაკოვი, ალექსანდრა ბარხუდაროვა, მარიამ მირზაშვილი, მარიამ ხარიტონოვა;

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ალექსანდრე ბერუაშვილი, წალიკ ბაღდასაროვა, ტატიანა ბოგდანოვა, ელენე ნეტკაჩევა, ბარბალე გუდიევა, ელისაბედ კოზლოვა, მკირტიჩ ხაჩატურიანი, ამაიაკ გრიგორიანი, ნიკოლოზ ხუროშვილი, სარქის აგაბიანი.

მშენებელ მუშათა მეხუთე სექციიდან: გიორგი მახაბლიშვილი, გიორგი არუთინოვი, პეტრე გუნცაძე, ს. ალეშკო, ს. დოსკოვცევი, ვ. პლეშკოვი, სერგო ანანოვი, გიორგი გასპაროვი, ტელემაკ კირაკოსიანი, მიხეილ ტატიევი;

მედსექციიდან: გიორგი ბეროშვილი, ფრანც ცაუფი და ფ. კასოევი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ორშაბათს, 24 დეკემბერს, დილის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში, ამხ. მამულიას კაბინეტში შესდგება თათბირი, რომელზედაც საჭიროა შემდეგი ამხანაგების დასწრება: ტარასოვის (ქაღალდის ტრესტი), ონანიანის (ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი), და გაზ. „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს, „ახალი სოფელი“-ს, „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს, „ენიკენდ“-ის, „მოჯამაგირეს ხმა“-ს, „ჩვენი კოოპერაცია“-ს, „რაბოჩაია პრავდა“-ს და „პროლეტარი“-ს რედაქციების.

—

ორშაბათს, 24 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია დელეგატ-ქალთა კრება ქალთა ორგანიზატორებთან, ქალთა კომისიებთან და დიასახლისებთან ერთად. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

—

ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს წინადადება ეძლევა ორშაბათს, 24 დეკემბერს, სრულ 12 საათზე გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-განმანაწ. განყოფილებაში (ოთახი № 66) ამხ. თარხნოვთან: კვაშილავა გრიგოლ ვახტანგის ძე, მაღრაძე ეგნატე მიხეილის ძე, ქავთარაძე ლავრენტი დიმიტრის ძე, ლევავა ვარლამ ლევანის ძე, დემურიევი გარეგინ წყალობის ძე, მუშინსკი ალექსანდრე გუკასის ძე, კოტახოვი თეოფანე (თედორე) ივანეს ძე, კარეგებიანი მარტინ მიკირტუმის ძე, ვოგობერიძე მიხეილ (თბ. განათ. განყ.), სარქისოვი ნიკოლოზ სერგის ძე, ბარამიძე გიორგი ალექსის ძე, ცხოვრებოვი ანტონ გიორგის ძე, უნგიაძე მირიან ბესარიონის ძე, კალანდაძე გერასიმე (აღმასკომი), ყამარაული ალექსანდრე იაკობის ძე, შაპოშნიკოვი ნიკოლოზ ივანეს ძე, ვოჩოლაშვილი ისმაილ გიორგის ძე, კობიაშვილი ივანე იოსების ძე, არობელიძე სევერიანე ესესეის ძე, ლებედევი ნიკოლოზ ივანეს ძე.

—

სახ. უნ. ა.ლ.კ.კ. სამკურნალო ფაკ. არსებული ა. ლ.კ.კ. უჯრედის ბიურო აცხადებს ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ კვირას, 23 დეკემბერს, დილის 10 საათზე შესდგება პოლიტ წრეების მეცადინეობა, დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

—

ორშაბათს, 24 დეკემბერს, დღის 4 საათზე შესდგება საქართველოს სახ. პოლიტექ. ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კავშირის უჯრედის ბიუროს სხდომა, რომელზედაც უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ცინცაძე მიხეილ, შალამბერიძე ა., კაპანაძე დ., დვლიძე ბაგრატ, ნარუშვილი ვლადიმერ, კიკნაძე ანტონ, სიამაშვილი ივანე, ასმარიანი ოგანეზ, ნამიჟეიშვილი ნიკოლოზ, იმნაძე გრიშა, ზაქრაძე ვლადიმერ, გაბუნია ანდრო, ქემოკლიძე შალვა.

—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 23 დეკემბერს, დილის 10 საათზე მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეებში სამეცადინოთ უნდა გამოცხადდენ სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. ეკონომიურ-პედაგოგიურ და სამკურნალო ფაკულტეტების, პარტიისა და კომკავშირის წევრები და კანდიდატები. (აგრონომიულ ფაკულტეტის—ყოფილ სემინარიის შენობაში).

—

ლენრაიონის მ.-გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება აუწყებს, რომ ორშაბათს, 24 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება ავლაბრის ქალთა აქტივის გაფართოებული თათბირი, დასწრება ბიუროს წევრების (ქალების), რეეკომისიის, რწმუნებულების, ყველა აქტივ-ქალების და ქალთა ორგანიზატორებისა სავალდებულოა.

ამავე დღეს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირების მცირე დარბაზში მოწვეულია საშეფო საზოგადოების ქალთა აქტივი.

იურიდიული დახმარება

დაზღვევის [illegible]

კითხვა:

მყავს სიდედრი, რომელსაც ჩემს მეტი პატრონი არ გააჩნია და რომელიც იმყოფება სრულიად ჩემს კმაყოფაზე. მაქვს თუ არა უფლება დავაზღვიო.

პასუხი:

არსებული კანონის მიხედვით სიდედრი არ არის მოხსენებული მშრომელის ოჯახის იმ წევრთა რიცხვში, რომლებიც შეძლებ. იყვნენ აყვანილნი სოციალზღვევის ორგანოების მიერ აღრიცხვაზე და რომელთაც სოციალზღვევის წესით შეეძლოთ რაიმე დახმარება. ამის გამო თქვენ არ გაქვთ უფლება დააზღვიოთ თქვენი სიდედრი.

ალექსანდრე შარაძის

კითხვა:

ვმსახურობდი რიონჰესში თვე ნახევარს, ამის შემდეგ მე, როგორც მცირე წლოვანს, ადმინისტრაციამ მომხსნა სამუშაოდან, დაპირებით რომ სალიკვიდაციო არ მომცა და არც წინასწარ გაუფრთხილებივარ, მერგება თუ არა ორი კვირის სალიკვიდაციო, და თუ მერგება ვის მოვთხოვო ან, როგორ მოვიქცე.

პასუხი:

თქვენ როგორც შეკითხვიდან სჩანს, მოხსნილი ხართ შრომის კანონთა კოდექსის 135 მუხ. ძალით და ასეთ შემთხვევაში სალიკვიდაციო მიცემა კანონით არ არის გათვალისწინებული.

სურსათ-გემოვნების კავშირის მე-4 ჯგუფკომი აუწყებს ამხანაგებს კავშირის წევრის ამხ.

ლადო ხუციშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ავლების (ყოფ. ფომინის) ქ. № 36 კვირას, 23 დეკემბერს, დღის 2 საათზე 6075

შრომის ინსპექციასთან არსებულ კოლექტივთა გაერთიანების სამმართველოს თანამშრომლები და ადგილკომი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას თანამშრომელ

ვლადიმერ ისაკის-ძე ხუციშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას.—გამოსვენება მოხდება კვირას, 23 დეკემბერს, 3 საათზე, საკუთარ ბინიდან ავლების (ყოფ. ფომინის) ქუჩიდან, № 36. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე [illegible] 6066

ღრმად დამწუხრებული ძმა მიხეილ, რძალი მარიამი, ძმისშვილები: ალიოშა, სონია, ნათელა, ბორის და ნიშა აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათთვის დაუვიწყარი ექიმ

ალექსანდრე (საშა) მამულაიშვილის

ხსოვნის აღსანიშნ. 3 დღ. გად. ხდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კვირას, 23 დეკემბერს, დღის 2 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 6074

ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, გარდაიცვალა ყოფილი „დროების“ რედაქტორის ს. მესხის მეუღლე მწერალი

ეკატერინე გრიგოლის ასული მესხი

რასაც მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ძმისწული მარიამ ავალიშვილისა და შვილიშვილი ნატალია ცოლლე. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე კრასნოგორსკის ქ. 31. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, კვირას 1 ნახ. საათ. 6047 2-2

რუსთაველის თეატრი

სამშაბათს, 25 დეკემბერს — ვ. კირშონის

„ლიანდაგი გუგუნებს“

დრამა 4 მოქმედებათ და 9 სურათ. თარგმ. ალ. ბოკერიას.

დადგმა შ. ალსაბაძის — მხატვარი ირ. გამრეკელი.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მუშათა ბილეთის სალაროში მუშათა სასახლე ოთახი № 1

2—1 ნ. 2020

სახელმწ. აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს 23 დეკ. დღით მე-3 დილის წარმოდგენა დაკლებულ ფასებში 25 კაპ. 1 მ. 50 კ. — **აბესალომ და ეთერი**

საღამოს აბონემენტის გარეშე ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით — **კარმენ**

ორშაბათს 24 დეკემბერს მე-8 აბონემენტის მეოთხე წარმოდგენა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ა. მ. ბრაგინის მონაწილეობით

სევილიელი დალაქი — ნ. ნ. ბოგოლიუბოვის ახალი დადგმა

წარმოდგენის დასაწ. საღამოს სრულ 8 საათ. დილის წარმოდგენის დასაწ. 12 ნახ. ს.

დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება

2—1 ნ. 2019

სახკინმრეწველობის კინოთეატრები		ორშაბათიდან
ანტიადი	ბედნიერების ნალი მონტი ბენკსის მონაწილეობ.	ქარჩხელი მოგზაურები
არფასტო	მხატვრული სურათი „პირველი ცოლი“	კირა კირალინა პ. ისტრატის რომ. მიხედ.
სოლეი	უკანასკნელი დღე მხატვრული ბოევიკი მორალი	სახლი ტრუბნოის მოედანზე
მინიონი		სურათი მორალი
აპოლო	თავდასხმა ვირგინიის ფოსტაზე	სახლი ტრუბნოის მოედანზე
კავკასი	მხატვრული ბოევიკი კასტუს კალინოვსკი	ალანის სიზმარი
დარბაზი	პორტფელის გამტაცებელი	
პროლეტარი ავლაბარი	თავზე ხელაღებული 5 დას. სერიები	ბედნიერების ნალი

ორშაბათიდან „სახლი ტრუბნოის მოედანზე“ და „კირა კირალინა“ 0—16

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს ატრაქციონების სანახაობა

გალა პროგრამა 3 განყოფილებად

მხეცების მწვრთნელი ნ. პ. გლადილშჩიკოვი ძუ და ხვადი ლომებით, დათვებით და დოგებით

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათ.

სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან

მთელი დასი ყველა გასტროლიორები

კვირას, 23 დეკემბერს დღის დიდი სანახაობანი

მხეცების მწვრთნელის ნ. გლადილშჩიკოვის მონ. დღისით ძუ და ხვადი ლომები, დათვები, დოგები

დასაწყისი დღის 2 საათზე.

3—3 ნ. 2010

ორშაბათიდან 24 დეკემბრიდან კინო თეატრებში

არფასტო სოლეი

კირა კირალინა

პანაიტ ისტრატის ცნობილ რომანის მიხედვით

მთავარ როლში ვალერსკაია

დადგმა გლაგოლინის



იჩქარეთ ნახოთ!

პირველად საბჭოთა კავშირში! პირველად თბილისში! ისეთი რამ, რაც ჯერ არავის უნახავს!

საშინელი ცხოველთა სამყარო

ჟოკეი კლუბის (ყოფ. არტო) ბაღში

ჩამოყვანილია იშვიათი ეკზემპლიარები

მფრინავი ძაღლები

ყველამ უნდა ნახოს ეს მეტად იშვიათი ეკზემპლიარები.

სამხეცე ღიაა ყოველ დღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე

ანონსი: ჩამოდის ტროპიკულ ტყეების საშინელება?

ბ. 1834 1—16.

„მეჟრაბპომ-ფილმ“-ის სურათი

ხვალ დან, ორშაბათიდან 24 დეკემბრიდან

კინო თეატრებში

პალასი და მინიონი

1928/29 წ. სეზონის პირველი მხატვრული კომედია

სახლი ტრუბნოის მოედანზე

რეჟისორი ბ. ბარნეტი

მთავარ როლებში: ფოგელი, ა. სუდაკევიჩი და ვ. ბატალოვი.

ნ. 2024

ორშაბათიდან 26 დეკემბრიდან კინო-აპოლოში

მხატვრული სურათი **მორალი**

ელენ რიხტერის მონაწილეობით

პირველი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წუთზე.

ნ. 2024

თეატრი ოდეონი

პლეხანოვის გამზირი № 103

დღეს, 23 დეკემბერს

გასტროლი მუსიკალურ კომედიის

ლილიპუტებისა მეფე მხიარულობს

მუსიკალური კომ. 3 მოქმ. ნელსონისა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

ნ. 2021

სახვაჭრობამ მიიღო

ნავთით გასახურებელი (ვარვალა)

ფანრები

1.000 სანთლიანი სინათლით

საათში იხარჯება 5 კაპეიკამდე

იყიდება სახვაჭრობის მეოთხე (№ 4) მაღაზიაში

შუა ბაზარი, სახლი № 32.

2 1 ნ. 2009 — ტელეფ. № 13—02

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი**

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, ანუსის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—17

ექიმი **ი. ვ. ახმეტელი**

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღის) ქ. № 20, მესამე სართული.

4903 25—1

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღის ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—8

რ. ს. ფ. ს. რ. ს. მ. უ. ს.

სახელმწიფო მუსიკალური ტრესტი „მუსტრესტ“-ი

თბილისის განყოფილება.

როიალებისა და პიანინოების [illegible] 3 მანეთი

იყიდება

როიალები და პიანინოები

ბეკერის, შრედერის, ოფენ ახერის და სხვ.

გიტარები, მანდოლინები, გარმონები, ბაიანები, ბალალაიკები, თარები, ჩონგურები, პიანურები, დოლები, დაირები, ზურნა, დუდუკი, გრამოფონი გრამ. ფირფიტები და სხვ.

დიდძალი ნოტები რუსეთისა და საზღვარგარეთის ყველა გამოცემა.

მუდამ იშოვება ახალი სიმები; ფასები დაკლებულია 40 პროცენტამდე.

მუშებსა და მოსამსახურეებს ნისიად მიეცემათ საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების შუამავლობით

განყოფილებასთან არსებობს შემკეთებელი სახელოსნო საუკეთესო გამოცდილი ოსტატებით; შეიძლება მიიღოთ პიანინოები, როიალები, გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები და სხვ.

სატრანსპორტო განყოფილება კისრულობს როიალებისა და პიანინოების გადატან-გადმოტანას, ჩალაგებას და გაგზავნას

სრული და ილუსტრირებული პრეის-კურანტი მსურველებს ეგზავნებათ 20 კაპ. მარკის მიღების შემდეგ.

კომინტერნის ქ. 6, როიალებისა და პიანინოების დეპო, კომინტერნის ქ. № 5, მ.-დ ზია. ტელ. 14—53.

ბ. 456 — მუსტრესტი.

„კომუნისტი“-ს გამომცემლობას

ესაჭიროება გაზეთის საზიდავად

ნახევრად საბარგო ავტომობილი

ერთი ან ერთ ნახევარ ტონიანი

კომისიონერებს ვსთხოვთ თავს ნუ შეიწუხებენ

იკითხეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) ტელ № 8—81. 0—8

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

ლორთქიფანიძე

აცხადებს, რომ ის 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 3 ნეკრასოვის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მოქ. აბაშიძის მოძრავ ქონებას: შკაფებს, საწოლებს, მაგიდებს, მარმარილოს პირსაბანებს და სხვა ნივთებს შეფასებულს 674 მან., საბჭოების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 24 ოქტომბერს 1928 წ. თარიღით № 5923 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 6077

ექ. **დ. ლ. თევზაძე**

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა.

ჭონქაძის ქ. № 4 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 ნახ. საათამდე საღამოს 7—8 ს. გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ლოგოპედი **ა. ა. კაიშაური**

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ ის კაბინეტისა **ასწორებს** ლოგოპათებს: ენბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ

კლარა ცეტკინის ქ. № 132. 13—1 ნ. 1804

ექიმი **კ. ი. ჯალალოვი**

კანისა და ვენერიულ სნეულებანი) სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე

მისამართი: კამოს ქუჩა, № 14 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 10—9. ბ. 25—19.

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ ყოფ. „ნოეს“. პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

სამალარიო და პარაზიტულ სნეულებათა **დისპანსერი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე (გარდა უქმეებისა) ნაშუადღევს 5-9 საათამდე. (წინასწარი ჩაწერა 4-7 საათ.) კეცხოველის (ყოფ. ლორის-მელიკოვის ქუჩა) № 9. ტელეფონი № 21—35. 6067 6—1

ქ. ქუთაისი

ექიმი **თ. ვ. აკოფაშვილი**

შინაგანი სნეულება—სპეც. ფილტვის ავადმყოფობა.

[illegible] ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). 1—25

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო საზოგადოების

გამგეობა აცხადებს

რომ

დეკემბრის 26 ოთხშაბათს საღამოს 7 საათზე

დანიშნულია **სახვაჭრობის აქციონერთა საერთო კრება**

დღის წესრიგში:

1. გამგეობის საინფორმაციო მოხსენება 1927/28 საოპერაციო წლის მუშაობის შესახებ,
2. 1928/29 საოპერაციო წლის სავაჭრო გეგმის განხილვა.
3. ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევნები.
4. მიმდინარე საკითხები.

მისამართი: კეცხოველის ქ. № 5.

ნ. 2015 — გამგეობა

„საქართველოს ღვინომ“

რიყეში № 80 გახსნა საბითუმო ღვინის სარდაფი

ხელმისაწვდომ ფასებში ყიდის

კასრებით და ტიკჭორით კახურ და იმერულ ღვინოებს

6073

დავკარგე: სალექციო წიგნაკი გაცემული ს. უნ. აგრ. ფაკულ. გიორგი მაჭავარიანის სახელზე. ჩ. გ. 6069

დავკარგე ხელოვნების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 57, ბესარიონ ალექსანდრეს-ძე ბოკუჩავას სახელზე. ჩ. გ. ნ. 2023

დავკარგე პირადობის მოწმობა, გაცემული ქუთაისის მილიციის სამმართველოს მიერ, მეტრიკული ამონაწერი № 538 და მე-2 ცხრაწლედის დამთავრების საბუთი შამშე ლუკას-ძე ფხაკაძის სახელზე. ჩ. გ. ნ. 2043

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 1450760 და საანგარიშო წიგნაკი № 59 ბიქტორ კაჯაიას სახელზე. ჩ. გ. 6070

დავკარგე მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 7141 და სხვა საბუთები ილია ნიკოს-ძე ბეთლემიძის სახელზე. ჩ. გ.

დავკარგე საარიცხვო ბარათი ლევან გილაშვილის სახელზე. ჩ. გ. 6072

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4 ეგნატე იგლონის ძე ქაჯაიას სახელზე. ჩ. გ. 6071

დავკარგე: მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 20988 და სტუდენტის მოწმობა ვლადიმერ ანდრიას-ძე ოდილავაძის სახელზე. ჩ. გ. 6076

დავკარგე: რკინისგზელთა კავშირის წიგნაკი № 25041 და დამზოგველ სალაროს წიგნაკი № 1045 აბესალომ იაშვილის სახელზე. ჩ. გ. 6065

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი არჩილ მაჩაიძის სახელზე. ჩ. გ. 6068

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 65.

მთავლიტი № 404.